Particular attention is paid to the classification of representatives of the sphere of science created by the author and the World Cup for scientific creativity proposed by him in the field of social sciences, as the main mechanisms for solving the problem of scientific creativity – as a necessary basis for the effective functioning of society, the state and humanity as a whole.

The scientific work also draws attention to the fact that as a result of the lack of real criteria for assessing the “activity” of representatives of the social sciences, science (first of all as the field of social sciences) has become, to a certain extent, a “feeding trough”, where you can often find stupid "Rogues" – "Intellectual" "impotents" in science, which, in accordance with

the classification of representatives of the sphere of science created by me, is actually the same as "Buffalo in the theater" (!).

The “intellectual” “impotent” in science is an “impotent”, from the point of view of the person’s lack of creative thinking, i.e. an “intellectual” “impotent” in science is a stillborn from the point of view of creative thinking, but at the same time a “skilled” “rogue” in the field of social sciences, who is sometimes “declared” as a “true” “scientist” (!).

Therefore, to overcome the “egalitarianism” in the field of social sciences, to clarify and determine Who is Who in science in general, and, in particular, Who is Who in the field of social sciences, fundamental importance is from the point of view of the need for social-economic progress, from the point of view of the need to protect the interests of society, the state and humanity as a whole, the classification of representatives of the spheres of science created by me many years ago, as well as a proposed by me the World Cup on scientific work in the field of social sciences.

The main novelty of scientific research is the consideration of scientific creativity – as the main criterion for effective competitiveness and the necessary basis for social-economic progress, and the consideration of the Classification of representatives of the sphere of science that I created and the World Cup of Scientific Creativity in the field of social sciences that I proposed as the main mechanisms for solving the problem of scientific creativity – as a necessary basis for the effective functioning of society, the state and humanity as a whole.

ალფრედ კურატაშვილი

*ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის
სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის
ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე*

**მეცნიერული შემოქმედება – ეფემტინი კონკურენტუნარიანობის მითაგარი
კრიტიკიზმი და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის
აუცილებელი საფუძველი**

ვრცელი რეზიუმე

სამეცნიერო ნაშრომში განხილულია მეცნიერული შემოქმედება – როგორც კონკურენტუნარიანობის მთავარი კრიტერიუმი და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი საფუძველი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ განათლების გარეშე შეუძლებელია არსებობდეს ჭეშმარიტი მეცნიერება, მაგრამ მეცნიერული შემოქმედების გარეშე შეუძლებელია თვითონ მეცნიერების განვითარება, და, შესაბამისად, შეუძლებელია განათლების, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის განვითარება.

სწორედ ამიტომ, მეცნიერული შემოქმედება უნდა განიხილებოდეს – როგორც ეფემტინაბი კონკურენტუნარიანობის მთავარი კრიტერიუმი, რადგან მეცნიერული შემოქმედების გარეშე შეუძლებელია უპირატესობის მიღწევა კონკურენტულ ბრძოლაში, და, შესაბამისად, შეუძლებელია რეალური სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მიღწევა.

მაშასადამე, ლოგიკური და კანონზომიერია, რომ მეცნიერული შემოქმედება განხილვებოდეს – როგორც სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი საფუძველი საერთაშორისო მასშტაბით.

ამავე დროს, მოცემულ სამეცნიერო ნაშრომში განხილულია მეცნიერების “მოკვდინება” ჭეშმარიტი სამეცნიერო შემოქმედების გაუგებრობის ან/და უგულებელყოფის შედეგად – როგორც მუხრუჭი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის გზაზე, და როგორც დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ (?!).

ღრმა კრიზისი მეცნიერულ შემოქმედებაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში და სახელმწიფო მართვის პოლიტიკაში – განხილულია, როგორც განმსაზღვრელი მიზეზი ყველაფერი ნეგატიურისა, რაც ხდება თანამედროვე მსოფლიოში (?!).

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცნიერების სფეროს წარმომადგენელთა ავტორის მიერ შექმნილ კლასიფიკაციას და მის მიერვე შემოთავაზებულ მსოფლიო ჩემპიონატს მეცნიერული შემოქმედებაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში, მეცნიერული შემოქმედების პრობლემის გადაჭრის მთავარი მექანიზმების სახით – როგორც საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ საფუძველს.

საქართველოს კონსტიტუციის

მუდმივი კომისიის

შეჯამებული ანგარიშები

საქართველოს პარლამენტის

პირველი სესიის

მუშაობის შესახებ

2019 წლის მარტი-სექტემბერი

...
...
...
... : «
... ?!» [1, . 272].
...
...
...
...
... : «
... [2].
... : «
« ... » [3].
... : « ... » [4].
... : « ... » [5].
... ?» [5].
... :
« ... » [5].

» [6], « : «
» [6].

« :
» [7].

[8; 9; .].

1. . (2003).
« », 2003. – 352 .

2. (2011).
(«

<https://cyberleninka.ru/article/n/osobennosti-i-problemy-sovremennogo-vysshego-obrazovaniya-za-rubezhom-na-pri-mere-ssha-i-kanady>

3. <https://giovanni1313.livejournal.com/8013.html>

4. http://ru.osvita.ua/abroad/higher_school/articles/26745/

5. . (2013). «
».
<http://www.dsnews.ua/politics/larisa-antonyuk-v-ukrainskih-vuzah-chrezvychayno-nizkiy-20052013120000>

6. .

<https://telegraf.by/2013/05/osnovnie-problemi-visshego-obrazovaniya-v-belarusi>

7.

<http://forbes.ge/news/263/umaRlesi-ganaTlebis-gamowvevebi>

8.

(2018).
« » –
(?!).
95- : «
» (6-7 2018).
65-74.
9. (2019). « »
/ –
(?!).
», 2019, 1-2.
: « » – .27-38.

Teona Mekhrishvili

*Doctoral student of the Faculty of Engineering Economics, Media Technologies
and Social Sciences of Georgian Technical University*

**THEORETICAL PROBLEMS OF ECONOMY AND MANAGEMENT
IN THE FIELD OF HIGHER EDUCATION
Expanded Summary**

The scientific work examines the theoretical problems of economy and management in higher education in foreign countries and in Georgia.

Particular attention is paid, on the one hand, to the justification of the need to study the problems of higher education, and, on the other hand, to the disclosure of existing problems in the field of higher education, both in foreign countries and in Georgia, because without studying the problems of higher education, it is impossible to develop ways and mechanisms for solving these problems.

Moreover, it is noteworthy that the scientific work focuses on the study of the problems existing in the field of higher education from the point of view of the targeted orientation of the functioning of the higher education system, because the higher education system should prepare not only highly qualified specialists in one or another field, but these specialists must be trained with a specific focus – with a focus on serving the interests of the people.

Thus, in connection with the problems of the effective functioning of the higher education system, in connection with the problems of economy and management in the field of higher education, it should be noted above all that the defining problem is the target area of the higher education system.

In particular, the most important is what and to whom the functioning of the higher education system serves.

Therefore, in scientific work, special attention is paid to the fact that although it is impossible to achieve a social goal without economic development, and although the influence of the higher education system on economic development and economic efficiency is of fundamental importance, economic development and economic efficiency is still a means, and not a goal, i.e. economic development and economic efficiency should be the means that serve a social goal – the realization of the interests of the people.

It is the realization of the social goal – the realization of the interests of the people – that the higher education system should serve.

Based on the foregoing, it is once again confirmed that in the study of the problems of economy and management in the field of higher education, as well as in the study of the problems of the effective functioning of society and the state as a whole, the determination of the target area is a major problem.

თეონა მესრიშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დოქტორანტი*

**ეკონომიკისა და მართვის თეორიული პრობლემები
უმაღლესი განათლების სფეროში**

რეზიუმე

სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ეკონომიკისა და მართვის თეორიული პრობლემები უმაღლესი განათლების სფეროში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, ერთის მხრივ, უმაღლესი განათლების პრობლემების კვლევის აუცილებლობის დასაბუთებას, და, მეორეს მხრივ, უმაღლესი განათლების სფეროში არსებული პრობლემების გახსნას, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში, ისე საქართველოში, რამეთუ უმაღლესი განათლების პრობლემების კვლევის გარეშე შეუძლებელია შემუშავებული იქნეს ამ პრობლემების გადაჭრის გზები და მექანიზმები.

ამასთანავე, სამეცნიერო ნაშრომში მთავარი ყურადღება ეთმობა უმაღლესი განათლების სფეროს პრობლემების კვლევას ამ სისტემის ფუნქციონირების მიზნობრივი მიმართულების თვალსაზრისით, რამეთუ უმაღლესი განათლების სისტემამ უნდა მოამზადოს არა მარტო მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ამა თუ იმ სფეროში, არამედ მან უნდა მოამზადოს ეს სპეციალისტები სოციალური მიზნობრივი მიმართულებიდან გამომდინარე.

()

,

,

-

,

.

-

,

-

,

-

-

-

», «

-

» [1, c. 109].

-

« -

-

-

-

,

-

-

-

-

-

.

-

,

-

,

,

,

»

,

»

,

», «

,

-

,

-

» [2, c. 116].

-

-

-

-

-

.

-

,

-

,

,

,

», «

,

-

,

-

,

»

-

» [3, c. 10].

,

-

,

-

-

-

.

,

,

-

-

-

,

-

,

-

-

-

.

,

,

-

-

-

.

,

1. . (1998). – . -
2. . (2008). – . (4-6. 11. 1998). -
3. . (2008). « » – . 116-119. 80- (18-19.11.2008). :
(). : « », 2008. – 240

Qristine (Ketevan) Kuratashvili
*Researcher of Department of Economic Theory of P. Gugushvili Institute
of Economics of I. Javakhishvili Tbilisi State University*

**ECONOMIC THEORY AND THE VALUE OF THE CULTURE FACTOR FOR THE
EFFECTIVE FUNCTIONING OF SOCIETY AND THE STATE
Expanded Summary**

In scientific work, in connection with economic theory, the importance of the factor of culture for the effective functioning of society, the state and humanity as a whole is considered, for culture, and in particular, spiritual culture, according to the author, is the ideological basis for the effective functioning of society and the state.

It is noteworthy that education – as a culture, science – as a culture, as well as legal culture and managerial culture, are considered by the author as a cultural factor, moreover, – as a predominantly directly acting cultural factor, while artistic culture, according to the author, is presented as a predominantly indirect acting cultural factor.

Therefore, there can be no doubt that the factor of culture – as a predominantly directly acting factor of culture, as well as a predominantly indirectly acting factor of culture – have an impact on the social-economic development of society and the state.

Particular attention in the scientific work is drawn to the fact that the cultural factor significance acquires fundamental importance for the effective functioning of market relations and, in particular, for the social orientation of these relations.

At the same time, for the effective use of the cultural factor, it is necessary to create social-economic and legal conditions for ensuring the functioning of the cultural factor – as the ideological basis of the progressive development of society and the state.

And in this matter, state power should play a crucial role, which should create the above noted conditions for the effective use of the cultural factor, which is a necessary basis for the effective functioning of society, the state and humanity as a whole

Culture – as a factor in social-economic progress, shows its special significance through the development of science and education, because without this there can be no real and effective progress.

However, the development of science and education as a spiritual culture requires fundamentally new approaches in the conditions of market relations so that they contribute to the social orientation of a market economy.

ქრისტინე (ქეთევან) კურატაშვილი
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის
ეკონომიკური თეორიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი*

**ეკონომიკის თეორია და კულტურის ფაქტორის მნიშვნელობა საზოგადოება-
დამოკიდებულ და სახელმწიფოს უმეტესიანი უმეტესობისთვის**

რეზიუმე

სამეცნიერო ნაშრომში ეკონომიკურ თეორიასთან დაკავშირებით განხილულია კულტურის ფაქტორის მნიშვნელობა საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, რამეთუ კულტურა, და, კერძოდ, სულიერი კულტურა, ავტორის მტკიცებით, არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების იდეური საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ განათლება – როგორც კულტურა, მეცნიერება – როგორც კულტურა, და აგრეთვე სამართლებრივი კულტურა და მმართველობითი კულტურა, ავტორის მიერ განხილულია, როგორც კულტურის ფაქტორი, ამასთან – როგორც უპირატესად უშუალოდ მოქმედი კულტურის ფაქტორი, ხოლო მხატვრული კულტურა, ავტორის მტკიცებით, წარმოადგენს უპირატესად არაპირდაპირ მოქმედ კულტურის ფაქტორს.

ამრიგად, ეჭვს არ იწვევს, რომ კულტურის ფაქტორი – როგორც კულტურის უპირატესად უშუალოდ მოქმედი ფაქტორი, ისევე როგორც კულტურის უპირატესად არაპირდაპირ მოქმედი ფაქტორი – გავლენას ახდენს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

საერთაშორისო ეკონომიკა – INTERNATIONAL ECONOMY

ადამიანისეული კაპიტალი იაკონის ეკონომიკაში

ანოტაცია. ადამიანისეული კაპიტალი წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მთავარ ფაქტორსა და მამოძრავებელ ძალას, რომლის გამოყენებით განვითარებულმა ქვეყნებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკური გარდაქმნებისა და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. სტატიაში გაანალიზებულია იაპონიაში ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებასა და მართვაში მიღწეული წარმატებები და დაგროვილი მდიდარი გამოცდილება, რამაც არსებითი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკურ გარდაქმნებსა და ახალი ეკონომიკის ფორმირებაში. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული განათლებისა და მეცნიერების, მოსახლეობის ჯანდაცვის განვითარებაზე და ამ მიზნით განხორციელებულ ინვესტიციებზე, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანისეული კაპიტალის ზრდა და მისი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება რამაც, საბოლოო ჯამში, განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკის ზრდის დაჩქარება და მოსახლეობის სოციალური ყოფის არსებითი გაუმჯობესება.

საკვანძო სიტყვები: ადამიანისეული კაპიტალი, განათლება, ცოდნა, ინტელექტი, ინვესტიციები, ჯანდაცვა, სამედიცინო და ზღვევა, მართვის მოდელი.

შესავალი

თანამედროვე პირობებში ადამიანი წარმოადგენს ძირითად ეკონომიკურ რესურსსა და საზოგადოებრივი პროცესის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს. გასული საუკუნის ბოლოს და ამ საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში მომხდარმა რადიკალურმა ძვრებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანის ადგილი და როლი საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში. იგი კვლავაც რჩება ერთადერთ აქტიურ საწყისად და მწარმოებლურ ძალად საზოგადოებრივ საწარმო-ეკონომიკურ კომბინაციაში, რომელიც გვევლინება არა მხოლოდ მწარმოებლური შრომის ობიექტად, არამედ შემოქმედებითი შრომის უნარის მქონე ცოდნის მწარმოებლის ფაქტორად, რომელსაც, იმავდროულად, გააჩნია მრავალფეროვანი მოთხოვნილებების ფართო სპექტრი.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა გადაწყვეტილი როლი მიანიჭა ადამიანს ცოდნის შექმნაში, რაშიც დიდი როლი ითამაშა თანამედროვე ინფორმაციულმა და კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა. ამ ფონზე ძალზე აქტუალური ხდება ადამიანისეული კაპიტალის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, ადგილისა და როლის გარკვევა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

მსოფლიოს განვითარებული სამყაროს ქვეყნებმა ადამიანისეული კაპიტალის გამოყენებით არნახულ წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკური გარდაქმნებისა და ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზაზე. სტატიაში გაანალიზებულია იაპონიაში ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისა და მართვის სფეროში მიღწეული წარმატებები და დაგროვილი მდიდარი გამოცდილება, რომლის გაზიარებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც ახლა გადადიან ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციაზე დაფუძნებულ ახალ ეკონომიკაზე.

* * *

იაპონია კლასიკური მაგალითია ქვეყნისა, რომელმაც ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციაზე დაფუძნებული თანმიმდევრული ეკონომიკური გარდაქმნების საფუძველზე, მწირი ბუნებრივი რესურსების პირობებსა და ისტორიულად მოკლე პერიოდში, შეძლო ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა და მოწინავე განვითარებული ქვეყნების რიგში ჩადგომა. იაპონია აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზაზე იძულებული იყო XIX-XX საუკუნეებში დასდგომოდა მილიტარიზმისა და კოლონიური იმპერიალიზმის გზას, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ მან დაკარგა ამ გზით განვითარების ყოველგვარი შანსი, რის გამოც გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მეცნიერებატექნიკური დარგების, მაღალი ტექნოლოგიებისა და ადამიანისეული კაპიტალის სწრაფი განვითარება ქვეყნისთვის უაღრესად აუცილებლობად იქცა.

ადამიანისეული კაპიტალის განვითარების დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია ადამიანის განვითარების ინდექსი, რომელიც გაიანგარიშება ცხოვრების დონის, ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისა და განათლების ხელმისაწვდომობის დონის ინდექსების საფუძველზე. ამ მაჩვენებლის მიხედვით ამჟამად მსოფლიოში ღიდერი ქვეყნებია ნორვეგია (0,953), შვეიცარია (0,944), ირლანდია (0,938), გერმანია (0,938). იაპონიას კი ამ მხრივ უკავია მე-19 (0,909), საქართველოს (0,780) 70-ე, აზერბაიჯანს (0,757) მე-80, ხოლო სომხეთს (0,752) 83-ე ადგილი.

მსოფლიო ბანკმა 2017 წლიდან შეიმუშავა ახალი საზომი – ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი, რომელიც ადამიანის განვითარების ინდექსისაგან განსხვავებით, ფოკუსირებულია უფრო მეტად მომავალი თაობის განათლებაზე, ჯანდაცვასა და შრომის მწარმოებლურობაზე. იგი ზომავს ადამიანისეული კაპიტალის მოცულობას, რომელიც დაკავშირებულია დღეს დაბადებული ბავშვის საშუალო სკოლის დამთავრებამდე განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის რისკებთან ქვეყანაში, სადაც იგი დაიბადა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი გვიჩვენებს მომავალი თაობის შრომის მწარმოებლურობას სრულყოფილი განათლებისა და ჯანდაცვის იდეალური დონის პირობებში. 2018 წელს ადამიანისეული კაპიტალის ინდექსის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ: საფრანგეთს (0,88), სამხრეთ კორეას (0,84), იაპონიას (0,84), ჰონგკონგს (0,82), ფინეთს (0,81), ირლანდიას (0,81), ავსტრალიას (0,80), ჰოლანდიას (0,82), კანადას (0,82), საქართველო ამ მაჩვენებლის მიხედვით 61-ე (0,61), აზერბაიჯანი 69-ე (0,60), სომხეთი კი 78-ე (0,57) ადგილზეა (9).

იაპონიის ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საგანმანათლებლო სისტემის განვითარებასა და სრულყოფას. ამჟამად ეს სისტემა იაპონიაში შემდეგი შემადგენელი ელემენტების სახით წარმოგვიდგება: 1. **საშუალო განათლება**, რომელიც იყოფა 3 დონედ: დაწყებითი, საშუალო და უფროსი სკოლები; 2. **უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები** თავისი 4 დონით: უნივერსიტეტები, პროფესიული კოლეჯები, სპეციალური მომზადების უმაღლესი სკოლები, დიპლომის შემდგომი სწავლების ორგანიზაციები. ქვეყანაში სავალდებულოდ ითვლება დაწყებითი და საშუალო განათლების მიღება, რომელიც უფასოა. ყველა საშუალო განათლების მქონე სწავლას აგრძელებს უფროს სკოლებში, მათი ნახევარი კი – უმაღლეს სასწავლებლებში.

საერთო ჯამში, იაპონიაში ყველა დონის განათლების მისაღებად საჭიროა 18 წელი მაშინ, როდესაც რუსეთში იგი უდრის 15 წელს, აშშ-ში, გერმანიასა და საფრანგეთში – 16, ჩინეთში კი 14 წელს [3]. სწავლის პროცესში, მოსწავლის ინტელექტუალური უნარის გამოვლინების საფუძველზე, განისაზღვრება მისი პროფესიული ვარგისიანობის დონე. გამოცდილების შე-

დეგებზე დაყრდნობით, მოსწავლეს ექმნება გარკვეული წარმოდგენა თავისი სწავლის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ.

ასეთი მძლავრი საგანმანათლებლო სისტემის შენახვაზე იაპონია ხარჯავს არცთუ ისე დიდ სახსრებს (მშპ-ს 3,8%) მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი რუსეთში არის 4,1%, გერმანიაში – 5,1, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში – 5,6, საფრანგეთში – 5,9%. სადღეისოდ იაპონიაში უმაღლესი განათლებით მოსახლეობის მოცვის პროცენტი საკმაოდ მაღალია და იგი სისტემატური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ქვეყანაში 60 წლის ასაკის მოსახლეობის ჯგუფში დიალომის მქონე პირთა რაოდენობა შეადგენს 35%-ს, 50 წლის ასაკის – 45, 40 წლის ასაკის – 55, ხოლო 30 წლის ასაკის ჯგუფში – 50%. განათლების დონის მიხედვით, იაპონიის მსოფლიოში უკავია ლიდერის პოზიცია (48,2%) და ჩამორჩება მხოლოდ კანადას (53,6%) და ისრაელს 148%, წინ უსწრებს ლუქსემბურგსა (45,2%) და სამხრეთ კორეას (44,6%) [2].

ადამიანისეული კაპიტალის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების გაღრმავებას, რაზედაც განვითარებული ქვეყნების მიერ იხარჯება დიდძალი ფინანსური სახსრები. 2018 წლის მონაცემებით, იაპონიაში მეცნიერების განვითარების დანახარჯებმა შეადგინა 168,62 მლრდ დოლარი და იგი ამ მაჩვენებლით იმყოფებოდა მსოფლიოში მესამე ადგილზე, აშშ-ს (511,1 მლრდ) და ჩინეთის (451,2 მლრდ) შემდეგ, ხოლო წინ უსწრებდა გერმანიას (118,5 მლრდ), კორეის რესპუბლიკას (79,4 მლრდ), საფრანგეთს (62,2 მლრდ), ინდოეთს (50,1 მლრდ), დიდ ბრიტანეთს (47,2 მლრდ აშშ დოლარი). მეცნიერებასთან ერთად, იაპონიის მთავრობის სერიოზული ყურადღების საგანს წარმოადგენს საინჟინრო, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შემდგომი გაღრმავება-გაფართოება.

იაპონიაში ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისა და გამოყენების მნიშვნელოვანი მიმართულებაა ჯანდაცვის განვითარება და სრულყოფა, რაზედაც იხარჯება ქვეყნის მშპ-ს 8,1%. ქვეყანას აქვს სამედიცინო მომსახურების სისწრაფის მაღალი დონე – ავადმყოფის მიღების საშუალო დრო შეადგენს 6 წუთს, აშშ-ში კი იგი 20 წუთია, რაც მიიღწევა მოსახლეობის ექიმებით უზრუნველყოფის, მათი კვალიფიკაციის, სამედიცინო დაწესებულებების ტექნიკური აღჭურვილობისა და საქმიანობის ორგანიზაციის მაღალი დონით, ქვეყანაში დაავადების დაბალი დონითა და მათი მკურნალობის „ნაკლებად რეისიული“ მეთოდებით.

საერთოდ კი, სამედიცინო მომსახურების ხარჯების ზრდა უნდა შეფასდეს, ერთი მხრივ, როგორც დადებითი მოვლენა, რაც მიგვანიშნებს სახელმწიფოს მიერ ხალხის ჯანმრთელობის გაუმჯობესების ზრუნვაზე, მეორე მხრივ, იგი მიგვითითებს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესებაზე, იმაზე, რომ ადამიანებს უფრო ხშირად სჭირდებათ სამედიცინო დახმარება. აქ მთავარია, თუ როგორია ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურა. სასურველია მთლიან დანახარჯებში გამაჯანსაღებელი, საკურორტო-სანიტარულ და პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე გაწეული დანახარჯების წილის ზრდა, დაავადებათა მკურნალობაზე გაწეულ დანახარჯებთან შედარებით. როცა პირიქითაა, ეს უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანისეული კაპიტალის დაგროვებაზე და ზოგჯერ იწვევს მის დანაკარგებსაც კი.

ამჟამად იაპონიაში მოქმედებს სამედიცინო დაზღვევის ორი სისტემა: 1. ჯანმრთელობის დაზღვევის ეროვნული სისტემა, რომელიც აერთიანებს წვრილ მეწარმეებსა და მათი ოჯახის წევრებს, ინვალიდებსა და სხვა; 2. დაქირავებულ პირთა დაზღვევის სისტემა, რომელიც არის ყველაზე მსხვილი და მოიცავს ყველა დაქირავებულ მუშაკსა და მათ კმაყოფაზე მყოფ პირებს. დაზღვევა, ექიმისა და სამკურნალო დაწესებულების შერჩევისას, არავითარ შეზღუდვებს არ

ითვალისწინებს. დადგენილია პაციენტთა წილობრივი მონაწილეობა 10-დან 30%-ის ფარგლებში, ხოლო გადასახადის ზედა ზღვარი საშუალო შეძლების მქონე ოჯახზე თვეში 677 დოლარი [5].

იაპონური ადამიანისეული კაპიტალის კრეატიულობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია მოსახლეობის კულტურული თავისებურებები და სპეციფიკური ეროვნული მენტალიტეტი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მართვის უნიკალური იაპონური სისტემის შექმნას, რომელიც დღემდე ითვლება ერთ-ერთ მოწინავე სისტემად მთელ მსოფლიოში. სწორედ ადამიანისეული ფაქტორის მაქსიმალურ გამოყენებასა და ეროვნულ მენტალიტეტში უნდა ვეძიოთ იაპონური მენეჯმენტის წარმატებისა და მაღალი ეფექტიანობის მთავარი მიზეზი. იაპონელებს ძალიან ძლიერად აქვთ განვითარებული მოვალეობის გრძნობა, ისინი არიან ძალზე მომთმენები, დისციპლინირებული და პუნქტუალურები, აქვთ უნარი იმუშაონ დიდხანს და მაქსიმალურად ეფექტიანად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა. ისინი არიან ძალზე კეთილსინდისიერები და გულისხმიერნი, მაგალითად, როცა იაპონელი დროზე ადრე ამთავრებს სამუშაოს, სახლში კი არ მიდის, არამედ ეხმარება თავის კოლეგას. იაპონელები ერთგულები არიან კომპანიისა, სადაც ისინი მუშაობენ, დარწმუნებულნი იმაში, რომ თუ ისინი კარგად იმუშავენ, ხელს შეუწყობენ კომპანიის უკეთ ფუნქციონირებას, რაც სათანადოდ აისახება მათს ხელფასებსა და პრემიებში.

იაპონური ადამიანისეული კაპიტალის კრეატიულობაზე მეტყველებს მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის დაბალი დონეც. ხელმძღვანელისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი პირის ხელფასები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც კი არ ამწვავებს ურთიერთობებს შრომით კოლექტივში, არამედ ზრდის მუშაკთა დაინტერესებას, იმუშაონ მაქსიმალური ძალისხმევით, რაც ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. გაეროს მონაცემებით, ქონებრივი განშრევების კოეფიციენტი იაპონიაში არის მხოლოდ 4,5, საფრანგეთში კი 9,1, დიდ ბრიტანეთში – 13,8, აშშ-ში – 15,9, ჩინეთში – 21,8 [2].

ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციაზე დაფუძნებული შრომითი რესურსების მართვის იაპონური მოდელი, საბაზრო ეკონომიკის მოდელის მსგავსად, კომპანიის ხელმძღვანელობის გარე სამყაროსთან კავშირის დამყარებას ორი ინსტრუმენტით – სამუშაო ძალითა და ტექნოლოგიებით გულისხმობს. ხელმძღვანელს შეუძლია, მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში, დიდი რაოდენობით დაიჭიროს სამუშაო ძალა, ხოლო მოთხოვნის შემცირებისას ის ვერ გამოიყენებს საჯარიმო სანქციებისა და სამუშაოდან დათხოვნის სისტემას. მის შემდგომ პერიოდში სამუშაო ძალის დიდმა დეფიციტმა და ამ პირობებში მუშაკთა შენარჩუნების აუცილებლობამ განაპირობა კადრების შერჩევის ძველი მეთოდის გაუქმება და მის ნაცვლად ახალი მექანიზმის – საგანმანათლებლო დიპლომების რანჟირების შემოღება. ასეთ ვითარებაში ახალგაზრდობა ცდილობს, მიიღოს მაღალრანჟირებული განათლება ტოკიოს, ჰარვარდისა და სხვა მაღალი რეიტინგის უნივერსიტეტებში. თავის მხრივ, ფირმები ისწრაფვიან სამუშაოდ მიიზიდონ ასეთი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები.

გასული საუკუნის 60-იან წლებში გაჩნდა „იაპონური სასწაულის“ ცნება, რაშიც იგულისხმება ელვისებური გარდაქმნები, რომელიც იაპონიის ეკონომიკაში განხორციელდა. ეკონომიკური გარდაქმნების პროცესში, დროის შედარებით მოკლე პერიოდში, ქვეყანამ მართლაც რომ სასწაულის მოხდენა შეძლო სამ ძირითად ფაქტორზე დაყრდნობით. ეს ფაქტორებია: „სიცოცხლის მანძილზე“ შრომითი მოწყოლა, თანამდებობრივი სუბორდინაცია და მეწარმეობის ერთიანობა.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის გარდაქმნის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოტივაციის იაპონურ სისტემას, რომელიც ხელსაყრელია როგორც დაქირავებულების, ისე სამუშაოს მიმცემთათვის, რაც საფუძველს ქმნის მათ შორის კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის და, რაც ძალზე დადებით გავლენას ახდენს როგორც კომპანიის საწარმო-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე, ისე დაქირავებულ მუშაკთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდაზე. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს იაპონიის საფინანსო-ეკონომიკური და სოციალური კლიმატის განვითარებასა და სრულყოფას. იაპონურ პირობებსა და ეროვნულ ფსიქოლოგიას მორგებული მენეჯმენტის სისტემა პრაქტიკულად მუშაობს უზადოდ როგორც ეკონომიკის სწრაფი აღმავლობის პერიოდებში, ისე მისი შენელებული ზრდის დროს.

იაპონური კომპანიები დიდ ყურადღებას უთმობენ შრომით კოლექტივებში ნდობითი ურთიერთობების შექმნასა და განმტკიცებას. ნდობა წარმოშობს საპასუხო ნდობას, რაც ადამიანებს აძლევს უკეთ მუშაობის სტიმულს. „კორპორაციული ერთიანობის“ ეფექტი მიიღწევა მართვის ვერტიკალში მუშებსა და მენეჯერებს შორის დისტანციის შემცირებით, რაც თავის ასახვას პოულობს გარეგნულ გამოვლინებასა და შიდაფორმულ ეტიკეტში. იაპონელ მენეჯერებს სამსახურში არ აქვთ ცალკე კაბინეტები, სასადილოები, ავტოსადგომები, ისეთივე უნიფორმას ატარებენ, როგორსაც მუშები, არიან თანაბარნი და ერთნაირად ძლიერად არიან მშობლიურ კომპანიაზე დამოკიდებულნი. იაპონური მენეჯმენტის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია ფირმების პატერნალური დამოკიდებულება თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ. როცა მუშაკი სამუშაოდ მიდის კომპანიაში, ის აქ თავს გრძნობს, როგორც საკუთარ ოჯახში. ასეთ ვითარებაში ყველა თანამშრომელი ზრუნავს კომპანიის კეთილდღეობაზე, რაზედაც კომპანია თავის თანამშრომლებს ასეთივე დამოკიდებულებით პასუხობს, რაც მისაღებია ორივე მხარისთვის.

ადამიანისეული კაპიტალის მართვის იაპონური კონცეფციის არსი მდგომარეობს კაპიტალდაბანდებების ზრდის უპირობო მხარდაჭერაში, რომელიც მოწოდებულია სამუშაო ძალის მოზიდვის, მისი შრომისუნარიანობის შენარჩუნების, სწავლებისა და უნარ-ჩვევების სრულად გამოვლინების, მუშაკთა მატერიალური და მორალური წახალისებისთვის.

დასკვნა

იაპონია საუკეთესო მაგალითია ქვეყნისა, რომელმაც ადამიანისეული კაპიტალის განვითარების საფუძველზე, მწირი ბუნებრივი რესურსებისა და ისტორიულად მოკლე პერიოდის მანძილზე, არნახულ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკური გარდაქმნებისა და ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. მან ეს უზრუნველყო საგანმანათლებლო სისტემის რადიკალური გარდაქმნის, ფუნდამენტური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გადრმავება-გაფართოების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და სრულყოფის, ამ მიმართულებით ინვესტიციების ზრდისა და მათი მიზანდასახული გამოყენების საფუძველზე. ქვეყანამ შექმნა ადამიანისეული კაპიტალისა და, ზოგადად, ეკონომიკის მართვის უნიკალური სისტემა, რომელიც დღემდე ითვლება ერთ-ერთ მოწინავე სისტემად მთელ მსოფლიოში და რომელიც პრაქტიკულად, უზადოდ მუშაობს როგორც ეკონომიკის აღმავლობის, ისე მისი შენელებული ტემპებით განვითარების პირობებში. ამ საქმეში მისი მდიდარი გამოცდილების გაანალიზებასა და გამოყენებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც ახლა გადადიან ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციაზე დაფუძნებული ახალი ტიპის ეკონომი-

მიკაზე. ამასთან, სხვა ქვეყანაში მისი კოპირება და პირდაპირი გადატანა შეუძლებელიცაა და მიუღებელიც. ამ დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ქვეყნის ისტორიული, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ტრადიციები და თავისებურებები; ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაოდენობა და მათი ათვისების დონე; ეკონომიკური განვითარების, დანაზოგებისა და ინვესტიციების მიღწეული დონე; ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი; ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე მოქმედი საგარეო, საშინაო და სხვა ფაქტორები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XI, თბ., 2018.
2. „<https://irr.n.ru/articles/>“, 2017.
3. „<https://irr.n.ru/articles/>“, 2016.
4. „<https://softblog.am/post/>“, 2016.
5. „<https://irr.n.ru/articles/>“, 2016.
6. „https://allbest.ru/otherterats/economy/00208919_0.htin/“, 2016.
7. „<https://cyberlenika.ru/article/n/>“.
8. „https://stugoredia.ru/2_127499“.
9. <https://www.worldbank.org/en/data/interactive/2018/10/18/human-capital-index-and-components-2018>

Revaz Javakhishvili
Doctor of economics

HUMAN CAPITAL IN THE JAPANESE ECONOMY

Expanded Summary

Japan is a classic example of how, under the conditions of the right natural resources and in the shortest amount of time, based on the development of human capital, the country can overcome economic backwardness and fall into the ranks of advanced highly developed countries. According to the Human Capital Index, Japan is second in the world, along with South Korea. He did this primarily through a radical transformation and refinement of the educational system. Currently, this system in Japan has the following constituent elements: 1. Secondary education, divided into three levels: primary, secondary and senior schools; 2. Higher education institutions with their four levels: universities, vocational colleges, specialty higher education and postgraduate education organizations. Primary and secondary education, which is free of charge, is considered compulsory in the country. All secondary education continues in upper secondary schools, and half in higher education. In total, Japan requires 18 years of education at all levels, while in Russia it equals 15 years, in the US, Germany and France 16 years, and in China 14 years. In the process of learning, the level of professional competence of a learner is

determined by the student's intellectual ability. Based on the exam results, the student has some idea of the possibility of further study.

Japan spends 3.8% of GDP annually on the education system. This equates to 4.1% in Russia, 5.1% in Germany, 5.6% in the US and Great Britain, and 5.9% in France. However, due to the high return on expenditure, the level of coverage of higher education in the country is quite high (48%) and is the leader in the world. In addition, in Japan, serious attention is paid to the development of fundamental scientific research, on which large financial resources are spent each year. As of 2018, US \$ 168.6 billion has been spent on science development in Japan, and it is the world's third largest country by this indicator. In this regard, it is behind only the US (571.1 billion), China (451.2 billion), and is ahead of Germany (118.5 billion), Korea (79.4 billion), France (62.2 billion), India (50.1 billion) and Great Britain (47.2 billion US dollars). Along with science, the Japanese government is in the forefront of further deepening and expanding engineering and test design.

In Japan, significant development and utilization of human capital is underpinned by the development and improvement of population health care, which accounts for 8.1% of the country's GDP. The level of health here is much higher than in the US, where health spending is almost twice as high. Japan has a high level of agility with a median of 6 minutes per patient and 20 minutes in the US. This is achieved by the high level of provision of physicians in Japan, their qualifications, the technical equipment of medical institutions and the organization of their activities, the low level of disease in the country, and the "less regressive" methods of treatment.

In general, the increase in health care spending should be viewed on the one hand as a positive sign that the state is taking care of improving the health of the people, and on the other hand, it is indicating that the health of the population is deteriorating, that people often need medical care. The key here is what the cost structure of health care is. It is desirable to increase the share of total expenditure on recreational, resort-sanitation and preventive measures in comparison with the costs of treatment of diseases. When it is the opposite, it negatively affects the accumulation of human capital and sometimes even causes its losses.

The basis of Japanese health care development is its medical insurance, which is presented in two ways: 1. The National Health Insurance System, which integrates petty entrepreneurs and their family members, the disabled and others; 2. The system of insurance for hired persons, which is the largest and covers all hired workers and their dependents. Insurance does not impose any restrictions on the selection of doctors and medical institutions. Patients' equity participation is set at 10 to 30%, with the upper limit of tax being \$ 677 per month on the average household.

A major determinant of the creativity of the Japanese human capital is the cultural characteristics of the population and the special national mentality that have contributed significantly to the creation of a unique Japanese system of governance that is still considered one of the most advanced in the world. The Japanese have a very strong sense of duty. They are very patient, disciplined and punctual, conscientious and considerate, able to work long hours and perform their duties effectively. They are loyal to the company, confident that if they work well, it will help the company function better, which will have a positive impact on their salaries and bonuses.

The low level of income differentiation of the population is also indicative of the creativity of the Japanese human capital. The salaries of the supervisor and the subordinate are not significantly different from each other, which does not exacerbate labor relations, but increases the interest of workers to work with maximum effort to enhance labor productivity and productivity. According to the UN, the property deprivation ratio in Japan is only 4.5, in France - 9.1, in the UK - 13.8, in the US - 15, 9, in China - 21.8.

The Japanese model of human capital management, like the market economy model, implies linking the company's leadership to the outside world with two tools - workforce and technolo-

gy. The supervisor may, in the event of a demand increase, hire a large amount of labor, and when the demand is reduced he will not be able to use the penalties and dismissal system. In the postwar period, the large shortage of manpower and the need to maintain these conditions have led to the introduction of a new mechanism - educational diplomas, instead of the old recruitment method. In this situation, young people are seeking higher education at Tokyo, Harvard and other top universities. In turn, firms seek to attract graduates from such universities.

Japanese companies pay a great deal of attention to building and strengthening trusted relationships within the labor force that give people an incentive to work better. The effect of "corporate unity" is achieved by reducing the distance between workers and managers in the vertical of management, which is reflected in external manifestation and intrinsic labeling. Japanese managers and workers are equal and strongly dependent on their home company. A characteristic feature of Japanese management is the paternalistic attitude of firms towards employees and their family members. When a worker goes to work at a company, he or she feels there at home. Under such circumstances, all employees care about the well-being of the company, to which the company responds with the attitude that is acceptable and favorable to both parties.

Direct transfer and copying of the great successes of Japan and the accumulated rich experience in developing countries in the field of human capital formation and management are both impossible and unacceptable. At this time, the peculiarities and traditions of the country's historical, economic and cultural development, foreign, domestic and other factors affecting its socio-economic and political development must be taken into account.

ზურაბ გარაყანიძე
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი,
გიორგი ხვიჩია
სტუ-ს დოქტორანტი

რფ-ს მეღვინეობის ახალი კანონმდებლობის შესაძლო გავლენა ქართული ღვინის ექსპორტზე

ანოტაცია. კანონით „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ ღვინის იმპორტიორებს, მათ შორის ქართულ კომპანიებს, ემუქრებათ სატარიფო და არასატარიფო დისკრიმინაცია, რაც ეწინააღმდეგება მსო-ს (WTO) წესებს. კანონის მოთხოვნები შესაძლებელია გასაჩივრდეს მსო-ს დავების განხილვის საბჭოში. აღნიშნული დისკრიმინაცია გამოიწვევს იმპორტული ქართული ღვინოების რუსული ბაზრიდან გამოდევნას არა ჯანსაღი კონკურენციით, არამედ პროტექციონიზმით.

საკვანძო სიტყვები: ექსპორტი, სუბსიდირება, ღვინომასალები, რუსეთის ღვინო, კანონმდებლობა.

შესავალი

2019 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა კანონი „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ (27.12.2019

468- ")¹. მანამდე, 2019

წლის 30 სექტემბერს დამტკიცდა ცვლილებები ფისკალურ კანონმდებლობაში (29 2019 . N 326- "

1

"², რაც

სავარაუდოდ ნეგატიურად აისახება საქართველოდან რუსეთში ღვინის ექსპორტზე.

ძირითადი ტექსტი

რფ-ში 2020 წლის 1 იანვრიდან ღვინის აქციზის განაკვეთი გაიზარდა. ამასთან, გარკვეული სახის ღვინოებზე სუბსიდირება მოხდება ისე, რომ რუსეთის შიგნით წარმოებული და იმპორტირებული ღვინოები დეკლარირებულად/ნომინალურად ერთნაირი განაკვეთით, მაგრამ რეალურად სხვადასხვა აქციზით, დაიბეგრებიან. მომდევნო 3 წელში ე. ი. 2023 წლის 1 ივლისიდან, იკრძალება ღვინომასალების იმპორტი რუსეთში. ამ დრომდე იმპორტირებული ღვინომასალებით დამზადებული ღვინო და 2020 წლის 1 ივლისიდან რუსეთში მოყვანილი ყურძნით წარმოებული ღვინო გაიყიდება როგორც „რუსეთის ღვინო“. ის ისარგებლებს კანონით მინიჭებული სახელმწიფოს პროტექციონისტული (სუბსიდირების, სატარიფო და არასატარიფო) შეღავათებით.

საქართველოდან ღვინომასალა (ჩამოსასხმელი) რუსეთში 2018 წლიდან არ შედის. ქართული ღვინო რუსეთში მხოლოდ დაფასოებული იყიდება, და ერთი შეხედვით, რფ-ს კანონი ჩვენს ექსპორტიორებს პრობლემებს არ უნდა უქმნიდეს. მაგრამ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ რფ-ს „ღვინის“ ახალი კანონი მეღვინეობას არსებით სახელმწიფო მხარდაჭერას აღმოუჩენს, რაც რფ-ს ვენახების ფართობებს

¹<http://pravo.gov.ru/search/index.html?action=search&advanced=true&searchPage=1&query=%22%D0%B8&plugin=1001&search.root=%2F>

² http://cmiki.ru/news/detail.php?SECTION_ID=1&ELEMENT_ID=10308

გააორმაგებს და რუსულ ბაზრებს ხარისხიანი ადგილობრივი პროდუქციით უზრუნველყოფს, ამან კი რფ-ში იმპორტი უნდა შეზღუდოს. კანონით მეღვინეობა და ღვინის წარმოება რუსეთის სოფლის მეურნეობის საბაზისო, თანაც საექსპორტო დარგი უნდა გახდეს. შესაბამისად, 2023 წლიდან საქართველომ შესაძლოა დაკარგოს რუსული ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბაზრისა, რომელიც დღეს ჩვენი ღვინის ძირითადი მომხმარებელია - 2019 წელს იქ გაიგზავნა 133 მლნ დოლარის 70 მლნ ლიტრზე მეტი ქართული ღვინო, ანუ მთელი ღვინის ექსპორტის 61.5% (იხ.ცხრილი 1).

რფ-ში „ღვინის“ კანონის მიღებას გარკვეული ნორმატიული ბაზის შექმნა უძღვრება წინ:

ჯერ ერთი, მის მიღებამდე 3 თვით ადრე, 2019 წლის 30 სექტემბერს, გამოქვეყნდა რფ-ს კანონი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ, რომლითაც 2020 წლის 1 იანვრიდან რუსეთში გაიზარდა ღვინის აქციზის განაკვეთი. ამ კანონით 2020 წელს ღვინის აქციზი 1 ლიტრზე ნაცვლად 18 რუბლისა შეადგენს 31 რუბლს, 2021 წელს - 32 რუბლს, ხოლო 2022 წელს - 33 რუბლს. აქციზით დაიბეგრება ასევე ღვინო მასალა (გარდა დისტილიტის საწარმოებლად გამოყენებულის) და ყურძენი. 2020 წელს აქციზი 1 ტონა ყურძენზე 30 რუბლი იქნება, ხოლო მომდევნო წლებში, შესაბამისად - 31 და 32 რუბლი.³ აქციზის 31 რუბლიანი განაკვეთი 0.75 ლიტრიან ბოთლზე 23.25 რუბლია. ეს ის თანხაა, რასაც იმპორტიორი გადაიხდის. რუსი მეღვინეები ყურძენზე აქციზის კომპენსაციას მიიღებენ, რაც მათთვის აქციზს ფაქტიურად ძველ დონეზე დატოვებს. ამით ადგილობრივ და იმპორტულ ღვინის აქციზის განაკვეთებში განსხვავება უკვე 20 რუბლი გახდება, რაც სხვა გადასახადების დამატების შემდეგ ბოთლი ღვინის ფასს რფ-ში (მალაზიის თაღობამდე) 100 რუბლამდე გაზრდის.

ცხრილი 1⁴

ღვინის ექსპორტი საქართველოდან 2019 წელს		
ქვეყანა	აბანი აბი დოლარი	ლიტრი
სულს	222,945	70,111,248
რუსეთი	133,252	43,125,769
უკრაინა	23,052	8,194,947
ჩინეთი	18,898	5,214,029
პოლონეთი	9,041	3,224,813
ყაზახეთი	8,493	2,639,480
ზღვაროუსი	7,223	2,192,294
დასტია	3,679	1,187,748
აშშ	2,981	475,744
გერმანია	2,146	472,655
ესტონეთი	1,670	516,776
ლიეტუვა	1,661	545,004
მოლდოვა	1,282	441,994
იაპონია	880	127,306
ყირგიზეთი	836	169,151
აზერბაიჯანი	820	136,781
მონგოლეთი	807	211,475
კანადა	732	145,520
გერმანიის ფედერაციული სამეფო	636	130,905
ისრაელი	596	234,586
ნიდერლანდები	519	71,161
დანარჩენი ქვეყნები	3,742	653,112

ეს რუსეთში იმპორტირებულ უცხოურ ღვინოებს - მათ შორის ქართულსაც, წორედ ამ თანხით გააძვირებს. კერძოდ, ეს საკანონმდებლო ცვლილება საკუთარი

³ https://www.gazeta.ru/business/news/2019/09/30/n_13524661.shtml

⁴ ცხრილი შედგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით

ყურძნით მეწარმე რუსი მეღვინეებისთვის შენიღბულ სატარიფო შეღავათებს ითვალისწინებს.

მართალია რუსეთში, ღვინოსთან ერთად, ყურძენიც აქციზური საქონელი გახდა, მაგრამ ფაქტიურად უმნიშვნელო აქციზის გადახდის შემდეგ მეღვინეს შეუძლია მიიღოს გადახდილ აქციზზე მეტი კომპენსაცია. ეს მექანიზმი გეოგრაფიულ აღნიშვნასა და ადგილწარმოშობის დასახელებაზე (ევროპული „აპელაციონების“ სისტემის ანალოგი) აქციზის შეღავათის კომპენსაციისათვის გამოიყენება. ამჟამად რუსეთში დაწურულ ამ კატეგორიის ერთ ბოთლ ღვინოზე აქციზი 3.75 რუბლია, ნაცვლად სხვა კატეგორიაზე, მათ შორის იმპორტულზე დარიცხული 13.5 რუბლისა. ასეთი „ორმაგი“ აქციზი პირდაპირ ეწინააღმდეგება მსო-ს პრინციპებს. საჭიროა რუსეთში ღვინის იმპორტიორების, ძირითადად ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობების ერთობლივი ძალისხმევა ამ დისკრიმინაციული ნორმის გასაუქმებლად. მეტიც, რუსული „ღვინის“ ახალი კანონის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტით მეწარმეს, რომელმაც რუსული ყურძნით რუსეთში ჩამოსახა შუშხუნა ღვინო, შეუძლია ამ პროდუქციის ეტიკეტზე მიუთითოს სახელწოდება „რუსული შამპანური“ („⁵“), რაც ასევე მსო-ს წესების დარღვევაა და ევროკავშირის ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევს.

მეორე, კანონში „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ ისეთი განმარტებები და ტერმინებია, რომლებიც რუსული ბაზრიდან არა მარტო ადგილობრივ და იმპორტულ კონტრაფაქტულ პროდუქციას, არამედ მაღალხარისხიან ქართულ და სხვა იმპორტულ ღვინოებსაც გამოდევნის. კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით „ღვინო“ - ესაა საკვები ალკოჰოლური პროდუქცია, მიღებული ახალი ყურძნის ან დაწურულის დუღილის შედეგად, ეთილის სპირტის 7.5-18%-იანი შემცველობით; „ჩამოსახმელი ღვინო ან შემავარებული ჩამოსახმელი ღვინო (ღვინომასალა)“ - ესაა საცალო ვაჭრობისთვის დაფასოებამდე არსებული ღვინო; ხოლო „რუსეთის ღვინო“ - ესაა ყველანაირი ღვინო, რომელიც მთლიანად (100%) რუსეთის ტერიტორიაზე მოყვანილი ყურძნიდანაა მიღებული.⁶ ეს უკანასკნელი განმარტება იმისთვისაა, რომ სხვა ქვეყნების ღვინოებისაგან განსხვავებით, საცალო ვაჭრობის დარბაზში ან სხვა ადგილას რუსულ ღვინოს გამოყოფილი ჰქონდეს განსაკუთრებული ადგილი წარწერით - „რუსეთის ღვინო“.⁷ კანონის 26-ე მუხლში მითითებულია, რომ თუ ყურძნის შემცველი ალკოჰოლური სასმელების ეტიკეტზე და კონტრეტიკეტზე მითითებული სპირტის მოცულობითი შემცველობა არ აღემატება 22%-ს, მაშინ მწარმოებელმა უნდა მიუთითოს, რომ ეს პროდუქცია ღვინო არ არის - "⁸ და უნდა

განლაგდეს სხვა ღვინოებისაგან ცალკე მდგომ დახლზე.⁸ მე-3 და 26-ე მუხლებს შორის შინაარსობრივ წინააღმდეგობას თავი რომ დავანებოთ, კანონში „ღვინის“ განმარტებით ქართული ღვინოების უმეტესობა რუსეთში ღვინოდ არ ჩაითვლება, ვინაიდან მათში სპირტის მოცულობითი შემცველობა ამდენი არ არის.⁹ ეს მეორე დიდი პრობლემაა ქართული ღვინისთვის, რომელიც მართალია 2019 წლის მონაცემებით რფ-ს ბაზარზე წინა წელთან შედარებით 7-8%-ით მეტი გაიყიდა, მაგრამ მას სამწუხაროდ საკმაოდ მაღალი ფასი აქვს და ახალი „მარკეტინგული დისკრიმინაცია“ მას კარგს არაფერს უქადის...

⁵ რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტი

⁶ რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის მე-3 მუხლის 6-8 პუნქტები

⁷ რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁸ რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის 26-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტი.

⁹ იხ. მაგალითად: საფერავი. ცხრილი 8. მუკუზანი. <https://enoteca.ge/ge/variety/87-Saperavi>

მესამეც, 2023 წლის 1 ივლისიდან მთლიანად აიკრძალება რფ-ს ღვინის მრეწველობაში „...რფ-ში იმპორტირებული ყურძნის, ღვინის, ჭაჭის...“ გამოყენება.¹⁰ ამ დროიდან რუსეთში, ქართული ჩამოსასხმელი ღვინის მსგავსად, აიკრძალება ყველანაირი ჩამოსასხმელი ღვინის შეტანა. მაგრამ დღეისათვის რუსეთში, მიუხედავად მევენახეების სახელმწიფოს მხრივ უპრეცედენტო მხარდაჭერისა, ვენახებს უკავია სულ 93 ათ კა, რაც არასაკმარისია არსებული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. კერძოდ, რფ-ში შეტანილი ღვინომასალა საშუალოდ წლიურად 20 მლნ დეკალიტრია და რუსული ღვინის მრეწველობის ჩამოსხმული ღვინომასალის 40% ფაქტიურად არარუსული, არც ისე დაბალხარისხიანი – ესპანური, სამხრეთაფრიკული, მოლდავეური „წარმოშობისაა“.¹¹ აღნიშნული ჩამოსასხმელი ღვინოები 2023 წლის ზაფხულიდან რუსეთში ვეღარ მოხვდებიან, და შესაბამისად, საჭირო იქნება მათი სხვა იმპორტიორებისკენ გადამისამართება. ეს რუსეთში მდებარე იმ ღვინის ქარხნებზე აისახება ნეგატიურად, რომლებიც ჩამოსასხმელ ღვინოს იყენებენ. შესაბამისად, ამ ქარხნების ინვესტორების დღის წესრიგში დადგება 2023 წლიდან მათი რუსეთიდან გადატანა ისეთ ქვეყნებში, სადაც ჩამოსასხმელი ღვინომასალებით შესაძლებელი იქნება ბოთლის ღვინის ჩამოსხმა. ინვესტორებისათვის ამ ქარხნების განთავსება ყველაზე მისაღები იქნება ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანაში - ვთქვათ სომხეთში, ბელარუსში, სადაც ღვინომასალის შეტანა აკრძალული არ არის, და თანაც, მათ რუსეთთან საბაჟო კავშირი აკავშირებთ. თუმცა ზოგიერთმა ინვესტორმა, ევროკავშირთან CFTA-ს არსებობის და მეღვინეობის მდიდარი გამოცდილების გამო, შესაძლოა საქართველოშიც გადაწყვიტონ თავიანთი ქარხნების გადმოტანა.

ასეთი გადამისამართება კიდევ იმიტაც იქნება განპირობებული, რომ ანექსირებულ ყირიმში ღვინის ქარხნების უმრავლესობას - „მასანდრას“, „ნოვი სვეტს“, „ინკერმანს“, „სევესტოპოლის ღვინის ქარხანას“ უმთავრდებთ ბოთლები. საქმე ისაა, რომ ტარის მწარმოებელ ს/ს „კავმინსტეკლოს“ შეეცვალა მესაკუთრე და ახალმა ამერიკელმა აქციონერებმა აშშ-ს სანქციების გამო შეწყვიტეს ყირიმის ქარხნებში ტარის მიწოდება. მეორე დიდი ტარის ქარხანა „რუსჯამი“ გადატვირთულია შეკვეთებით და არ შეუძლია ბოთლების წარმოება ასორტიმენტის შეზღუდულობის გამო.¹²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ღვინომასალის სიმძლავრეები საქართველოში საკმარისადაა და 2023 წლიდან ისინი რუსეთიდანაც დაემატება, მიზანშეწონილი იქნება ამ მასალის ქართულ და რუსეთიდან საქართველოში გადმოსული პოტენციური ინვესტორების ქარხნებში მიღება-გადაამუშავება და იაფი მზა ღვინის რუსეთში, როგორც ქართულის, ისე შეტანა.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ კანონით „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ ღვინის იმპორტიორებს, მათ შორის ქართულ კომპანიებს, ემუქრებათ სატარიფო და არასატარიფო დისკრიმინაცია, რაც ეწინააღმდეგება მსო-ს (WTO) წესებს. კანონის მოთხოვნები შესაძლებელია გასაჩივრდეს მსო-ს დავების განხილვის საბჭოში. აღნიშნული დისკრიმინაცია გამოიწვევს იმპორტული ღვინოების რუსული ბაზრიდან გამოღვენას არა ჯანსაღი კონკურენციით, არამედ პროტექციონიზმით.

¹⁰ რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი

¹¹ <https://www.forbes.ru/biznes/386459-sezd-pobediteley-kakim-stanet-rossijskoe-vino-pod-prismotrom-vlasti>

¹² <https://sputniksmi.ru/vina-ne-bydet-y-krymskih-vinodelov-konchautsia-bytylki.html>

მიზეზი ისაა, რომ სატარიფო თვალსაზრისით, 2019 წლის 30 სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით ლოჯისტიკურ ჯაჭვში მულტიპლიკატორის ეფექტის გათვალისწინებით, აქციზის „რუსეთის ღვინოსა“ და იმპორტულ განაკვეთებს შორის 10 რუბლის სხვაობა საცალო ფასში უკვე 40-50 რუბლის სხვაობის ტოლი ხდება, რაც რუსეთის მაღაზიების უმეტესობაში მასიურად მოთხოვნადი 300-400 რუბლიანი ღვინოების რეალიზაციის შეფერხებას გამოიწვევს. ესაა ბაზრის ის ყველაზე კონკურენტული და მასიური სეგმენტი, რისთვისაც ყოველთვის ბრძოლა მიმდინარეობს. ახალ რუსულ სატარიფო ბარიერს აძლიერებს ის, რომ რფ-ს ახალი საგადასახადო და საბიუჯეტო კანონმდებლობით გეოგრაფიულ აღნიშვნისა და ადგილწარმოშობის დასახელების მქონე რუსულ ღვინოებს იმპორტულთან შედარებით დაბალი, სუბსიდირებული აქციზი აქვთ. ასეთი „ორმაგი“ აქციზი ეწინააღმდეგება მსო-ს პრინციპებს. საჭიროა რუსეთში ღვინის იმპორტიორების, მათ შორის ევროკავშირის წევრების ერთობლივი ძალისხმევა ამ დისკრიმინაციული ნორმის გასაუქმებლად.

არასატარიფო თვალსაზრისით, რფ-ს „ღვინის“ ახალ კანონში ცნების „რუსეთის ღვინო“ შემოღება და ამით მისთვის ქვეყნის საცალო ვაჭრობის ქსელში სავაჭრო პრეფერენციების მინიჭება, აგრეთვე სპირტის მოცულობითი შემცველობის ზღვარის დაწესება და ამ ზღვარზე დაბალი სპირტიანობის სასმელის ღვინოდ არ ცნობა, ეწინააღმდეგება მსო-ს პრინციპებს.

კანონით „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ მე-3 და 26-ე მუხლებით ყურძნის სასმელი, ეთილის სპირტის მოცულობითი შემცველობით 14.5%-დან 20%-ის ფარგლებში, არ არის ღვინო, არამედ ესაა არომატიზებული სასმელი. საქართველოს კანონით „ვაზისა და ღვინის შესახებ“ კი ღვინოდ მიჩნეულია ეთილის სპირტის მოცულობითი შემცველობით მინიმუმ 9%-ის მქონე ყურძნის სასმელი. თანაც ქართული ღვინის ფაქტიური სპირტის შემცველობა მაქსიმუმ 14%-15%-ის ფარგლებშია. ზემოაღნიშნული ქართველ იმპორტიორებს რუსულ ბაზარზე შეღწევა გაუართულებს.

დასკვნა

ამრიგად იმისთვის, რომ 2020 წლიდან მოქმედმა რფ-ს ახალმა კანონებმა ქართული ღვინის ექსპორტის შეფერხება არ გამოიწვიოს, საჭიროდ მიგვაჩნია:

- საქართველოს მთავრობამ მიმართოს ევროკომისიას რუსეთის მიერ 2019 წლის ბოლოს მიღებული „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ კანონის დისკრიმინაციულად ცნობის შესახებ. სავარაუდოდ, მიმართვას ევროპის ღვინის მწარმოებელი/ექსპორტიორი ქვეყნების უდავო მხარდაჭერა მოჰყვება;
- საქართველოს საგარეო, ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა მოამზადონ და საქართველოს მთავრობას წარუდგინონ დადგენილების პროექტი „ღვინის ექსპორტის დივერსიფიკაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად მიმართოს მსო-ს (WTO) დავების განხილვის საბჭოს რფ-ს მიერ 2019 წლის 30 სექტემბრის ფისკალური სფეროს საკანონმდებლო ცვლილებების, ამ ორგანიზაციის პრინციპებთან (სატარიფო/არასატარიფო) შეუსაბამობის შესახებ;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნულმა სააგენტომ დაამყაროს კონტაქტები რფ-ში ღვინომასალების მიმწოდებელ ევროპულ კომპანიებთან და ინვესტორებთან, მომავალში მათთან

ქართველი მეწარმეების სამეურნეო კავშირების განსავითარებლად და საქართველოში ღვინომასალის ჩამოსასხმელი სიმძლავრეების რუსეთიდან გადმოსატანად;

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნულმა სააგენტომ წარმოადგინოს წინადადებები ქართველი მეწარმეების ლიცენზირებაში რეზერვების გამოსავლენად, რათა მოხდეს რფ-ს აქციზის ახალი, გაზრდილი განაკვეთების კომპენსირება.

Zurab Garakanidze,
Ph.D.,
Giorgi Khvichia,
Ph.D. candidate

**THE POSSIBLE INFLUENCE OF THE RECENT RF'S WINE LEGISLATION ON
THE GEORGIAN WINE EXPORT
Expanded Summary**

Despite Russia's WTO accession in August 2012, control over imported foodstuffs by Russian agencies

remains complicated and bureaucratic. While the legal framework has improved, in practice, Russia has not yet taken all of the steps expected towards improving the environment for trade. Moreover, since August 2014, Russia has had a ban on a wide range of agricultural products from the United States,

Canada, European Union, Australia, and Norway and several other countries in retaliation for economic

sanctions against Russia. This ban is now extended on the wine import in Russia.

On the one hand, by the end of summer 2019 the Russian President Vladimir Putin signed a law under which the excise duty for wines have significantly increased from January 1, 2020. The document published on the official portal of legal information amends Part 2 of the Tax Code.

As appears from the document, the excise rate by usual wines will increase from 18 rub to 31 rub for liter in 2020, 32 rub - in the 2021st and 33 rub in the 2022nd. On sparkling wines, the rate will increase from the current 36 rubles to 40 rubles/l in 2020, 41 rubles - in 2021 and 43 rubles - in 2022. The financial and economic justification of the law states that its entry into force will ensure the receipt of additional budget revenues in the amount for about 22 billion rubles annually.

At the same time, the law refers to sub-excise goods wine materials and grapes used for wine production. Excise rates on them should be 31 rubles/l and 30 rubles/t respectively, with an increase of 1 ruble in the next two years. At the same time, wine producers from Russian grapes will be entitled to tax deductions. The excise sums estimated when using the grapes belonging to the taxpayer on the property right for production of wine, sparkling wine, wine materials, and alcoholic drinks on technology of a full cycle will be deductible. The government said the hike is necessary to increase budget revenues.

According to the current code, Russian usual and sparkling wines with protected geographical indication and protected name of origin are subject to a preferential excise rate.

The adopted changes equalize rates on Russian and imported wines, which brings Russian legislation into line with WTO rules, the Ministry of Finance said earlier. At the same time, the amendments allow to silent support Russian winemakers, as beverage producers will be able to receive tax deductions on excise when using their own grapes. As a result, the tax burden on

excise for producers of wines from domestic grapes will decrease in times and import duties, for example on Georgian wine, will increase drastically.

On the other hand, the RF State Duma has adopted a bill regulating winemaking and wine trade in Russia in the third and final reading. The bill is aimed to develop the field, produce high-quality goods and protect citizens from fakes. The draft law sets legal, institutional, technological and economic basis of winemaking and winegrowing, determines conditions and order of the state support of this field, fixes powers of state and regional authorities and legal position of people engaged in winemaking and winegrowing.

Currently, Russia has no systematic regulation of winemaking. The legislative proposal stipulates a consistent legal regulation of production and sales of the winemaking and winegrowing products, an explanatory note to the document read.

Moreover, existing legislation concerning alcohol production and circulation is focused on highly alcoholic beverages and doesn't control for the specifics of Russian winemaking and winegrowing that prevents wine producers from development and impedes state supervision, the bill's authors believe.

The draft law envisages state aid to the development of winemaking and winegrowing and determines its possible types.

The initiative also points the protectionist order of creation and activity of self-regulatory winemaking and winegrowing organizations, which would be established in accordance with the territorial division of vinelands. The rules of wine production and raw materials and supplies requirements are set in the bill as well.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოციირებული პროფესორი

**ლიკვიდობის პოზიციის მართვის თავისებურებაანი
ბიზნესსუბიექტებში**

ანოტაცია. ნაშრომი ეხება ეკონომიკის ბიზნესსექტორში კომპანიების მიერ ანალიტიკური ფინანსური ინსტრუმენტების (კერძოდ, ლიკვიდობის ინდექსების) გამოყენების აუცილებლობის დასაბუთებას. მასში ასევე გამოკვეთილია ფინანსური ანალიტიკოსებისა და მენეჯერების მიერ იმ სპეციფიკური ნიუანსების გათვალისწინების საჭიროება, რომელთა მხედველობაში მიღება აამაღლებს ბიზნესსუბიექტების ანალიტიკური „კულტურის“ დონეს და მათი ეკონომიკური საქმიანობის შეფასების ეფექტიანობას.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესსუბიექტი, ფინანსური ანალიზი, ლიკვიდობის პოზიცია, ფინანსური ინდექსი, გადახდისუნარიანობა.

შესავალი

თანამედროვე პირობებში კომპანიებს უხდებათ სხვადასხვა სირთულისა და მასშტაბის მრავალმხრივი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა შორისაც თავისი არსით და ხასიათით უმნიშვნელოვანესია მოკლევადიანი, საოპერაციო გადაწყვეტილებები, რადგან ისინი დაკავშირებულია ბიზნესსუბიექტების ლიკვიდობის შენარჩუნებასთან. ლიკვიდობა, სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან ერთად, ითვლება კომპანიათა ფინანსური მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების ფუნდამენტურ ინდიკატორად, რადგან სწორედ ლიკვიდობის პოზიციის მუდმივი მონიტორინგი იძლევა კომპანიათა გადახდის უუნარობის პრევენციის საბაზისო სიგნალებს.

იკვიდობის პოზიციის მნიშვნელობა ბიზნესსუბიექტებისათვის

ბაზარზე კონკურენტულ გარემოში მოქმედი ნებისმიერი ბიზნესსუბიექტისათვის ფინანსური მდგომარეობის შეფასების მნიშვნელოვან ინდიკატორს ლიკვიდობა წარმოადგენს. ლიკვიდობის ანალიზის დროს, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ კომპანიის დამოკიდებულება მოკლევადიან და გრძელვადიან კორპორაციულ-ფინანსურ მიზნებს შორის. ლიკვიდობის კონტექსტში კომპანია ძირითადად აქცენტირდება მოკლევადიან მიზნებსა და ფინანსურ გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, კომპანიას შეიძლება ჰქონდეს რენტაბელობის მეტნაკლებად საკმარისი დონე, მაგრამ გააჩნდეს ლიკვიდური სახსრების დეფიციტი ანუ ფინანსური „ვაკუუმი“, რამაც შეიძლება იგი მიიყვანოს გადახდის უუნარო მდგომარეობამდე. სწორედ ასეთი მდგომარეობის თავიდან აცილების და ლიკვიდური ნაკადების მუდმივი დაკვირვების მიზნით გამოიყენება ლიკვიდობის ფინანსური ინდექსები.

ბიზნესსუბიექტის ლიკვიდობა ფართო ცნებაა და მოიცავს როგორც მისი აქტივების ლიკვიდობის დონეს, ასევე მისი ბალანსის ლიკვიდობის პოზიციურ მდგომარეობას, კერძოდ, თუ რამდენად გაჯერებულია კომპანია ლიკვიდური ნაკადებით, რასაც ასევე ე.წ. ლიკვიდობის „ბალიში“ [Saleem, Rehman. 2011. გვ. 96]. ზომავს. იგი ძირითადად განისაზღვრება აბსოლუტური მაჩვენებლით, კერძოდ, სამუშაო კაპიტალის სიდიდით [Fridson, Alvarez. 2011. გვ. 210] /სამუშაო კაპიტალი = მიმდინარე აქტივები - მიმდინარე ვალდებულებები/. იმაზე დამოკიდებულების მიხედვით, თუ როგორია კომპანიის ლიკვიდობის პოზიცია, ლიკ-

ვიდობის მდგომარეობა შეიძლება იყოს სამეგარი: 1. დეფიციტური ლიკვიდობა; 2. ოპტიმალური ლიკვიდობა; 3. ჭარბი ლიკვიდობა. დეფიციტური და ჭარბი ლიკვიდობა ბიზნესისათვის შეიძლება თანაბრად საზიანო იყოს, რადგან ერთ შემთხვევაში კომპანია ვერ უკეთებს გენერირებას ლიკვიდურ ნაკადებს, ხოლო მეორე შემთხვევაში შეიძლება ვერ ახდენდეს ასეთი ნაკადების ეფექტიან გამოყენებას. რაც შეეხება ოპტიმალურ ლიკვიდობას, მისი გაანგარიშება ფინანსური ინდექსების გამოყენებით „ართიმეტიკული“ თვალსაზრისით მეტად მარტივია, მაგრამ ფინანსური შინაარსის გათვალისწინებით –საკმაოდ რთული [Rice, 2011.გვ. 183], რადგან ფუნდამენტურად არის მხედველობაში მისაღები გამოთვლების ფინანსური ნიუანსები და მიღებული შედეგების მართებული ფინანსური ინტერპრეტირებები.

ბიზნესის ფინანსურ ანალიტიკაში ბიზნესსუბიექტების ლიკვიდობის დონის განსასაზღვრავად და ლიკვიდობის პოზიციის გასაგებად, კონვენციური მიდგომით, ძირითადად გამოიყენება შემდეგი ლიკვიდობის ფინანსური ინდექსები: მიმდინარე (საერთო) ლიკვიდობის კოეფიციენტი, შუალედური (სწრაფი) ლიკვიდობის, ანუ მუავა-ტესტის კოეფიციენტი და აბსოლუტური ლიკვიდობის (გადახდისუნარიანობის) კოეფიციენტი:

1. მიმდინარე ლიკვიდობის ინდექსი – მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები ≥ 2

მიმდინარე ლიკვიდობის ინდექსი გვიჩვენებს, თუ რამდენად გააჩნია კომპანიას საკმარისი მიმდინარე აქტივები იმისათვის, რომ დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. სხვაგვარად, იგი გვიჩვენებს კომპანიის მიმდინარე დავალიანებათა გასტუმრების უნარს. ამასთან, კომპანიის მიმდინარე აქტივებმა უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ მიმდინარე ვალდებულებების უპრობლემოდ დაფარვა, არამედ ბიზნესციკლის ნორმალური განხორციელებაც. საანალიზო ინდექსის ნაკლოვანებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მიმდინარე დავალიანებათა დასაფარავად კომპანიას შეუძლია გამოიყენოს მთლიანი მიმდინარე აქტივები მხოლოდ „საგანგებო“ სიტუაციაში, რადგან ეს მისი საქმიანობის შეწყვეტას გამოიწვევს და ასევე ის, რომ მიმდინარე აქტივების ცალკეული ელემენტები განსხვავებული ლიკვიდურობით ხასიათდებიან და, ამდენად, მათი საშუალებით გადახდის შესაძლებლობები საკმაოდ განსხვავებულია. ლიკვიდობის საერთო დონის სრულყოფილი შეფასების მიზნით, მიმდინარე აქტივები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ მსხვილ ჯგუფად: 1. მარაგები, 2. მოთხოვნები და 3. ფულადი საშუალებები. შევნიშნოთ, რომ ლიკვიდობის ანალიტიკური მიზნებისათვის, მარაგები მიზანშეწონილია დავით: ა) საწარმოო მარაგები; ბ) მარაგები წარმოებაში; გ) სასაქონლო მარაგები [Neale, McElroy, 2004. გვ.196], მოთხოვნების კომპონენტთან მიზანშეწონილია გავათანაბროთ წინასწარ გაწეული ხარჯები, გაცემული ავანსები და სხვა მსგავსი განაცემები, ხოლო კომპანიის ფულადი სახსრები უნდა მოიცავდეს ასევე მოკლევადიან ინვესტიციებს.

2. სწრაფი ლიკვიდობის ინდექსი – (მიმდინარე აქტივები – მარაგები) / მიმდინარე ვალდებულებები 1

გ.წ. „მუავა-ტესტის“ ინდექსი გვიჩვენებს, თუ რამდენად იფარება კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები შედარებით მაღალლიკვიდური მიმდინარე აქტივების ხარჯზე, ამიტომ აღნიშნულ კოეფიციენტში მიმდინარე აქტივებიდან გამოირიცხება მარაგები, როგორც მისი ყველაზე არალიკვიდური კომპონენტი. აღნიშნული მაჩვენებლის გამოთვლის აუცილებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ არაერთგვაროვანია სხვადასხვა მიმდინარე აქტივების ლიკვი-

დობის ხარისხი. თუ, მაგალითად, ფულადი საშუალებები გამოიყენება უშუალოდ მიმდინარე ვალდებულებათა დასაფარავად, მარაგები ამ მიზნით გამოიყენება მხოლოდ მათი რეალიზაციის შემდეგ, რაც მოითხოვს გადახდისუნარიანი მყიდველის არსებობას. როცა ვაანალიზებთ მოცემულ ინდექსს, აუცილებელია შევავასოთ ის ფაქტორები, რომლებმაც გამოიწვია მისი ცვლილება. მაგალითად, მოცემული ინდექსის მნიშვნელობა შეიძლება გაზრდილი იყოს დებიტორული დავალიანებების გაუმართლებელი ზრდით, რაც, ბუნებრივია, არ არის პროზიტიური ტენდენცია.

3. აბსოლუტური ლიკვიდობის ინდექსი – (მიმდინარე აქტივები – მარაგები – მოთხოვნები) / მიმდინარე ვალდებულებები 0,5

აბსოლუტური ლიკვიდობის ანუ გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი გვიჩვენებს კომპანიის მზადყოფნას, დაუყოვნებლივ დაფაროს თავისი მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივების ყველაზე ლიკვიდური ნაწილით – ფულადი საშუალებებით. შევნიშნოთ, რომ კომპანიის მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდობის ინდექსების მნიშვნელობები შეიძლება იყოს მაღალი, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავდეს იმას, რომ კომპანია არის გადახდისუნარიანი, თუკი მიმდინარე აქტივებში შედარებით დაბალია მაღალლიკვიდური კომპონენტების ხვედრითი წონა. აქედან გამომდინარეობს განსხვავება ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობას შორის: კომპანია შეიძლება იყოს ლიკვიდური, მაგრამ არ წარმოადგენდეს გადახდისუნარიანს, მაგრამ თუ იგი გადახდისუნარიანია, ე.ი. აუცილებლად ლიკვიდურაცაა [Ковалев, 1998. გვ. 97]. ამდენად, ამ გაგებით და ასეთი მიდგომით, ლიკვიდობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც დინამიკური, ხოლო გადახდისუნარიანობა, როგორც – სტატიკური მანველებელი.

ლიკვიდობის ანალიზში გასათვალისწინებელი ნიუანსები

ბიზნესსუბიექტების ლიკვიდობის დონის გაანგარიშება, სხვადასხვა ფინანსური ინდექსის ან მათი კომბინირებული გამოყენების გზით, მოითხოვს რამდენიმე ნიუანსის მხედველობაში მიღების აუცილებლობას, რაც ლიკვიდობის ანალიზს და შესაბამისი შედეგების ფინანსურ ინტერპრეტირებას გახდის უფრო მეტად სრულყოფილს და მოქნილს, კერძოდ:

1. გონივრულ და ფრთხილ მიდგომას მოითხოვს ლიკვიდობის ფინანსური ინდექსების გაანგარიშება და ინტერპრეტირება ისეთი კომპანიებისათვის, რომლებიც მომწოდებლებისაგან სარგებლობენ „განვადების“ მნიშვნელოვანი პერიოდით (მაგალითად, სუპერმარკეტები), რაც ზრდის კრედიტორული დავალიანებების მოცულობას. ასევე, ასეთი ბიზნესსუბიექტების დებიტორული დავალიანებების არარსებობა (ან უკიდურესად დაბალი დონე) შესაბამისად ამცირებს საანალიზო მანველებლების მნიშვნელობას [ACCA-3.7, 2003. გვ. 56, 66]. ამასთან, შედარებით დაბალი საქმიანი აქტიურობის მქონე (ე.წ. „ნელი“) ბიზნესსუბიექტების შემთხვევაში, როგორცაა მაგალითად, სამშენებლო ბიზნესი, ხანგრძლივი ტექნოლოგიური ციკლის მქონე წარმოებები, აგრობიზნესის ზოგიერთი მიმართულება და სხვა, საკვებით მიზანშეწონილი და მისაღებია ლიკვიდობის ინდექსების საორიენტაციო ნორმატიული მნიშვნელობების შედარებით დაბალი ზღვრების გამოყენება (მიმდინარე ლიკვიდობისათვის – 1, სწრაფი ლიკვიდობისათვის – 0,7, აბსოლუტური ლიკვიდობისათვის – 0,2).

2. მიზანშეწონილია, მოვასხილოთ ლიკვიდობის ინდექსების „ფილტრაცია“ მათი ზუსტი და ობიექტური გაანგარიშების მიზნით, რაც ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული კომპანიის ფინანსური ანალიტიკოსის მიდგომაზე, კერძოდ, სასურველია: ა) ფულადი აქტივების კომპონენტებიდან გამოვრიცხოთ

მისი ის ნაწილი, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია (მაგალითად, საგარანტიო, სააკრედიტო, საინკასო, სადეპოზიტო და სხვა მსგავსი ე.წ. „გაყინული“ ფულადი სახსრები); ბ) მოთხოვნების კომპონენტებიდან გამოვრიცხვით ის დებიტორული დავალიანებები, რომელთა ამოღება ანალიზის საფუძველზე შეუძლებელია (მაგალითად, მოთხოვნების ჯამური თანხის საშუალოდ განსაზღვრული პროცენტი), ასევე, საექვო მოთხოვნები, შედარებით დიდი ვადის მქონე დებიტორული დავალიანებები; გ) მარაგებიდან გამოვრიცხვით ის ნაწილი, რომელიც ნაკლებად ბრუნავს საოპერაციო ციკლის განმავლობაში (მაგალითად, სათადარიგო ნაწილები, რომლებიც მარაგებადაა აღრიცხული და არ გამოიყენება ინტენსიურად; ე.წ. „ჩაწოლილი“ მარაგები; სპეციფიკური და დიდი ინტერვალით გაყიდვადი მარაგები; პროდუქცია, რომლის რეალიზაცია გარკვეული ობიექტური მიზეზის გამო ვერ ხერხდება და ა.შ.).

3. ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში/ქვესექტორში/საქმიანობაში მოქმედი ბიზნესსუბიექტებისათვის ლიკვიდობის ოპტიმუმი შეიძლება იყოს განსხვავებული, კერძოდ: ა) კომპანიებს, რომელთაც აქვთ დიდი ოდენობის ნაღდი ფულადი გაყიდვები და მცირე ოდენობის კრედიტში გაყიდვები, ექნებათ მცირე დებიტორული დავალიანებები და გადახდისუნარიანობის ინდექსის მაღალი მნიშვნელობა; სავაჭრო კომპანიებს ექნებათ უფრო მეტად სასაქონლო მარაგები, ხოლო მწარმოებელ კომპანიებს – საწარმოო მარაგები, რაც გასათვალისწინებელია ინდექსების გამოთვლისას. ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ ბიზნესსუბიექტების დივერსიფიცირებისა და საქმიანი აქტიურობის ფაქტორი. კერძოდ, რაც უფრო დივერსიფიცირებული და მაღალი საქმიანი აქტიურობის მქონეა კომპანიის საქმიანობა, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო მაღალი იქნება ლიკვიდობის ინდექსების მნიშვნელობები.

4. მხედველობაშია მისაღები ასევე საბაზრო კონიუნქტურა და მარაგების შექმნის პერიოდულობა და თავისებურებანი. მაგალითად, კომპანიამ შესაძლოა გარკვეულ მარაგებზე ფასების მოსალოდნელი ზრდის გამო წინასწარ შექმნას (შეიძინოს) და დაარეზერვოს მარაგების განსაზღვრული ოდენობა, რაც „ხელოვნურად“ გაზრდის მარაგების კომპონენტის მნიშვნელობას ლიკვიდობის ინდექსების გამოთვლაში.

5. მნიშვნელოვანია მიმდინარე ვალდებულებების ფორმირების ფაქტორი იმ თვალსაზრისით, რომ ხშირ შემთხვევაში, ვინაიდან კრედიტორული დავალიანებები წარმოადგენს სესხებთან შედარებით იაფ წყაროს, კომპანიები მიმართავენ მათ გამოყენებას და ახდენენ გადახდისუნარიანობის რისკის ზრდას ასეთი ვალდებულებების გადიდების ხარჯზე, რაც ამცირებს შესაბამისად კონკრეტული ბიზნესსუბიექტის ლიკვიდობის დონეს.

6. ლიკვიდობის პოზიცია, ასევე, დამოკიდებული შეიძლება იყოს ბიზნესის ზომასა და ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბზე, მაგალითად, მსხვილმა კომპანიებმა შეიძლება გამოიყენონ თავიანთი საბაზრო პოზიცია და მომწოდებლებისაგან მიიღონ შედარებით გაზრდილი კრედიტორული დავალიანებების პერიოდი, მაშინ, როდესაც მცირე და ახალდაფუძნებულ კომპანიებს შეიძლება მომწოდებლებმა მოთხოვნ მიწოდებული საქონელ-მომსახურების ღირებულების დაუყოვნებლივი ანაზღაურება.

7. ლიკვიდობის ინდექსების მნიშვნელობები შეიძლება იყოს შესაბამის ნორმატიულ მნიშვნელობებზე გაცილებით მაღალი, რაც არ არის სასურველი და მიუთითებს იმაზე, რომ ბიზნესსუბიექტმა მოახდინა ჭარბი ინვესტირება მიმდინარე აქტივებში, რის გამოსავლენადაც, ლიკვიდობის კოეფიციენტებთან ერთად, ასევე სასურველია მოვახდინოთ საფინანსო ციკლის (ფულის კონვერსიის ციკლის) ანალიზი და შეფასება [Richards, Laughlin.1980, გვ. 34-35].

8. ლიკვიდობის შეფასებისას მნიშვნელოვანია დამოკიდებულება კრედიტორებისა და აქციონერების მხრიდან [Akhrahadze, 2013.გვ. 61]. კერძოდ, ლიკვიდობის მაღალ დონეს კრედიტორები ყოველთვის პოზიტიურად აფასებენ, რადგან იგი ასოცირდება ლიკვიდური ნაკადების არსებობასა და სესხის დაფარვის პოტენციურ შესაძლებლობასთან, ხოლო ასეთ ჭარბ ლიკვიდობას ბიზნესის პარტნიორები და პოტენციური ინვესტორები შეიძლება უყურებდნენ შედარებით „სკეპტიკურად“, თვლიდნენ რა, რომ კომპანია ვერ იყენებს თავის მიმდინარე აქტივებს მაქსიმალური ეფექტიანობით.

9. ბიზნესსუბიექტის ფინანსური ანალიტიკოსი უნდა დააკვირდეს, თუ რამდენად დაცლებულია ერთმანეთს ლიკვიდობის ინდექსების გამოთვლის შედეგად მიღებული მნიშვნელობები (ე.წ. დიაპაზონური დაცვლება), რაც შეიძლება მიუთითებდეს ლიკვიდობის არასასურველ სტრუქტურაზე, ამიტომ მიზანშეწონილია ისინი ახლოს იყოს ერთმანეთთან, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროა ღრმა ანალიზი მიმდინარე აქტივების შედარებით ნაკლებად ლიკვიდური კომპონენტების დონეზე.

10. ლიკვიდობის ინდექსები არ უნდა გამოვთვალოთ „ხისტად“, რადგან მათი ნორმატიული მნიშვნელობები დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა ეკონომიკის სექტორი, მიმდინარე აქტივების სტრუქტურა, ბიზნესის სტაბილურობა, გაყიდვების სპეციფიკა, მიმდინარე აქტივების წილი მთლიან აქტივებში და სხვა.

ლიკვიდობის ანალიტიკურ-პრაქტიკული ასპექტები

აღსანიშნავია, რომ ლიკვიდობის ინდექსების გამოთვლა და ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგი წარმოებს როგორც „ინსაიდერული“ (შიგა), ასევე „აუთსაიდერული“ (გარე) ფინანსური ანალიზის ჩარჩოებში. ინსაიდერული ანალიზი გულისხმობს კომპანიის შიგნით ფინანსურ ანალიტიკოსთა/მენეჯერთა მიერ მისი ფინანსური მდგომარეობის სრულყოფილი შეფასების მიზნით ჩატარებულ ლიკვიდობის ანალიზს, ხოლო აუთსაიდერული ანალიზის ქვეშ მოიაზრება კომპანიის დაინტერესებული მხარეების (განსაკუთრებით ინვესტორების და კრედიტორების) მიერ „სამიზნე“ კომპანიის ლიკვიდობის პოზიციის განსაზღვრა რელევანტური ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. შევნიშნოთ, რომ ასეთი ანალიტიკური მიდგომები საქართველოს ბიზნესსექტორში დიფერენცირებულია და ხშირ შემთხვევაში ზედაპირულიც კი, განსაკუთრებით კომპანიათა შიგა ფინანსური ანალიზის კონტექსტში, მაშინ, როდესაც ასეთ ინსტრუმენტებს ინტენსიურად იყენებენ კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საშუალო და მსხვილი ბიზნესსესხების გაცემისას კრედიტუნარიანობის შეფასების მიზნით. რაც შეეხება, საინვესტიციო ანალიტიკოსებს, მათთვის ფინანსური (მათ შორის ლიკვიდობის) ინდექსები წარმოადგენს საინვესტიციო პროექტების შეფასების ფინანსური ინდიკატორების დამხმარე ინსტრუმენტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალიტიკური ფინანსური ინსტრუმენტები, საქართველოს ბიზნესსექტორში, უპირატესად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია: წარმოადგენს მსხვილ და სტრუქტურირებულ ბიზნესს; ფლობს გამართულ მენეჯმენტის სისტემას; წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს ან მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სუბიექტს; იმყოფება ფინანსურ ინსტიტუტებთან მჭიდრო პარტნიორულ კავშირში; ეწევა სპეციფიკურ (მაგალითად, რეგულირებად) საქმიანობას, რაც მოითხოვს სათანადო ფინანსურ ანალიტიკას. რაც შეეხება ანალიტიკური ფინანსური (მ.შ. ლიკვიდობის) ინსტრუმენტების

შეზღუდულ გამოყენებას პრაქტიკაში, იგი შეპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ბიზნესის დამფუძნებლებისა და ფინანსური მენეჯერების გაუბრალოებული და ზედაპირული დამოკიდებულება ზოგადად ანალიტიკური მიდგომებისადმი; პროფესიონალ ფინანსურ ანალიტიკოსთა ვიწრო წრე; ანგარიშგებითი მოთხოვნების ჯერ კიდევ დაბალი დონე; განვითარებაზე ორიენტირებული კორპორაციული ფინანსების ნაკლებობა; ფინანსური რეპორტირებისათვის აუცილებელი ინფორმაციის დამუშავებით შემოსაზღვრა.

იმისათვის, რომ ამაღლდეს ფინანსური ანალიტიკის როლი და მნიშვნელობა ბიზნეს სექტორში, აუცილებელია მთელი რიგი ღონისძიებების კომპლექსური შემუშავება და პრაქტიკული იმპლემენტაცია: 1. კომპანიათა მმართველობითი ფინანსური ბირთვის მიერ კომპანიის საქმიანობის შესაბამისი ანალიტიკური ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავება, პროგრამული „ჩაშენება“ და გამოყენება; 2. ბიზნესის ფინანსური გადაწყვეტილებების დაფუძნება ანალიტიკურ მიდგომებსა და მეთოდებზე; 3. ფინანსური ინდექსების გამოთვლითი ტექნიკების დანერგვა და ფაქტობრივი მაჩვენებლების სისტემური და სისტემატური მონიტორინგი; 4. ფინანსურ ინსტიტუტებთან, ბიზნესსესხების აღებისას, კრედიტუნარიანობის შეფასების კონტექსტში, მჭიდრო კოორდინაცია და სათანადო ანალიტიკური ბაზების მომზადება; 5. სახელმწიფოს მხრიდან, საშუალოვადიან პერიოდში, ფინანსური ბენეფარკინგის სისტემის შემუშავების და დანერგვის ეფექტური წინაწირობების შექმნა.

დასკვნა

ამდენად, ლიკვიდობის პოზიციის გაუმჯობესება ნებისმიერი ბიზნეს-სუბიექტის უმნიშვნელოვანესი მოკლევადიანი ფინანსური ამოცანაა, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული მოსალოდნელი გადახდისუნარიანობის და, შესაბამისად, გაკორტრების რისკების თავიდან აცილება და განეიტრალება. ამიტომ აუცილებელია ლიკვიდობის დონეზე პერმანენტული დაკვირვება და მონიტორინგი, ამისათვის კი საჭიროა საინფორმაციო ბაზის დამუშავება და სრულყოფა იმ პერიოდულობით, რითაც გამოითვლება ლიკვიდობის ინდექსები კონკრეტულ კომპანიაში. ამასთან, საკვანძო მნიშვნელობისაა ლიკვიდობის ინდექსების არა იზოლირებული გამოთვლა და ინტერპრეტირება, არამედ სხვა ფინანსურ ინდექსებთან (ფინანსური მდგრადობის, რენტაბელობის, ბრუნვადობის, საბაზრო აქტიურობის, საფინანსო ციკლისა და ფულადი ნაკადების) კომბინაციაში მათი შეფასება, რათა ბიზნესსუბიექტის ერთიანი „ფინანსური სურათი“ იქნეს დანახული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. AkhrakhadzeSh. 2013. Financial Analysis in Practice. Tbilisi, Favorite Print.
2. Fridson M., Alvarez F. 2011. Financial Statement Analysis. Fourth Edition. New York, Wiley.
3. Neale B., McElroy T. 2004. Business Finance (A Value-Based Approach). Edinburgh, Prentice Hall.
4. Rice A. 2011. Accounts Demystified. Sixth Edition. Edinburgh, Prentice Hall.
5. Richards V. D., Laughlin E. J. 1980. A Cash Conversion Cycle Approach to Liquidity Analysis. Financial Management, Vol. 9, No. 1, pp. 32-38. Retrieved from: https://s3.amazonaws.com/academia.edu.documents/28201852/A_cash_conversion_cycle_approach.pdf?response-content-disposi-

- [tion=inline%3B%20filename%3DA_cash_conversion_cycle_approach_on_Work.pdf&X-Amz-Algorithm=AWS4-HMAC-SHA256&X-Amz-Credential=AKIAIWOWYYGZ2Y53UL3A%2F20200306%2Fus-east-1%2Fs3%2Faws4_request&X-Amz-Date=20200306T115442Z&X-Amz-Expires=3600&X-Amz-SignedHeaders=host&X-Amz-Signature=6cb3295d187668aeeac5e59e6aa98fd41bb47050acd049c13ab13db99c4bc4d5](#)Access: 20.01.2020.
6. Saleem Q., Rehman R. 2011. Impacts of liquidity ratios on profitability. *Interdisciplinary Journal of Research in Business* Vol. 1, Iss. 7, pp. 95-98. Retrieved from: https://s3.amazonaws.com/academia.edu.documents/42820999/idjrb7n9.pdf?response-content-disposition=inline%3B%20filename%3DImpacts_of_liquidity_ratios_on_profitabi.pdf&X-Amz-Algorithm=AWS4-HMAC-SHA256&X-Amz-Credential=AKIAIWOWYYGZ2Y53UL3A%2F20200306%2Fus-east-1%2Fs3%2Faws4_request&X-Amz-Date=20200306T121241Z&X-Amz-Expires=3600&X-Amz-SignedHeaders=host&X-Amz-Signature=a7d6ff0a125f13c8a0fe2ead6c4032356c0d50fdb2d9756f598296aaa0d2d92bAccess: 17.12.2019.
7. ინანსების სტრატეგიული მართვა (წიგნი3.7). 2003.АССА. თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი, თერგი XXI.
8. Ковалев В.В. 1998. Финансовый анализ: Управление капиталом, выбор инвестиций, анализ отчетности. Москва, Финансы и статистика.

Besik Bolkvadze
PhD in Economics
Associate Professor at Batumi
Shota Rustaveli State University

**PECULIARITIES OF MANAGEMENT OF LIQUIDITY POSITION
IN BUSINESS ENTITIES
(Expanded Summary)**

The paper refers to the inevitability of utilization of companies' liquidity instruments in business sector. The necessity of envisaging of specific nuances by the financial managers and analysts is also highlighted that will raise analytical "culture" level and effectiveness of economic activity assessment of business entities.

Key Words: Business entity, Financial analysis, Liquidity analysis, Financial ratio, Solvency.

The paper considers one of the topic issues of the functioning of business entities as liquidity position and its quantitative and qualitative characteristics. As it's well known liquidity level of any company is the main analytical tool in its operation. That's why it is important for financial managers and analysts of companies to evaluate and assess of the liquidity parameters, ratios and aspects impacted on their liquidity level as well as take into account all the factors related to the overall liquidity position. In this regard the article concerns the nuances which are the utmost importance for efficient functioning companies as follows: to calculate and evaluate the liquidity "cushion" and the liquidity ratios: the current ration, the

quick ratio, the cash ratio; to take into consideration companies with “slow” operation when interpret the liquidity ratios meanings; to filtrate the indices of cash assets, reseivables and inventories by deducting of nonliquid assets for proper assessment; to forseen the fact that every companies related to any sector and subsector of the economy have different level of liquidity; to envisage the market conjuncture and inventory fluctuation and their prices as well as peculiarities of current liabilities in the analysis; to take into consideration that the liquidity level also depends on the size and scale of business activities; to calculate properly and observe liquidity ratios meanings and normative levels; to evaluate diapasonic deviation of liquidity coefficients; not to computate and interpret the liquidity ratios roughly as their levels are dependent on vearious factors such as sector specificity, strusture of current assets and liabilities, stability level of business entity, specific character of sales etc.

It should be underlined that calculation of liquidity ratios and monitoring of liquidity position should be realized in the framework of “inside” and “outside” financial analysis. The level of utilization of analytical (liquidity) instruments is limited in practice because of the following factors: superficial attitude towards the analytical instruments from business founders and managers, narrow cicle of proffesional financial analysts, low level of financial accountability, lack of development-oriented corporate finance, limitation within the processing of financial report.

Upgrading of liquidity position is one of the important short-term financial objectives of any business entity baccuse feasible liquidity level and neutralization and avoiding of bankruptcy much depends on it. Hence it is crucial necessary to oserve and monitor the liquidity level of a company. Herewith it’s utmost importance not to calculate and interpret liquidity ratios isolatedly but to asses ratios in combination with other financial (financing, profitability, efficiency, market and cash flow) ratios in order to get general financial “picture”.

Besides the abovementioned in order to raise the role and significance of the liquidity analysis and assessment system it is important to take the following steps from the business entities: to work out and implement analytical financial instruments and relevand software programs in the operation; to base financial decisions on analytical methods and approaches; to prepare corresponding analytical tools connecting with financial institutes in credit solvency assessment process; to create an effective mechanism of financial benchmarking system from the government side for business entities evaluation.

*გოგიტა თოდრაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს სტატისტიკის
ეროვნული სამსახურის (საქსტატის)
აღმასრულებელი დირექტორი*

დაუკვირვებელი ეკონომიკის მასშტაბები და მისი შეფასების პრაქტიკა საქართველოში

ანოტაცია. საერთაშორისო პრაქტიკაში დაუკვირვებელი ეკონომიკის შეფასების მრავალი მეთოდი არსებობს, თუმცა, მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია სამუშაო ძალის, სასაქონლო ნაკადებისა და მიწოდებაზე დაფუძნებული მეთოდები. საქართველოში, ზემოთ აღნიშნულ მეთოდებთან ერთად, დაუკვირვებელი ეკონომიკის შესაფასებლად, საქსტატის მიერ პერიოდულად ტარდება სპეციალური კვლევები სხვადასხვა სექტორში, რომლის შედეგადაც 2018 წლის მდგომარეობით, საქართველოს ეკონომიკაში დაუკვირვებელი ეკონომიკის წილი 13%-ის ფარგლებშია. თუმცა, მისი მასშტაბები მნიშვნელოვნად განსხვავებულია დარგების მიხედვით. სტატისტიკური გამოკვლევის შედეგებთან ერთად, მიზანშეწონილია ადმინისტრაციულ მონაცემთა წყაროების ფართოდ გამოყენებაც.

საკვანძო სიტყვები: დაუკვირვებელი ეკონომიკა, ალურიცხავი ეკონომიკა, ჩრდილოვანი ეკონომიკა, ფარული ეკონომიკა, ეროვნული ანგარიშები.

შესავალი

ეროვნული ანგარიშების წარმოებისას მნიშვნელოვანია შესაბამის გაანგარიშებებში ეკონომიკური საქმიანობის შედეგების სრული მოცულობით გათვალისწინება. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მთავარ პრობლემას წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის შედეგებში სტატისტიკურ აღრიცხვას დაუქვემდებარებელი ნაწილის - ე. წ. “დაუკვირვებელი ეკონომიკის” - ადეკვატური გაზომვა.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, “დაუკვირვებელი ეკონომიკა” განისაზღვრება ფარული, არაკანონიერი და არაფორმალური ეკონომიკის სფეროებში ისეთი საქმიანობის შედეგების მოცულობით, რომელიც არ არის მოცული მონაცემთა შეგროვების რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევებით. აქედან გამომდინარე, ფისკალური თვალსაზრისით ტერმინი “დაუკვირვებელი ეკონომიკა” არ ემთხვევა ფარულ (ჩრდილოვან), ან იატაკქვეშა ეკონომიკის ცნებას. თუმცა, ამ ცნებებით აღწერილ მოვლენებს შორის, რასაკვირველია, არსებობს გარკვეული კავშირები.

ძირითადი შინაარსი

დაუკვირვებელი ეკონომიკა დამახასიათებელია ყველა ქვეყნისათვის, მისი ზომის და განვითარების დონის მიუხედავად. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, რომლებშიც სწრაფ ინსტიტუციურ და სტრუქტურულ ცვლილებებს, ჩამოყალიბებულ საფინანსო და საგადასახადო სისტემებს, როგორც წესი, თან სდევს ეკონომიკური ერთეულების არარეგისტრირებული საქმიანობის, სტატისტიკურ გამოკვლევაში ეკონომიკურ მაჩვენებელთა დამახინჯება ან საერთოდ არ წარმოდგენა. ასეთ პირობებში ალურიცხავი ეკონომიკის მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება და მისი გავლენა ეკონომიკის სტრუქტურაზე, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაზე და სხვა მაკროეკონომიკურ აგრეგატებზე არსებითია [საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი (2001), დაუკვირვებელი ეკონომიკა საქართველოში, გვ. 5-6].

მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) გაანგარიშებისას საერთაშორისო მეთოდოლოგია ითვალისწინებს დაუკვირვებელი ეკონომიკის შეფასებასაც. დაუკვირვებელი ეკონომიკა იზომება საქმიანობის სახეების მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის არსებულ სტანდარტულ წყაროებში სხვადასხვა მიზეზით მოუცველი საქმიანობის, პროდუქციის, შემოსავლების, მოხმარების ან სხვა ეკონომიკური ოპერაციების

მოცულობით დაუკვირვებადი ეკონომიკა მოიცავს: ჩრდილოვან ეკონომიკას, არაფორმალური სექტორის წარმოება, ასევე შინამეურნეობების წარმოებას საკუთარი მოხმარებისათვის.

საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას გამოიყენება მონაცემთა სხვადასხვა წყარო, კერძოდ:

საქსტატის მონაცემები:

- ა) ბიზნეს სტატისტიკის კვარტალური და წლიური გამოკვლევის შედეგები;
- ბ) შინამეურნეობების კვარტალური კვლევის მონაცემები;
- გ) სოფლის მეურნეობის სტატისტიკის კვარტალური და წლიური გამოკვლევის მონაცემები;
- დ) საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემები ექსპორტისა და იმპორტის შესახებ;
- ე) ფასების სტატისტიკის მონაცემები ინდექსების შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები:

- ა) ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკების და სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის შესახებ;
- ბ) ქვეყნის საგადასახდელი ბალანსის მონაცემები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები:

- ა) ყოველთვიური მონაცემები ნაერთი, სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების და გადასახდელების შესახებ;
- ბ) მონაცემები დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის შესახებ.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ევროსტატი განასხვავებს დაუკვირვებადი ეკონომიკის რამდენიმე კატეგორიას, კერძოდ:

➤ **ფარული ეკონომიკა** - როდესაც საქმიანობა ლეგალურია, თუმცა მწარმოებლები არ არიან დარეგისტრირებულნი (*მაგალითად, უძრავი ქონების გამჭირავებლობა, მოვაჭრეები, საცხოვრების მფლობელები*);

➤ **არალეგალური წარმოება** (*მაგალითად, პროსტიტუცია, ნარკომანია, მარხუანის წარმოება*);

➤ **მწარმოებლები, რომლებიც არ არიან ვალდებული დარეგისტრირდნენ** (*მაგალითად, საკუთარ მამულში მომუშავე პირები, ყვავილების მწარმოებლები, ძიძები, რეპეტიტორები*);

➤ **სტატისტიკური დაკვირვების მიღმა დარჩენილი რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირები;**

➤ **არასრული დეკლარირება** ასევე განიხილება დაუკვირვებადი ეკონომიკის ერთ-ერთ კატეგორიად, როდესაც რესპოდენტები დეკლარირებისას აჩვენებენ შემოსავლებს შემცირებული მოცულობით, ან ხარჯებს - მეტობით.

➤ **სტატისტიკური ცდომილება** მონაცემთა შეფასებისას, რომლის მიზეზი შეიძლება იყოს უხარისხო პოპულაცია (გენერალური ერთობლიობა), არასწორი შერჩევის მეთოდი, შერჩევის არასაკმარისი ზომა და სხვა.

დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც პირდაპირი კვლევის, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. ამასთან, ევროსტატის მიერ რეკომენდებულია სხვადასხვა სახის მეთოდები, რომელთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია:

➤ **სამუშაო ძალის მეთოდი**, რაც გულისხმობს სამუშაო ძალის და ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევიდან მიღებული დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ მონაცემების ერთმანეთთან შედარებას, რის საფუძველზეც მიიღება დაუკვირვებადი ეკონომიკის კოეფიციენტი.

➤ **მიწოდებაზე დაფუძნებული მეთოდი** - ითვალისწინებს გამოყენებული ნედლეულის მოცულობის მიხედვით მთლიანი გამოშვების შეფასებას. აღნიშნული მეთოდი უმეტესწილად გამოიყენება სოფლის მეურნეობის დარგში, კვარტალური გამოშვების გაანგარიშებისას (მაგალითად, ნათესი ფართობი x საშუალო მოსავლიანობა x სოფლის მეურნეობის დარგის გამოშვებას).

➤ **მოთხოვნაზე დაფუძნებული მეთოდი:** საბოლოო მოხმარება + ექსპორტი + შუალედური მოხმარება.

➤ **სასაქონლო ნაკადების მეთოდი (რესურსებისა და გამოყენების მეთოდი)** - ეფუძნება რესურსებისა და გამოყენების ცხრილების (შ თ) დაბალანსების მეთოდს და წარმოადგენს გამოშვებისა და მოხმარების შედარებას, რომელიც გამოიყენება არასრული დეკლარირების შესაფასებლად.

➤ **ფისკალური მონაცემების და ადმინისტრაციული წყაროების მეთოდი** გულისხმობს შეფასებას ფისკალური სტატისტიკისა და სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული მონაცემების საფუძველზე.

➤ **სპეციალური კვლევები** - რომელიც ტარდება ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი უწყების მიერ პერიოდულად (რამდენიმე წელიწადში ერთხელ), სხვადასხვა სექტორში, რომლის შედეგად მიიღება დაუკვირვებადი ეკონომიკის კოეფიციენტები. მსგავსი ტიპის კვლევები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს დაუკვირვებადი ეკონომიკის შესაფასებლად.

➤ **ექსპერტული შეფასება**, რაც ეფუძნება სხვადასხვა სახის დაშვებებს და მოდელს.

როგორც საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასებისას სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებულ მეთოდებს იყენებს. თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია სამუშაო ძალის, სასაქონლო ნაკადებისა და მიწოდებაზე დაფუძნებული მეთოდები (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1
დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების მეთოდების გამოყენების საერთაშორისო პრაქტიკა

	სამუშაო ძალის მეთოდი	სასაქონლო ნაკადების მეთოდი	ექსპერტული შეფასება	ფისკალური მონაცემების მეთოდი	სპეციალური კვლევები	მოთხოვნაზე დაფუძნებული მეთოდი	მიწოდებაზე დაფუძნებული მეთოდი
ბულგარეთი	X	X			X	X	X
ესტონეთი	X		X	X			X
ჩეხეთი	X	X	X	X			X
სორვატია	X			X			X
რუმინეთი	X	X		X	X		X
გერმანია	X	X		X	X		X
შვედეთი	X	X		X	X		X
საფრანგეთი	X			X			X
ფინეთი	X			X			X
ალბანეთი	X		X			X	X
დანია	X	X					X
საქართველო	X	X	X		X		X

აღურიცხავი ეკონომიკის მასშტაბების ზრდის ერთ-ერთ მიზეზად გვევლინება გენერალური ერთობლიობის და აქედან გამომდინარე, ბიზნეს რეგისტრის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები, რაც ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა გამოკვლევის ფარგლებში, წარმოადგენს ეკონომიკური სუბიექტების არასრული მოცვის და აღრიცხვის ერთ-ერთი მიზეზს, ვინაიდან გამოსაკვლევ სუბიექტთა შერჩევა ხორციელდება ბიზნეს რეგისტრიდან.

ჩემი აზრით, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობის შეფასებისას სტატისტიკური გამოკვლევის შედეგებთან ერთად, მიზანშეწონილია ადმინისტრაციულ მონაცემთა წყაროების ფართოდ გამოყენება. ამასთან, საერთაშორისო საზოგადოება აღიარებს, რომ სტატისტიკურ მონაცემთა მაღალი ხარისხი მიიღწევა გამოკვლევის შედეგების კომბინირებით ადმინისტრაციულ მონაცემებთან. შესაბამისად, დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასებისას, ნებისმიერი ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი უწყების უმთავრეს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს კვლევის შედეგებთან ერთად, სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული მონაცემებისა და დამატებითი ალტერნატიული წყაროების გამოყენება.

აღურიცხავი ეკონომიკის ცნების განსაზღვრას საფუძვლად უდევს ეროვნული ანგარიშების კონცეფციები, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 1993 და 2008 წლების ვერსიების შესაბამისად. საქსტატის შეფასებით, 2018 წლის მდგომარეობით, საქართველოს ეკონომიკაში დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი 13% იყო. თუმცა, მისი მასშტაბები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ცალკეული დარგების მიხედვით.

საყურადღებოა განსხვავებული მოსაზრებები ქვეყანაში დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბებთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით არსებობს სხვა წყაროებიც, თუმცა ისინი მნიშვნელოვნად აცდენილია საქსტატის მიერ წარმოდგენილ მონაცემებს. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი ექსპერტის შეფასებით, საქართველოში დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი 1991-2015 წლებში საშუალოდ 65% შეადგენს¹³.

ამავე ანგარიშის მიხედვით, 15,2%-ის ფარგლებშია დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი დანიაში, 24%-ის ფარგლებშია ესტონეთში, 14%-საფრანგეთში, 12%-გერმანიაში, მაშინ როდესაც აღნიშნული ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი რამდენჯერმე (4-5-ჯერ) ნაკლებია ანგარიშში მოტანილ მონაცემებთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეფასების დოკუმენტი განთავსებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვებ-გვერდზე, ის არ წარმოადგენს სსფ-ს ოფიციალურ პოზიციას და განიხილება როგორც სამუშაო დოკუმენტი, რომელიც გამოხატავს მხოლოდ რამდენიმე პროფესორის მოსაზრებას, რაც მის მთავარ ნაკლოვანებად შეიძლება იქნას მიჩნეული.

ამასთან, აღნიშნული გაანგარიშება ეფუძნება ეკონომეტრიკულ მოდელს, რაც შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური სურათისგან, რასაც არაერთი ქვეყნის პრაქტიკა ადასტურებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ქვეყანაში დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბებზე საუბრისას ვხელმძღვანელობთ საქსტატის მონაცემებით, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა სახის კვლევებს, ადმინისტრაციულ წყაროებს და საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ შეფასებებს.

¹³<https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2018/01/25/Shadow-Economies-Around-the-World-What-Did-We-Learn-Over-the-Last-20-Years-45583> / ბოლო ნახვა 10 თებერვალი, 2020/

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (იხ. ცხრილი 2) წარმოდგენილია დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი დამატებულ ღირებულებაში, საქსტატის მონაცემების მიხედვით:

ცხრილი 2

**დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში, %
(2015-2018 წლები)**

სექციის დასახელება (ჩ 2 ¹⁴)	2015	2016	2017	2018
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	12.8	13.7	14.7	15.7
სამთომშობიარეობის მრეწველობა	11.3	13.9	13.9	15.8
დამამუშავებელი მრეწველობა	14.6	15.4	13.4	13.5
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერების მიწოდება	1.1	1.1	1.0	1.0
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	11.1	14.0	11.5	6.9
მშენებლობა	4.5	4.0	10.2	12.4
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	18.9	12.9	16.1	15.3
ტრანსპორტი და დასაწყობება	14.6	15.3	16.0	16.6
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	53.4	42.9	51.4	54.3
ინფორმაცია და კომუნიკაცია	11.4	12.2	10.1	9.4
საფინანსო და სადაზღვეო საქმიანობები	3.8	3.8	3.7	3.7
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	3.5	3.3	4.4	3.1
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	0.5	0.4	0.5	0.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	4.5	3.5	3.9	3.7
სახელმწიფო მართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0	0.0
განათლება	20.2	18.5	16.6	17.8
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	19.8	18.9	18.2	19.0
ხელოვნება, გართობა და დასვენება	20.2	11.4	21.3	17.7
სხვა სახის მომსახურება	52.5	47.8	44.1	42.4
სულ	12.4	10.8	12.7	13.0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი საკმაოდ მაღალია მომსახურების სექტორში, კერძოდ: სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში 54%-ს აღემატება, ხელოვნების, გართობისა და დასვენების სექტორში 17.7%-ია, განათლების სექტორში - 17.8%, ჯანდაცვის სექტორში - 19%, სხვა სახის მომსახურების სექტორში - საშუალოდ 42%-ია.

სოფლის მეურნეობის სექტორში დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი დაახლოებით 16%-ის ფარგლებშია. 14-დან 15%-ის ფარგლებში მერყეობს მრეწველობის სექტორში, 15%-ია ვაჭრობის, ხოლო 12%- მშენებლობის სექტორში.

საქსტატის უახლესი მონაცემების მიხედვით, დაუკვირვებადი ეკონომიკის შედარებით დაბალი მასშტაბებით ხასიათდება ენერჯეტიკის სექტორი (სადაც დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი მხოლოდ 1.0%-ია), საფინანსო და სადაზღვეო

¹⁴ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობების შესახებ. მეორე რედაქცია, საქსტატი

საქმიანობების სექტორი (3.7%), ასევე სახელმწიფო მმართველობის (3.7%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების სექტორი (0.5%).

საქართველოში დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების შეფასების გაუმჯობესება დაკავშირებულია 2019 წლის ნოემბერში, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი მეთოდოლოგიის (შ 2008)¹⁵.

დანერგვასთან, რაც გულისხმობს მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და მთელი რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ქვეყანაში ეროვნული ანგარიშების წარმოებაში ახალი მეთოდოლოგიის დამკვიდრებამ მთელ რიგი ცვლილებები განაპირობება, რაც დაკავშირებული იყო ახალი სტანდარტის შესაბამისად სხვადასხვა სახის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებასთან და მონაცემთა წყაროს არსებით გაუმჯობესებასთან. ამან შედარებით გააუმჯობესა ადმინისტრაციულ მონაცემთა დამუშავება და დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების შეფასება.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი სტანდარტის დანერგვის შედეგად, ევროკავშირის ქვეყნებში მშპ-ს დონე საშუალოდ 3.7%-ით გაიზარდა, საიდანაც წყაროს არსებით გაუმჯობესებაზე 1.4% მოდიოდა. თუმცა, აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით მაღალი იყო ნიდერლანდებში (4.6%) და ისლანდიაში (3.6%) [Van der Ven, 2015, 11].

ეას-ის ახალ სტანდარტზე გადასვლის შედეგად, 2018 წელს საქართველოში მშპ-ის დონე წინა მეთოდოლოგიით (შ 1993)¹⁶ გაანგარიშებულ მონაცემთან შედარებით, 8.6%-ით გაიზარდა. აღნიშნულ ზრდაში მეთოდოლოგიური ხასიათის ცვლილების გავლენა შეფასდა 3.0%-ით, ხოლო სტატისტიკური წყაროს გაუმჯობესების შედეგად მშპ-ის დონე 5.6%-ით გაიზარდა¹⁷.

საქართველოში მონაცემთა წყაროს გაუმჯობესების მიზნით, 2019 წელს ჩატარდა დაუკვირვებადი ეკონომიკის სპეციალური კვლევები სხვადასხვა სექტორში (სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, სასტუმროები და რესტორნები). ამასთან ერთად, საერთაშორისო საეკონომიკური ფონდის, ასევე დანიისა და ჩეხეთის სტატისტიკის სამსახურების ექსპერტების დახმარებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების მეთოდები სხვადასხვა სექტორში.

გარდა ამისა, მოხდა შეადგენური მოხმარების სტრუქტურის განახლება სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე, რომელმაც მოიცვა ეკონომიკის ყველა ინსტიტუციური სექტორი, ხოლო ვაჭრობის დარგში დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების შესაფასებლად, სხვა წყაროებთან ერთად, გამოყენებულ იქნა ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების გამოკვლევის შედეგებიც¹⁸.

საქართველოში დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასება სპეციალური კვლევების საფუძველზე რეგულარულად ხორციელდება საქსტატის მიერ. ბოლო პერიოდში ყოველწლიურად ამ მიმართულებით 2-3 დარგის გამოკვლევა ტარდება. პრიორიტეტი ენიჭება იმ სექტორებს, რომლებშიც შედარებით მაღალია დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბები, ხოლო 5-6 წლიან პერიოდში ეკონომიკის ყველა სექტორის მოცვა ხდება მსგავსი ტიპის კვლევებით, რაც წარმოადგენს ღირებულ რესურსს ეროვნული ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

¹⁵System of National Accounts 2008, IMF, OECD, United Nations, Eurostat, World Bank, 2008

¹⁶System of National Accounts 1993, IMF, OECD, United Nations, Eurostat, World Bank, 1993.


¹⁷საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).

¹⁸საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

2019 წელს საქსტატის მიერ ჩატარებული დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევის შედეგად, ზოგიერთ დარგში მნიშვნელოვნად გაიზარდა დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბები გასულ წლებში ჩატარებული ანალოგიური გამოკვლევის შედეგებთან შედარებით, რომლის შედეგადაც ეკონომიკაში დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი 8.3%-დან 13%-მდე გაიზარდა.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე 1 წარმოდგენილია 2019 წელს ჩატარებული დაუკვირვებადი ეკონომიკის დამოკვლევის შედეგები და მისი შედარება წლების წინ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებთან:

გრაფიკი 1
დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი დამატებულ ღირებულებაში, %



დაუკვირვებადი ეკონომიკის სპეციალური კვლევების ჩატარება საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი უწყების მიერ დაგეგმილია 2020 წლის განმავლობაშიც. ამ შემთხვევაში გამოკვლევა ჩატარდება განათლების და უძრავი ქონებით ოპერაციების სექტორში, შესაბამისად, კერძო რეპეტიტორების და საცხოვრებელი უძრავი ქონების გამქირავებელთა შემოსავლების შეფასების თვალსაზრისით. პარალელურად, ევროკავშირის პროგრამა თწინინგ-ის ფარგლებში დაგეგმილია დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების მეთოდების გაუმჯობესება სხვადასხვა სექტორში.

დასკვნა

დაუკვირვებადი ეკონომიკის სწორი შეფასება სრულყოფილი ეროვნული ანგარიშების წარმოების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს.

დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბები შედარებით მაღალია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი მათთან განსაკუთრებით აქტუალურია, რომლის გადაწყვეტასაც ახდენენ სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული დამატებითი მონაცემებისა და განსხვავებული მეთოდების გამოყენების საფუძველზე.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, დაუკვირვებადი ეკონომიკის რამდენიმე კატეგორიას განასხვავებენ. მათ შორისაა არასრული დეკლარირება და არალეგალური წარმოება, ასევე შემთხვევები, როდესაც საქმიანობა ლეგალურია, მაგრამ მწარმოებლები არ რეგისტრირდებიან, ან არ არიან ვალდებული დარეგისტრირდნენ. სტატისტიკური დაკვირვების მიღმა დარჩენილი ეკონომიკური სუბიექტები და სტატისტიკური ცდომილება - დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების გაზრდის ერთ-ერთი მიზეზთაგანია.

ევროსტატის მიერ დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების რამდენიმე მეთოდია რეკომენდებული, თუმცა, მათ შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სამუშაო ძალის, სასაქონლო ნაკადებისა და მიწოდებაზე დაფუძნებული შეფასების მეთოდები გამოირჩევა.

მსოფლიოს ქვეყნების დიდი ნაწილი დაუკვირვებადი ეკონომიკის შესაფასებლად სპეციალურ კვლევებსაც ატარებს, რომლის შედეგები გამოიყენება სხვადასხვა სექტორის რესპოდენტთა მიერ დეკლარირებული მონაცემების სრულყოფისა და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საქსტატის მიერ 2019 წელს, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოების შედეგად, ასევე სხვადასხვა სექტორში ჩატარებული სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკაში დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი 8%-დან 13%-მდე გაიზარდა, რომლის მასშტაბები მნიშვნელოვნად განსხვავდებულა დარგების მიხედვით. ბოლო მონაცემებით, დაუკვირვებადი ეკონომიკის შედარებით მაღალი წილით მომსახურების დარგები, განსაკუთრებით კი სასტუმროებისა და რესტორნების, ასევე ჯანდაცვის, განათლების და ვაჭრობის სექტორები ხასიათდებიან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლოკიე ფ., ბლეიდსი დ., 2015, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ), მეორე გამოცემა, განახლებული და გაფართოებული (თარგმანი ინგლისურიდან). ელ. ვერსია (თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვებ გვერდი).
2. მინდორაშვილი მ., 2018, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. ელ. ვერსია (თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვებ გვერდი).
3. საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობების შესახებ, მეორე რედაქცია, საქსტატი
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge
5. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი (2001). დაუკვირვებადი ეკონომიკა საქართველოში, თბილისი, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.
6. Measuring the Non-Observed Economy, Handbook, OECD, 2002
7. Measuring informality: A statistical manual on the informal sector and informal employment, International Labor Organization, 2013.
8. Medina L., Schneider F. (2018). Shadow Economies Around the World: What Did We Learn Over the Last 20 Years, IMF working paper.
9. Peter Van der Ven (2015). New standards for compiling national accounts: what's the impact on GDP and other macro-economic indicators? OECD Statistics Brief, February #20.
10. Tsakadze R., Verulashvili E., Gogoberishvili L., Todradze G. (2008). The Non-Observed Economy in Georgia, Economic Analysis and Policy Recommendations. https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_Non_Observed_Economy_2008.pdf
11. System of National Accounts 2008, IMF, OECD, United Nations, Eurostat, World Bank, 2008.
12. System of National Accounts 1993, IMF, OECD, United Nations, Eurostat, World Bank, 1993.
13. Non-observed economy in national accounts. Survey of country practices. UNECE, 2008

14. <https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2018/01/25/Shadow-Economies-Around-the-World-What-Did-We-Learn-Over-the-Last-20-Years-45583> / ბოლო ნახვა 10 თებერვალი, 2020/

Gogita Todradze
Doctor of Economics

**SCALES OF NON-OBSERVED ECONOMY AND ITS ESTIMATION PRACTICE IN
GEORGIA**
Expanded Summary

Estimation the share of non-observed economy is utmost important for the production of high-quality national accounts and for drafting clear picture of the economy.

Non-observed economies are typical for all countries; however, this is particularly relevant for countries with transitional economies. Definition of non-observed economy is based on the concepts of national accounts, according SNA 2008, but categories and estimation methods are defined by the Eurostat.

The Non-observed Economy refers to all productive activities that may not be captured in the basic data sources used for national accounts compilation. The following activities are included: underground, informal (including those undertaken by households for their own final use), illegal, and other activities omitted due to deficiencies in the basic data collection programme. The term ‘non-observed economy’ encompasses all of these activities and the related statistical estimation problems.

There are many methods for estimation of non-observing economics, recognized in international practice. However, the estimation techniques adopted spanned the three main approaches: production approach, expenditure approach and income approach. Often countries produce two estimates of non-observed activities by employing two of the three approaches, mostly the production method followed by the expenditure approach.

Countries use a wide variety of methods to estimate the GDP stemming from the non-observed economic activities. The following methods can be mentioned: the labor input method, commodity flow method, balancing input-output and supply-and-use tables, other reconciliation methods, comparison with norms, use of fiscal data and special surveys.

From above-mentioned methods, a special mention should be made of the labour input method, which is increasingly being used to measure value added and compensation of employees. The method was pioneered by Istat, the Statistical Office of Italy.

Labour supply and demand data are compared to estimate inconsistencies in recorded labour. Data on labour supply are obtained from the population census and Labour Force Survey while labour demand is obtained from business statistics.

A surplus of labour supply from household surveys over labour demand from enterprise surveys is an indication of non-observed production. It provides a lower bound as some labour input may be missing from both sources. Estimates of output and value added per unit of labour input are calculated and then applied to the data on labour input to account for output by unregistered and hidden labour.

Together with the above-mentioned methods, Geostat periodically conducts special surveys in different sectors to assess the share of non-observed economy in Georgia. Usually 2-3 sectors are investigated annually, regular basis.

Priority is given to those sectors, where probability of non-observed economy is high, and during 5-6 years, almost all sectors of economy are covered by similar surveys, which is a valuable resource for improving the quality of national accounts.

Countries used a variety of data sources for the estimation of non-observed activities. Several sources are quite common amongst countries, such as agricultural census, business statistics, household surveys, demographic data/population census, Labour Force Survey/labour statistics, taxation and fiscal data, police records, social security records and foreign trade statistics.

Some sources are used only in one or a few countries, particularly the surveys to capture a specific activity (e.g. smuggling of tobacco). Other sources like Labour Force Survey and employment data, structural business surveys, household budget/expenditure surveys, and taxation data are widely used by countries.

In 2019 Geostat has implemented methodological changes in National Accounts, related to transition to the new methodology – System of National Accounts (SNA) 2008.

Transition to the new System of National Accounts (SNA 2008) included the calculation of Gross Domestic Product (GDP) and a number of macroeconomic indicators, in accordance with the new methodology. EU countries have begun switching to the new SNA methodology in 2014. Armenia, Turkey, Ukraine and Belarus have also joined their ranks during 2014-2015. To date, the SNA 2008 has been introduced in about 80 countries around the world.

Implementation of the new methodology caused number of changes related to GDP and other aggregates of the National Accounts. Other changes in the National Accounts were related to the significant improvement in data sources, accounting non-observed economy and processing administrative data.

The main differences between the old (SNA 1993) and the new methodologies refer to changes in measuring Financial Intermediation Services Indirectly Measured (FISIM), capitalization of research and development related expenses and output of owner-occupied dwellings.

Along with the above-mentioned methodological changes, Geostat has introduced Statistical classification of economic activities (NACE Rev 2) in the National Accounts.

In order to keep the historical data harmonized with the updated methodology, Geostat has re-vised also time series of National Accounts from 2010 year.

According data for 2018, the share of the non-observed economy in Georgian amounted 13%. However, its magnitude varies considerably between sectors. The value is much higher in the service sector, namely: over 54% in the hotel and restaurant sector, 17.7% in the arts, entertainment and leisure sector, in education - 17.8%, in the health care sector - 19%, in the other services sector - on average 42%.

The share of the unobserved economy in the agricultural sector is around 16%, between 14 and 15% are in the industrial sector, 15% in trade and 12% in construction.

According to the latest Geostat data, the energy sector (where the share of the economy accounts for only 1.0%), the financial and insurance sector (3.7%), as well as public administration (3.7%) and the professional, scientific and technical sector (0.5%) is characterized by low rate of unobserved economy.

*ირმა ბარათაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, კსუ ასოც. პროფესორი
მარია კლდიაშვილი
სტუ დოქტორანტი*

ანოტაცია. სტატიაში განხილულია ცვლილებების მენეჯმენტის არსი და ამ ცვლილებების განხორციელების მოდელები. თანამედროვე პრაქტიკაში გამოიყენება ათი ცვლილებების მართვის მოდელი: კურტ ლევინის ცვლილებათა მოდელი, McKinsey 7-S მოდელი, კოტერის ცვლილებათა მოდელი, ADKAR ცვლილების მოდელი, „ბიძვის“ თეორია (Nudge Theory), ბრიჯსის ტრანზიტული მოდელი, Kübler-Ross-ის ცვლილების მრუდი. გაანალიზებულია ლ. გრეინერის ორგანიზაციული განვითარების სქემა. აღნიშნული წარმოადგენს კომპანიის განვითარებას, როგორც ევოლუციური განვითარების ფაზების რეგულარულ ცვლილებას და მათ შორის გადასვლებს. აგრეთვე საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი კომპანიების საჭიროებები ცვლილებების მართვის კუთხით, რაც გამოწვეულია ორგანიზაციული განვითარებით და სხვა გარე ფაქტორებით.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი, ეკონომიკური ტენდენციები, ინდიკატორები.

შესავალი

მიმდინარე საუკუნის ბიზნეს გარემოს ერთ-ერთ დამახასიათებელი ნიშანია - როგორც გარე ფაქტორების, ასევე კომპანიების შიდა პროცესების პერმანენტული ცვლილებები. ეკონომიკურ - ტექნოლოგიური განვითარების პირობებში და გლობალიზაციის შედეგად ცვლილებების სისწიერე კიდევ იზრდება, რაც გვაფიქრებს იმ ფაქტზე, რომ თანამედროვე ბიზნეს სამყარო უნდა მიიღოს არსებული ცვლილებების ტენდენცია როგორც მოცემულობა და შეიმუშავოს შესაბამისი მეთოდოლოგიები, რომლის დახმარებით მოხერხდება ცვლილებების მაქსიმალური ეფექტურობით დაწერვა და ახალ გარემოებებზე სწრაფი ადაპტირება. ყოველი 5-7 წლის მანძილზე, ცოდნის მოცულობა, რომელსაც ფლობს კაცობრიობა, თითქმის ორმაგდება. შესაბამისად, ორმაგდება იმ ახალი სიტუაციების რაოდენობა, რომლის ფარგლებში აუცილებელია ახალი გადაწყვეტილების მიღება და ახალი მეთოდების გამოყენება. ბუნებრივია, ეს ფაქტი მნიშვნელოვნად ზრდის სიახლეების და ცვლილებების მართვის მნიშვნელობას. ორგანიზაციული ცვლილებების მიზეზები შესაძლებელია იყოს ეკონომიკური, იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ინფორმაციული, გამოწვეული ადამიანური რესურსებით და ა.შ. ყველაზე გავრცელებული მიზეზი - გარემოს ცვლილებაა და ტექნოლოგიური სიახლეები. ცნობილია ცვლილებების საჭიროების დიაგნოსტიკური ინდიკატორები: პირდაპირი და ირიბი: ორგანიზაციის ეფექტურობის სხვადასხვა მანევრებლები, არაკონკურენტული შესაძლებლობები, პერსონალის დაბალი მოტივირება, ინოვაციებისა და სიახლეების მიუღებლობა, პერსონალის დასჯის აუცილებლობა და სხვა.

სიახლეებისა და ცვლილებების კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგნაირად:

- J ორგანიზაციული ქმედებების შესაბამისად: გეგმიური და დაუგეგმავი (სპონტანური);
- J განხორციელების პერიოდის თვალსაზრისით: მოკლევადიანი და გრძელვადიანი;
- J მიზნის შესაბამისად: ეფექტურობის ზრდის მიზნით, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ზრდის მიზნით, ორგანიზაციული კულტურისა და კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, პროდუქტისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით;
- J განხორციელების მიდგომის შესაბამისად: ექსპერიმენტული (სატესტო) და პირდაპირი (წინასწარი ტესტირების გარეშე);
- J მოცულობის შესაბამისად: წერტილოვანი, სისტემური (ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სისტემები) და სტრატეგიული.

ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელებისთვის, აუცილებელია მათი მიზეზების, ობიექტების, პოზიტიური და უარყოფითი მხარეების ანალიზი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები და მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელებული ცვლილებები [Osterwalder, A. 2010].

ცვლილებების მენეჯმენტის არსი და მოდელები

ცვლილებებში იგულისხმება ორგანიზაციის მიზნების, სტრუქტურის, ამოცანების, ტექნოლოგიის, ოპერაციების მოდელის, ადამიანური რესურსების, მეთოდოლოგიების და სხვა ორგანიზაციული ან კულტურული კომპონენტების შეცვლა. ცვლილებების მენეჯმენტი გულისხმობს ამ ცვლილებების განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული შედეგის შესაბამისად შედგენილი გეგმით ქმედებებს. თანამედროვე პრაქტიკაში გამოიყენება შემდეგი ცვლილებების მართვის მოდელები.

1. კურტ ლეეინის ცვლილებათა მოდელები

ცვლილებების მართვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და წარმატებული მოდელები, შემოგოთავაზა სოციოლოგმა და ფიზიკოსმა კურტ ლეეინმა, 1940-იან წლებში. ლეეინი დაინტერესდა, რა ფაქტორები ან ძალები ახდენენ გავლენას რაიმე ვითარებაში ნებისმიერ დროს - განსაკუთრებით, სოციალურ სიტუაციაზე. იგი ითვლებს ცვლილებების მართვის ერთ-ერთ დამფუძნებლად. ლეეინი განიხილავს სამ ეტაპს წარმატებული ცვლილების განხორციელებლად. ესენია: მოსამზადებელი ეტაპი, ცვლილება და შედეგების დაფიქსირება. მოსამზადებელი ეტაპი, ეხმარება მათ, ვინც გავლენას მოახდენს ცვლილების განხორციელებასა და შედეგზე. აუცილებელია მათ მიიღონ ცვლილების ფაქტი და სწორედ იყოს აღქმული მიზანი და შესაბამისად ცვლილების შინაარსი. იმ შემთხვევაში, თუ პირველი ფაზა სწორად დაიგეგმა და განხორციელდა, მეორე ფაზის ფარგლებში მოსალოდნელია მონაწილე მხარეების მოტივირება და ჩართულობა, თუმცა სტრესი მაინც გარდაუვალია. მესამე ეტაპის მთავარი მიზანი - სიტუაციის სტაბილიზაცია. ამ ეტაპზე ორგანიზაციებში იქმნება ახალი პროცედურები, თანამშრომლები ეჩვენებიან მუშაობას ახალი სტილით და ბუნებრივად ყალიბდება განახლებული ორგანიზაციული კულტურის ელემენტები.

2. McKinsey 7-S მოდელები

McKinsey 7-S მოდელები უკვე ერთგვარ სტანდარტად ქცეული მოდელებია და ის რეკომენდირებულია ორგანიზაციული ცვლილებისთვის, იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებმაც ჯერ ზუსტად არ იციან კონკრეტულად რა პროცესებია შესაცვლელი, მაგრამ ხვდებიან რომ ცვლილება გარდაუვალია და აუცილებელია. McKinsey-ის კონსულტანტებმა ტომ პიტერსმა და რობერტ კ. ვატერმენმა უმცროსმა შესთავაზეს მოდელები თავიანთ წიგნში სახელწოდებით “ბრწყინვალეების ძიებაში“. მოდელის შესაბამისად, არსებობს შვიდი კომპონენტი, რომლის გაანალიზების შედეგად, კომპანიას შეუძლია დაინახოს ცვლილებების და განვითარების საჭიროება. ესენია: საერთო ღირებულებები - ორგანიზაციის ძირითადი ფასეულობები; უნარები - ორგანიზაციის ძირითადი შესაძლებლობები და კომპეტენციები; პერსონალი - ყველა ძირითადი სამუშაო როლის მასხასიათებლები, მათ შორის დემოგრაფიული, დამოკიდებულება და ორგანიზაციაში დაგროვილი ცოდნა; სტილი - ყველა სამუშაო განყოფილების ქცევის სტილი; სტრატეგია - ორგანიზაციის საერთო მიზანი და ის, თუ როგორ აპირებს ორგანიზაცია ამ მიზნის მიღწევას; სტრუქტურა - სამუშაოს სტრუქტურული დაყოფა ორგანიზაციაში; სისტემები და არსებული რესურსების მართვის პროცედურები. მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი შვიდი ელემენტიდან, რომელიმე ერთი მაინც თუ არ შეესაბამება დანარჩენ 6-ს, ის აუცილებლად ნეგატიურად იმოქმედებს ყველა მათგანზე და საბოლოო შედეგზე. 7S

მოდელი ეფექტურია ისეთი ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების მიზნით, როგორცაა რეორგანიზაცია, კომპანიების ან ორგანიზაციული ერთეულების შერწყმა, ახალი სისტემების და მეთოდოლოგიების დანერგვა და სხვა.

3. კოტერის ცვლილებების მართვის თეორია

კოტერის ცვლილებების მართვის თეორია კონცენტრირებულია არა თვითონ ცვლილების შინაარსზე, არამედ იმ ადამიანებზე, ვინც მონაწილეობს ცვლილების განხორციელების პროცესში და ვინც არის ცვლილების სამიზნე აუდიტორია. ეს მოდელი შეიმუშავა დოქტორ ჯონ კოტერმა, ჰარვარდის პროფესორმა. მისი ცვლილების მართვის მოდელი მოიცავს რვა ნაბიჯს:

1. გადაუდებელი ცვლილებების საჭიროების გრძნობის შექმნა თანამშრომლებში: აუცილებელია მათ დაინახონ, თუ რატომ არის საჭირო ცვლილება დაუყოვნებლივ.

2. ცვლილებების მართვის გუნდის შექმნა, დაკომპლექტებული როგორც ორგანიზაციის მთავარი მოთამაშეებით, ასევე დაინტერესებული მხარეებით და აზრთა ლიდერებით.

3. სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება.

4. მოხალისეების ინტეგრაცია პროცესში.

5. ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

6. მოკლევადიანი მოგების შექმნა და მცირე წარმატებების გაანალიზება შემდეგი ეტაპის ქმედებების მოტივაციის შექმნის მიზნით.

7. თავდაპირველი წარმატებების შემდეგ, იტერაციული ცვლილებების განხორციელება საბოლოო მიზნის შესაბამისად.

8. ახალი კულტურული უნარ-ჩვევების და ტრადიციების დანერგვა/გამყარება [Tidd J., John R. Bessant. 2009].

4. ADKAR ცვლილების მოდელი

ჯეფ ჰაიატმა შექმნა ADKAR- ის ცვლილების მოდელი. ამ მოდელის *safuZ-veli* გრძელვადიანი კვლევებიდან გამომდინარეობს, რაც ჰაიატმა და მისმა გუნდმა (Prosci Change Management) ჩაატარეს 900-ზე მეტ ორგანიზაციაში ცვლილებების განხორციელებისას. ამ მოდელის თანახმად, ყურადღება უნდა გამახვილდეს თითოეულ ადამიანზე, რომელიც ცვლილების მონაწილეა და სასურველი შედეგის მისაღწევად ხუთი ეტაპია გასაველი:

ინფორმირება და ცნობადობის ამაღლება: ყურადღება გამახვილდეს ცვლილების აუცილებლობის აღიარებაზე, რაც მოითხოვს ადრეულ და ხარისხიან კომუნიკაციას.

ცვლილებების სურვილის წახალისება: განსახორციელებელი ცვლილებების პროცესის სპონსორის გამოყოფა და თანამშრომლებში რეზისტენტობის მართვა.

ცოდნის გაზიარება: შესაბამისი ტრენინგი ხელს უწყობს იმის გაგებას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ცვლილება.

შესაბამისი უნარების გაჩენა: დრო, პრაქტიკა და სამწვრთნელო პროგრამა ხელს უწყობს დაგეგმილი ცვლილებების რეალიზაციას.

პირველადი შედეგების გამყარება: წარმატების აღიარება და შესაძლო წარუმატებლობის მაკორექტირებელი მოქმედება ხელს უწყობს ცვლილებების გაძლიერებას და შენარჩუნებას.

5. “ბიძგის” თეორია (Nudge Theory)

ხემოთ ჩამოთვლილი ცვლილების სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით, ბიძგის თეორია ემყარება ქცევით მეცნიერებას, რომელიც გვთავაზობს ქცევითი ცვლილებების ტაქტიკას. თეორიის ძირითადი საფუძველია ის, რომ ტრადიციული, მეთოდური თვალსაზრისით ცვლილებების განხორციელება ეფექტური არ არის.

ამასთან, ბიძგებით (ეს შესაძლებელია იყოს სწავლა, ახალი მიდგომების დანერგვა და სხვა) შეცვლა ძალზე ეფექტურია. რეკომენდირებულია ქმედებების შემდეგი თანმიმდევრობა:

- 1) ცვლილებების მიზნის და არსის განსაზღვრა
- 2) ცვლილებების ახსნა თანამშრომლებისთვის, მათ ინტერესების გათვალისწინებით, მათი თვალთახედვით ამ ცვლილებების დანახვა
- 3) ფაქტებისა და მტკიცებულებებით სურათის გამყარება
- 4) ცვლილება, როგორც არჩევანის შესაძლებლობის წარმონაჩენი
- 5) უკუკავშირის მოსმენა და გათვალისწინება
- 6) დაბრკოლებების მინიმიზაცია
- 7) იმპულსის გამყარება მოკლევადიანი შედეგებით

6. ბრიჯის ტრანზიტული მოდელი

ეს მოდელი შექმნა უილიამ ბრიჯსიმ, ცვლილებების კონსულტანტმა, თავის წიგნში „გარდაქმნების მენეჯმენტი“ (Managing Transitions, 1991). მოდელი აქცენტს აკეთებს არა ცვლილებებზე, არამედ გადასვლაზე. მნიშვნელოვანია, რომ გადასვლა არის შიდა პროცესი, ძირითადად ადამიანების გონების ტრანსფორმაციის პროცესებს უკავშირდება და ხდება უფრო ნელა, ვიდრე გარეგანი ცვლილებები. ამ მოდელში გადასვლის სამი ეტაპია:

ეტაპი 1: დასრულება

ყველა გადასვლა იწყება დასრულებით. ამ ეტაპზე ადამიანები განსაზღვრავენ რა მთავრდება, რას კარგავენ და როგორ უნდა გაუმჯობესონ ეს დანაკარგები.

ეტაპი 2: ნეიტრალური ზონა

ეს ეტაპი განასახიერებს დროის იმ მონაკვეთს, რომელშიც ძველი დასრულებულია, მაგრამ ახალი ჯერ კიდევ არ არის სრულად ექსპლუატაციაში. ეს არ არის კომფორტული ეტაპი, მაგრამ ის აუცილებელია და მოქმედებს როგორც მარცვალი, რომლიდან შეიძლება გაიზარდოს ახალი წამოწყებები.


ეტაპი 3: ახალის დასაწყისი

ეს ნაბიჯი იქ არის, სადაც მიიღება ახალი გაგება, ფასეულობები და დამოკიდებულებები. დაზარალებულ ინდივიდებს ახალი როლები აქვთ და ეს მით სავსეა მისი.

7. Kübler-Ross-ის ცვლილების მრუდი

ელიზაბეტ კობლერ-როსი იყო მსოფლიოში ცნობილი ფსიქიატრი და “შეცვლის მრუდი“-ს შემოქმედი, ასევე “მწუხარების ხუთი ეტაპის“, რომელიც მან აღწერა თავის წიგნში “სიკვდილსა და სიკვდილზე“.

ორივე მეთოდოლოგია ეხმარება ინდივიდებს და ჯგუფებს მიიღონ ცვლილებები ემოციურად, ასევე მატერიალურად ან ფიზიკურად. მოდელი ყურადღებას ამახვილებს ადამიანებზე, ცვლილების მრუდი და მწუხარების ხუთი ეტაპი ძირითადად ერთნაირია:



ნახ.1. Kübler-Ross-ის ცვლილების მრუდი

უარყოფა: ხდება მაშინ, როდესაც თანამშრომლები წინააღმდეგობას უწევენ იმის აღიარებას, რომ ცვლილება უნდა მოხდეს და საჭიროებენ ინტენსიურ კომუნიკაციას, ცვლილებებისთვის ნელ მზადებას.

აღშფოთება: ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი ივსება შიშით და ცვლილებების მიმართ უკმაყოფილო ხდება და მოითხოვს ამ აღშფოთების მიღებას, დამატებით დიალოგს და მხარდაჭერას.

გარიგება: ხდება, როდესაც თანამშრომლები ცდილობენ შეცვალონ განზრახვლი ცვლილებები და მოითხოვენ ამ უკუკავშირს მოსმენისას.

დებარება: ვითარდება, როდესაც თანამშრომლების პროდუქტიულობა მცირდება ცვლილებისადმი უარყოფითი ან (უკიდურეს შემთხვევაში) სასოწარკვეთილი განწყობის გამო.

მიღება: ხდება მაშინ, როდესაც ცვლილება სრულად განხორციელდა და თანამშრომელი მოითხოვს ამ აღიარების აღნიშვნას.

მცირე და საშუალო ბიზნესში განვითარების და ორგანიზაციული გარდაქმნები

ლ. გრეინერის ორგანიზაციული განვითარების სქემა

მოდელი წარმოადგენს კომპანიის განვითარებას, როგორც ევოლუციური განვითარების ფაზების რეგულარულ ცვლილებას და მათ შორის რეკოლუციურ გადასვლებს. ერთი ეტაპიდან მეორეში გადასვლის შიდა ლოგიკა არის რეკოლუციური გადაწყვეტა თითოეულ ეტაპზე დაგროვილი პრობლემებისა. თითოეული ევოლუციური პერიოდისთვის დამახასიათებელია მართვის დომინანტური სტილი, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის ზრდას, ხოლო რეკოლუციური გადასვლა (კრიზისი) ასოცირდება დომინანტური მართვის პრობლემასთან, რომლის გარეშეც შეუძლებელია ორგანიზაციის შემდგომი ზრდა, ხოლო თავად გადაწყვეტილებები განსაზღვრავს ევოლუციის შემდგომ ეტაპს. მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის ასაკი და ზომა. გრეინერის აზრით, კომპანიის მომავალი უფრო მეტად განისაზღვრება მისი ორგანიზაციული ისტორიით, ვიდრე გარე ფაქტორებით, ანუ ის თითქოს დაპროგრამირებულია. პირველი, ორგანიზაციული

ცვლილებები განისაზღვრება სტრატეგიული მიმართულების არჩევით ფუნქციების შემდგომი დაზუსტების და მენეჯმენტის სტრუქტურის შესაბამისად. განვითარების უმაღლეს ეტაპზე ორგანიზაცია ანვითარებს კოლექტიური მუშაობის ყველა ფორმას, რაც, საბოლოო ჯამში, ორგანიზაციას სრულყოფისკენ მიჰყავს. გრეინერი განსაზღვრავს ორგანიზაციული განვითარების ხუთ ფაზას და მათთან დაკავშირებულ კრიზისებს.

შემოქმედებითი ეტაპი ლიდერობის კრიზისით. კომპანია ვითარდება დამფუძნებლების შემოქმედებითი პოტენციალის წყალობით, რომლებიც არ არიან პროფესიონალი მენეჯერები, მაგრამ აქვთ უნიკალური სამეწარმეო უნარები ან პროფესიონალური ცოდნა ერთ ინდუსტრიაში, რაც შესაძლებელს ხდის პროდუქტის განვითარებას და მისი ბაზრის პოპულარიზაციას. არაფორმალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას მხარს უჭერს ნეპოტიზმი, დამფუძნებლების ერთუზიანობა და თანამშრომლების დამუშავება, რომლებიც ანაზღაურდება მოკრძალებული შემოსავლით, მომავალი შემოსავლის დიდი იმედით და არაფორმალური კომუნიკაციით. მცირე ბიზნესს (მცირე კაფეებს, ატელიეებს, ფეხსაცმლის მაღაზიებს) შეუძლიათ წარმატებით იმუშაონ ამ მენეჯმენტის სტილით დიდი ხნის განმავლობაში, იმ პირობით, რომ წარმოების მოცულობა სტაბილურია. მზარდი ორგანიზაციების მართვა აღარ შეიძლება მხოლოდ დამფუძნებლების მიერ: პრობლემების დაგროვება ხდება მათ შორის სტრატეგიული განსხვავებების გამო. ლიდერობის კრიზისის მთავარი საკითხია, სად უნდა წარმართოს ორგანიზაცია და ვის შეუძლია ამის გაკეთება. კრიზისის გადალახვა მოითხოვს მართვის ოფიციალური სტრუქტურის შექმნას, მკაფიო ინსტრუქციებით და პასუხისმგებლობების განცალკევებით, კონტროლის გაზრდით (ანგარიშგების ფორმალიზაციით, ბიუჯეტის დაგეგმვის გზით) და პროფესიონალური მენეჯმენტით.


სტრუქტურირებული მართვის ეტაპი და ავტონომიის კრიზისი. ლიდერობის კრიზისის დაძლევის შემდეგ, პროფესიონალური მენეჯმენტი კომპანიის ორგანიზაციული განვითარების წყარო ხდება. აქ მოცემულია შრომის ვერტიკალური და ჰორიზონტალური დაყოფა, ფუნქციური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა და კომუნიკაციების ოფიციალიზაცია. პერსონალის პროფესიონალური შერჩევა, სტანდარტიზაცია და სამუშაო დაგეგმვა იწვევს ეფექტურობის მკვეთრ ზრდას. თუმცა, გადაწყვეტილების მიღების მაღალმა ცენტრალიზაციამ, საქმიანობის სფეროების გაფართოებამ და მისმა გეოგრაფიამ, შესაძლებელია გამოიწვიოს მენეჯმენტის გადაჭარბებული ბიუროკრატიზაცია, გადაწყვეტილების მიღების მოქნილობის და სინქარის შემცირება და საშუალო მენეჯერების შეზღუდული კრეატიულობა. წარმოიქმნება ავტონომიის კრიზისი, რომლის არსია მენეჯმენტის სხვადასხვა დონეზე აუცილებელი და საკმარისი თავისუფლების განსხვავებული გაგება. წარმოშობილ წინააღმდეგობათა გადასაჭრელად, აუცილებელია უფლებების და პასუხისმგებლობის დელეგირება საშუალო დონის მენეჯერებზე და მათი მოტივირების განახლებული სისტემის შემუშავება თანდათანობითი დეცენტრალიზაციის პირობებში.

უფლებამოსილების დელეგირების ეტაპი და კონტროლის კრიზისი. კომპანიის განვითარების ამ ეტაპზე, ზრდა, გეოგრაფიული გაფართოება, სტრუქტურული რესტრუქტურისა და იწვევს განყოფილებების მართვის განახლებული სტრუქტურის დანერგვას: იქმნება პასუხისმგებლობის ცენტრები საბოლოო შედეგების გამოქვეყნებისა და შეფასებისთვის. ტოპ მენეჯმენტი, როგორც შიდა ინვესტორის და კანონმდებლის მოთხოვნების შემსრულებელი და არსებული რესურსების განკარგვის ეფექტურობის კონტროლი, ორიენტირებულია განვითარების სტრატეგიებზე, ხოლო ოპერაციული მენეჯმენტი გადადის საშუალო დონეზე. სხვა კომპანიების შექმნისას, ტოპ მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს ძლიერი პროფესიული ცენტრი, რომელიც ეწინააღმდეგება მიმდინარე ეტაპის ტენდენციებს. ამის

გაკეთება რთულია, რადგან ხშირად ინდივიდუალური განყოფილებები საკუთარი ამოცანების გადაწყვეტას უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე კომპანიის, ქვეითდება ერთიანობის შეგრძნება. პრობლემის მოგვარება საკოორდინაციო სისტემის შეცვლაა. კონტროლის კრიზისის დასაძლევად იქმნება ძლიერი შტაბ-სტრუქტურები, რომლებსაც ენიჭებათ ერთეულების საქმიანობიდან მიღებული ფუნქციები (მაგალითად, კვლევა და განვითარება, მარკეტინგი); დანაყოფების ავტონომია მცირდება მათი გადაჯგუფებით; კომპანიის დაბალი შემოსავლის და არა ძირითადი ბიზნესის ერთეულები ლიკვიდირდება.

კოორდინაციის ეტაპი და ბიუროკრატის კრიზისი. კომპანიის განვითარების ამ ეტაპზე გაბატონებული ცენტრალიზაციის ტენდენციები განისაზღვრება მრავალი სპეციალიზირებული და სივრცით განცალკევებული ერთეულის საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობით, კომპანიის განვითარების სტრატეგიასთან შესაბამისობაში. ორგანიზაციული ერთეულების შერწყმა ხდება იპროდუქტის შესაბამისად: იქმნება იპროდუქტთან ასოცირებული დამოუკიდებელი საქმიანი ერთეულები, რომლებიც ცენტრიდან მჭიდროდ კონტროლდება დამხმარე ფუნქციების მხარდაჭერით. გაუმჯობესებულია წამახალისებელი მექანიზმები, ორგანიზაციული პროცედურები და კონტროლის მექანიზმები, რის შედეგადაც ორგანიზაცია იღებს ახალ იმპულსს განვითარებისათვის. ბიუროკრატული ტენდენციების შემდგომი გაძლიერება იწვევს ბიუროკრატის კრიზისს - ნდობის დაქვეითებას სხვადასხვა მენეჯმენტის დონეებს შორის. პროცედურები, რომლებიც დომინირებს პრობლემის გადაჭრაში, ხელს უშლის ინოვაციას. გადაჭარბებული ორგანიზაცია ცუდად განკარგავს ფორმალურ პროცედურებს, ხოლო მისი რთული სტრუქტურის კოორდინაციის ხარჯები თანაფარდობას იწვევს მისგან გამომდინარე სარგებელთან. კომპანიას არ შეუძლია ეფექტურად მოახდინოს რეაგირება ბაზრის ცვლილებებზე. ბიუროკრატის კრიზისის დაძლევა დამოკიდებულია გუნდური მუშაობის უნარსა და მათ განვითარებაზე, რადგან აუცილებელია ორგანიზაციაში ჰორიზონტალური კავშირების გაძლიერება, რათა მოხდეს სხვადასხვა ფუნქციონალურ და გეოგრაფიულ ერთეულს შორის სრული ურთიერთქმედების უზრუნველყოფა. კომპანიამ უარი უნდა თქვას იმ განყოფილებების არსებობაზე, რომლებიც ართულებენ მის მენეჯმენტს, მათი ფუნქციების შესრულება ხელშეკრულების საფუძველზე გადადის სხვა პარტნიორ ორგანიზაციებზე ან ნაწილდება სხვა განყოფილებებზე. ახალი საბაზრო შესაძლებლობების რეალიზაციის ამოცანა შეიძლება მოგვარდეს ორგანიზაციული სტრუქტურის გაფართოების გარეშე, სტრატეგიული ალიანსების შექმნის გზით [ბარათაშვილი ე....2016].

სინერჯის კრიზისთან თანამშრომლობის ეტაპი. ბიუროკრატის კრიზისისთვის დამახასიათებელი ინტერპერსონალური კონფლიქტების მოგვარების შედეგად, იქმნება საერთო ფასეულობები, რომლებიც აერთიანებს ორგანიზაციას ერთსულოვანი ადამიანების გუნდში. გუნდური მუშაობა და გუნდური მოტივაცია ორგანიზაციის განვითარების ყველაზე მაღალი წერტილია, ამ ეტაპზე გრავიტაცია ორგანულ ორგანიზაციულ სტრუქტურამდე და მენეჯმენტზე უფრო მოქნილი, ქვეითი მიდგომაა. გამარტივებული კონტროლის მექანიზმის მქონე მატრიქსების მართვის სტრუქტურას ეხმარება რეალურ დროში გადაწყვეტილების მიღების საინფორმაციო სისტემების იმპლემენტაცია, რაც გუნდებს მოუწოდებს იყენონ კრეატიულები - შექმნან და განახორციელონ ინოვაციები. კომპანიის მთელი განვითარების ციკლის ლოგიკური დასკვნა და ცალკეული თანამშრომლობის ეტაპი შეიძლება იყოს სინერჯის კრიზისი - ეს არის ორგანიზაციული დადლილობის კრიზისი, როდესაც თანამშრომლები ემოციურად და ფიზიკურად დაიდალა გუნდური მუშაობით ინოვაციური საქმიანობისგან ძლიერი წნევის ფონზე. ამ კრიზისის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ორგანიზაციის, როგორც მთლიანობაში, ტრანსფორმაციის გზით.



ნახ 2. ლ. გრენერის ორგანიზაციული განვითარების მოდელი

გრენერის მიხედვით, ორგანიზაციული განვითარების მაგალითია კომპანია Apple, რომლის სასიცოცხლო ციკლში მისი ფორმირების დროს 1976 წლიდან 1998 წლამდე მოხდა. შესაძლებელია ხუთი ეტაპის პოვნა, რომელთაგან თითოეული ასოცირდება იმ მენეჯერების ვინაობასთან, ვინც იმ დროს მართავდა კომპანიას. Apple - ის განვითარების ევოლუციური ეტაპები არ არის გრძელი, რადგან, როგორც მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური კომპანია, ის განიცდიდა ხშირ და მნიშვნელოვან კრიზისებს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ამ ინდუსტრიაში განვითარება. კრეატიული ეტაპი (1976-1985) ასოცირდება კომპანიის დამფუძნებლების ს. ჯობსისა და ს. ვოზნიაკის სახელებთან, რომელთა ტექნიკურმა იდეებმა დაუყოვნებლივ მიიყვანა კომპანია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდუსტრიის წინა პლანზე, მაგრამ ჯობსის და ვოზნიაკის შემოქმედებითი მიდგომა ახალი პროდუქტის შექმნის თვალსაზრისით არ აღმოჩნდა საკმარისი. მზარდი ბიზნესის პრობლემების მოსაგვარებლად, რამაც კომპანია ლიდერის კრიზისამდე მიიყვანა. სამთავრობო ფაზის განვითარება (1986-1992) განისაზღვრა მდიდარი მარკეტინგის გამოცდილებით, რომელიც მიიღო დ.სკალიმ, რამაც შესაძლებელი გახადა Apple-ის კომპიუტერების წარმოების, მარკეტინგის და ტექნიკური აღჭურვილობის მიზანმიმართულად განვითარება, აქცენტი გაკეთდა ბაზრის საჭიროებებზე. აგრესიული გაყიდვების სტრატეგიამ კომპანიას მისცა მზარდი სივრცული დაფარვა, გახადა ის გლობალური, მაგრამ უარყოფითად იმოქმედა შიდა ეფექტურობაზე. სკალის მიერ შექმნილი მართვის ცენტრალიზებულმა სისტემამ დაიწყო გეოგრაფიული გაფართოების სიტუაციაში მართვის ქვედა და ზედა დონის ინიციატივის შეზღუდვა, რამაც ავტონომიის კრიზისი გამოიწვია.

შემდეგ ფაზას (1993-1995) ხელმძღვანელობდა მ. სპინდლერი. ხარჯების კონტროლის გაძლიერება და პროდუქტების დივერსიფიკაცია Apple- მა მიიყვანა დაბალფასიანი ბიზნეს მოდელისკენ, რამაც თანამდებობიდან გაათავისუფლა 2,500 თანამშრომელი. დაბალი ფასის კომპიუტერული მოდელების გამოშვებამ აშშ-ს ბაზარზე გაორმაგდა გაყიდვები სულ რაღაც ორ წელიწადში, მაგრამ კომპანიამ ვერ შეძლო ყველას დაკმაყოფილება, ამასთანავე, დაკარგა მნიშვნელოვანი საბაზრო წილი, რამაც საკონტროლო კრიზისი გამოიწვია. ზარალებმა 69 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, შედეგად კიდევ 1.300 მუშაკი გაათავისუფლეს. კოორდინაციის ფაზა (1996-1997) გ. ამელიოს ხელმძღვანელობით დაიწყო კომპანიის რესტრუქტურისაციით და კოორდინაციის გაუმჯობესებით. კონცენტრირებული ფუნდამენტუ-

რად ახალი კომპიუტერების და ოპერაციული სისტემების შემუშავებაზე, კომპანია იძენს 'Next'- ს, ამით ამდიდრებს საკუთარ რესურსებს და იძენს ახალ სტრატეგიულ კონტაქტებს. ბიუროკრატის კრიზისმა აიძულა Apple- მა შეამციროს წარმოება, გაეიდოს ლიცენზიები თავსებადი კომპიუტერების წარმოებისთვის და გამოიყენოს საკუთარი საინფორმაციო სისტემა, რამაც შეარყია კომპანიის იმიჯი მსოფლიოში. თანამშრომლობის ფაზა უკავშირდება სტივ ჯობსის Apple- ში დაბრუნებას. Microsoft- ის პროგრამული უზრუნველყოფის, Oracle, Macromedia და IBM, Motorola კომპიუტერების სტრატეგიულ შემქმნელებსა და მწარმოებლებთან თანამშრომლობამ კომპანია დააბრუნა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში რევოლუციური გადაწყვეტილებების მოსაძებნად [Lipit R, Watson G.,2005].

ეკონომიკური ტენდენციები და ინდიკატორები

ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 7%-ით იზრდებოდა. მშპ-ს ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (12.3%) 2007 წელს დაფიქსირდა. საქართველოს ეკონომიკა განსაკუთრებით მდგრადი აღმოჩნდა 2008 წლის ორმაგი საგარეო შოკის მიმართ. 2008 წელს, მშპ-ს ზრდა 2.4% იყო, ხოლო 2009 წელს მშპ 3.7%-ით შემცირდა, თუმცა, სიტუაცია სწრაფად გამოსწორდა და 2010 წელს მშპ-ს ზრდამ 6.2% შეადგინა. 2011 და 2012 წლებში მშპ-ს ზრდამ შესაბამისად 7.2% და 6.4% შეადგინა. ზრდის ტემპი უმნიშვნელოდ შენედა 2013 წელს (3.4%), უმეტესად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემცირების ხარჯზე, თუმცა, 2014 წელს, მიუხედავად ზოგადად რეციონში და საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული არახელსაყრელი ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს ეკონომიკა 4.6%-ით გაიზარდა. 2014 წელს, მშპ-ში ყველაზე დიდი წილი მოდიოდა ვაჭრობაზე, მრეწველობაზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე. ამავე პერიოდში, 5 ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი იყო მშენებლობა (13.1%), საფინანსო საქმიანობა (9.9%), უძრავი ქონება (8.1%), სასტუმროები და რესტორნები (7.3%), ვაჭრობა (5.8%) და ტრანსპორტი (5.8%).

სამეწარმეო საქმიანობა: 2006-2014 წლებში, ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვა 3.4-ჯერ გაიზარდა და 2014 წელს 50 მლრდ. ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, ბიზნეს სექტორის გამოშვება 3.5-ჯერ გაიზარდა და 2014 წელს 26 მლრდ. ლარს გაუტოლდა. დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 361 000-დან 592 147-მდე. 2014 წლის მონაცემებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი მოდის ვაჭრობაზე (23.5%), მრეწველობაზე (19.6%), მშენებლობაზე (11.4%), უძრავ ქონებაზე (10.0%), ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობასა (10.0%) და ჯანდაცვაზე (9.8%). საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება ამ პერიოდში 286 ლარიდან 801 ლარამდე გაიზარდა.

2006-2014 წლებში ბიზნეს სექტორის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება გაიზარდა 3,5 მლრდ. ლარიდან 12,8 მლრდ. ლარამდე, ხოლო ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში - 2,1მლრდ. ლარიდან 3,6 მლრდ. ლარამდე. 2014 წელს, ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვის დიდი ნაწილი მოდის ვაჭრობაზე (50.5%), მრეწველობაზე (18.0%) და ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე (10.3%), ხოლო გამოშვების - მრეწველობაზე (31.5%), ვაჭრობაზე (17.1%), მშენებლობასა (15.7%) და ტრანსპორტსა და კომუნიკაციებზე (13.8%).

2020 წლამდე საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები მოცემულია „საქართველო 2020“-ში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2014 წლის ივნისში. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ხედვა აგებულია შემდეგ პრინციპებზე: სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდა, რომელიც ეფუძნება კონკურენტუნარიან კერძო სექტორს, ინკლუ-

ზიურ ზრდაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას და ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის განვითარებას.

მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება ეფუძნება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რაოდენობას და გამოიყენება ბიზნესის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის მომზადების მიზნით. საშუალოა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულია რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მლნ. ლარს. მცირეა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-მდე დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს.

მცირე და საშუალო საწარმოების სტატისტიკა:

2014 წელს, მოქმედი საწარმოების რიცხვი 70 760-ს შეადგენდა, საიდანაც 6 170 იყო საშუალო, ხოლო 60 640 - მცირე საწარმო. შესაბამისად, მოქმედი საწარმოების 94% (9% საშუალო, 85% მცირე) მცირე და საშუალო საწარმოებს უკავია.

2006-2014 წლებში, მცირე და საშუალო საწარმოების ბრუნვა 269%-ით გაიზარდა - 2,4 მლრდ. ლარიდან 9,0 მლრდ. ლარამდე. ამავე პერიოდში, გამოშვება 269.7%-ით გაიზარდა - 1,4 მლრდ. ლარიდან 5,2 მლრდ. ლარამდე. თბილისზე მოდის ბრუნვისა (71.8%) და გამოშვების (64.6%) უმსხვილესი წილი. 2006-2014 წლებში, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების წილი საწარმოთა მთლიან დამატებულ ღირებულებაში იცვლებოდა, თუმცა არ აღემატება 20%-ს, გარდა 2011 და 2014 წლებისა, როდესაც ამ მაჩვენებელმა შეადგინა შესაბამისად 21.8% და 21.1% [1].

დამატებული ღირებულების უდიდესი წილი (71.1%) შექმნილია თბილისში.

მცირე და საშუალო საწარმოების წილი მშპ-ში არის მცირე (2014 წელს 18%), რითაც დასტურდება, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობა ჯერ კიდევ ვერ თამაშობს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეკონომიკაში. 2006-2014 წლებში, დასაქმება მცირე და საშუალო საწარმოებში გაიზარდა 53.7%-ით - 168,7 ათასიდან 259,4 ათასამდე. ამავე პერიოდში, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 58%-ით 148.1 ათასიდან 233.9 ათასამდე. თუმცა, მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა წილი საწარმოებში მთლიან დასაქმებულებში არ არის მაღალი (43.8% 2014 წელს), განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მცირე და საშუალო საწარმოების წილი საწარმოთა მთლიან რაოდენობაში მაღალია (94% 2014 წელს). საწარმოებში დასაქმებულების 63% დასაქმებულია თბილისში მოქმედ საწარმოებში.

2006-2014 წლებში, საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება გაიზარდა 3,4-ჯერ 185 ლარიდან 636.9 ლარამდე, ხოლო მცირე საწარმოებში - 2,7-ჯერ 141.4 ლარიდან 375.2 ლარამდე. ამ პერიოდში, მცირე და საშუალო საწარმოების შუალედური მოხმარება გაიზარდა 220%-ით -767,6 მლნ. ლარიდან 2,5 მლრდ. ლარამდე, ხოლო ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში - 208%-ით - 272.4 მლნ. ლარიდან 839.5 მლნ. ლარამდე. თბილისზე მოდის ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების უმსხვილესი წილი (62%). 2007-2014 წლებში გასამაგებებელია საქონლისა და მომსახურების ყიდვები (1,9 მლრდ. ლარიდან 7,1 მლრდ. ლარამდე).

2012 წლის შემდგომ, საქართველომ გააფართოვა მიდგომა მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდასაჭერად და განახორციელა მიზნობრივი ღონისძიებები, მათ შორის [1]:

- 1) შეიქმნა ორი ახალი ინსტიტუცია - მეწარმეობის განვითარების და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოები, რომელთა

მიზანია მეწარმეებისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა, ინოვაციების და ექსპორტის ხელშეწყობა და სხვა;

- J) მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული რიგ მახვევებლებში, მათ შორის: ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია, ინოვაციები;
- J) 2014 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის განუყოფელი ნაწილია DCFTA, რომელიც წარმოადგენს როგორც შესაძლებლობას, ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში ევროპული ნორმების დანერგვას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდას და მათ ჩაბმას გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტი ნათლად გვიჩვენებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციას და შესაბამისად ცვლილებების განხორციელების პრაქტიკების და მიდგომების დანერგვის აუცილებლობას.

დასკვნა

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ბაზაზე 2016-2018 წლებში ფუნქციონირება დაიწყო ბიზნეს ინკუბატორის პროგრამა, რომლის ამოცანა იყო მცირე და საშუალო ბიზნესისა და სწრაფად მზარდი სტარტაპების მხარდაჭერა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ინტერაქცია მოხდა 200-ზე მეტ ინკუბაციაში მონაწილეობის სურვილის მქონე კომპანიასთან, ხოლო სრული ინკუბაცია გაიარა 30-მა ასეთმა კომპანიამ. დაკვირვების შედეგად დაფიქსირდა, რომ ნახსენები კომპანიების 82 % იმყოფებოდა ორგანიზაციული განვითარების შემოქმედებით ეტაპზე შესაბამისი ლიდერობის კრიზისით.

განხილული საკითხის დამუშავების ფარგლებში, ჩატარდა საკონსულტაციო ექსპერიმენტი, რომელმაც ნათლად აჩვენა ცვლილებების განხორციელების ძლიერი მხარეები და აგრეთვე სირთულეები.

მოკლე ინფორმაცია კომპანიის შესახებ, სადაც ჩატარდა ექსპერიმენტი (მონაცემები საკონსულტაციო სამუშაოების დაწყების მომენტისთვის): მოლვა-წილების სფერო - ტექნოლოგიები და ფინანსები; კომპანიის დაარსების პერიოდი - 5.08.2017; თანამშრომელთა რაოდენობა - 25; მიმდინარე პროექტების რაოდენობა - 5; დასრულებული პროექტების რაოდენობა - 0; გადაწყვეტილების მიმღები პირი - დირექტორი; სტრუქტურა - არამკაფიოდ განსაზღვრული; საკონსულტაციო პერიოდი - 01.11.2018 დ 01.09.2019; მენეჯმენტის თვალთახედვით დანახული პრობლემები - გუნდის კვალიფიკაციისა და მოტივაციის სისუსტე, გარემოს ცვლილებებზე დაგვიანებული რეაქცია, დაბალი ეფექტურობა; მენეჯმენტის მიერ დასმული ამოცანა - ორგანიზაციული და კულტურული ცვლილებების განხორციელება;

ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარების მიზნით, კომპანიამ მიმართა კონსულტანტს მოკლე აუდიტის და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით. აუდიტის შედეგად დაფიქსირდა რამდენიმე პრობლემა, ხაზს გაუსვამთ სამს: დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ყოველდღიური ცვლილებებისადმი და სიახლეებისთვის ადაპტაციის არასაკმარისი დონე, გუნდის არასაკმარისი შეკავშირება, მიზნებისა ორგანიზაციული და სტრუქტურის არათავსებადობა. კონსულტანტის შეფასების, კომპანია იმყოფებოდა განვითარების შემოქმედებითი ეტაპზე გამოხატული ლიდერობის კრიზისით. პრობლემის დამატებითი შესწავ-

ლის მიზნით, ჩატარდა თანამშრომელთა ინდივიდუალური გამოკითხვა, შემდეგ კომპანიის გასვლითი ღონისძიება, სადაც თანამშრომლებს მიეცა საშუალება საკუთარი მოსაზრებები გამოეთქვათ პრობლემების მიზეზებსა და მოგვარების გზებთან დაკავშირებით და ღონისძიებიდან დაბრუნებისთანავე დაიწყო ორგანიზაციის ტრანსფორმაცია.

კონსულტანტის რჩევით, გათვალისწინებული იქნა ბიძგის თეორია და ბრიჯის ტრანზიტული მოდელი. მენეჯერები და თანამშრომლები შეთანხმდნენ, რომ მუშაობის ძველი მოდელი არაეფექტურია და შესაცვლელია, და, მიუხედავად იმისა, რომ პრობლემის მოგვარების ზუსტი გზა ჯერ მკაფიოდ არ ჩანდა, თანამშრომელთა უმეტესი შემადგენლობა, განეწყო დადებითად ცვლილებებისადმი. შემდეგ, განისაზღვრა კომპანიის განვითარების მოკლევადიანი მიზნები და ერთწლიანი სტრატეგიული გეგმა. აღნიშნული დოკუმენტების პრეზენტაცია დაუყოვნებლივ მოხდა თანამშრომლებთან და ასევე მათ მიეცათ შესაძლებლობა შეეტანათ გარკვეული ცვლილებები და შესწორებები. თანამშრომლებთან კონსულტაციებით და კომპანიის დირექტორთან შეთანხმებით, მოხდა დირექტორთა საბჭოს ჩამოყალიბება (რომლის ამოცანად დასახელდა სტრატეგიული გეგმის მხარდაჭერა და უზრუნველყოფა) და სტრუქტურული ფორმალიზება, გაიწერა სამუშაო აღწერილობები. საბოლოო სამოქმედო გეგმა გავლილი იყო დეტალურად ყველა თანამშრომელთან ინდივიდუალურად. დაიგეგმა მოქნილი მენეჯმენტის და პროექტების მართვის მეთოდის დანერგვა, კერძოდ Scrum მეთოდოლოგიის გამოყენება. შემდეგ, ხელახლა დაკომპლექტდა საპროექტო გუნდები, მოხდა შეთანხმება როლებთან და მოქმედებათა სქემასთან დაკავშირებით, კომპანიის კვდლებზე განხდა Scrum დაფები და დაიგეგმა ყოველდღიური Scrum შეხვედრები. შედეგად გუნდის წევრებმა უკეთ გაიცნეს ერთმანეთი, მოხდა ერთმანეთის საქმიანობის და პრობლემების მეტი შესწავლა, და მთელი გუნდის მასშტაბით მეტი ჩართულობა, გაძლიერდა არაფორმალური კომუნიკაცია. გუნდის შეკავშირების შემდეგ დაფიქსირდა მეორე ეფექტი, ეს იყო ყოველკვირეული შედეგების შეჯამება როგორც გუნდის წევრებთან, ასევე მენეჯმენტთან და მიმდინარე სიახლეების გათვალისწინება შემდეგ სპრინტში, შესაბამისად პროდუქტის ხარისხი მკვეთრად დაიხვეწა. პირველი შედეგების შემდეგ საერთო მოტივაცია გაიზარდა, მოქმედებები აჩქარდა და მაისის თვეში გამზადებული პროდუქტის საპილოტო ვერსია გაიშვა. 2019 წლის ბოლომდე ასევე გაიშვა 2 პროდუქტი და 2 ახალი იდეა შევიდა დამუშავების ფაზაში.

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელ კომპანიაში ადამიანური ფაქტორი და ყოველი თანამშრომელის მზაობა ცვლილებებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგის მისაღებად. აუცილებელია კომპანიაში განისაზღვროს მკაფიო ხედვა, თუ რას ემსახურება ცვლილება და შემდეგ მოხდეს სწრაფი, ხარისხიანი და მკაფიო კომუნიკაცია თანამშრომლებთან და მათ მაქსიმალური ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. ცვლილებების განხორციელებისას, აუცილებელია განისაზღვროს ორგანიზაციის განვითარების ეტაპისთვის დამახასიათებელი კრიზი და სწორედ მოხდეს ცვლილების განხორციელების მოდელის შერჩევა. მიუხედავად იმისა, თუ რომელ მოდელს მიმართავს კომპანია ცვლილების განხორციელებისას, აუცილებელია დაიგეგმოს მოსამზადებელი, ძირითადი და სტაბილიზაციის ეტაპები. ყოველ ეტაპს უნდა გააჩნდეს წარმატების კრიტერიუმები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის
http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf (02.02.2020)
2. https://www.researchgate.net/publication/334678862_Relation_Between_Change_Management_and_Crisis_Management_Survey_Evidence (05.02.2020)
3. TQM, ISO 9000, Six Sigma: Do process management programs discourage innovation? www.knowledge.wharton.upenn.edu/article/1321.cfm
4. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, ა. აბრალავა, „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“, თბილისი, 2007, 715 გვ.
5. ბარათაშვილი ე., მარიდაშვილი მ., ბაგრატიონი ლ., მახარაშვილი ი., „მენეჯმენტი“ თბილისი, 2016, წიგნი 1, გვ. 606.
6. ბარათაშვილი ე., მარიდაშვილი მ., ბაგრატიონი ლ., მახარაშვილი ი., „მენეჯმენტი“ თბილისი, 2016, წიგნი 2. 666 გვ.
7. ბარათაშვილი ე., ქოქიაური ლ., „მენეჯმენტის პრინციპები“, თბილისი, 2010, გვ. 707.
8. Osterwalder, Alexander, and Yves Pigneur, Business Model Generation: A Handbook For Visionaries, Game Changers, And Challengers. Wiley, 2010;
9. A Guide to the Business Analysis Body of Knowledge, Book by International Institute of Business Analysis
10. Managing Innovation: Integrating Technological, Market and Organizational Change, 4th Edition - Joe Tidd, John R. Bessant (2009);
11. 2. Melissa Schilling: Strategic Management of Technological Innovation, McGrawHill, International Edition (2011)
12. The Greiner Growth Model: Anticipate crises and adapt to a changing business world (Management & Marketing Book 3) Kindle Edition
13. MaryM. Change-Management: Wandel ist die einzige Konstante. Zbrich: Orell Fbssli, 2018.
14. William Bridges, Susan Bridges Managing Transitions: Making the Most of Change Paperback – Abridged, September 22, 2009
15. Business Process Reengineering Assessment Guide. United States General Accounting Office. May 2017. Version 3.
16. Lipit R, Watson G., Westley B., Evolutionary critical theory, metaphor, and organizational change // Journal of Management Development. 2005. — Vol. 24. — 5. — P. 443-458.

Irma Baratashvili

Doctor of Business Administration,

CIU Assoc. Professor;

Maria Kldiashvili

GTU Ph.D.

CHANGES AND TRANSFORMATIONS IN SMES

Expanded Summary

One of the hallmarks of this century's business environment -is the constant shifting of external factors as well as the internal processes of companies. economic - technological development and globalization as a result of the frequency of changes increases, that makes us

think about the fact that the modern business world must receive current trend changes as a standard and develop appropriate methodologies, to help manage the changes with maximum efficiency and adapt timely to new circumstances. For every 5-7 years, the amount of knowledge that mankind possesses almost doubles. Consequently, the number of new situations that require new decision making and the use of new methods will be doubled. Naturally, this fact significantly increases the importance of managing news and changes. The reasons for organizational changes can be economic, ideological, organizational, informative, human resources, etc. The most common reason is environmental change and technological innovation. Diagnostic indicators of need for change: direct and indirect: Various performance indicators, non-competitive opportunities, low motivated personnel, innovations and innovations, need to punish staff, and more are known.

The news and changes can be classified as follows:

- In line with organizational actions: planned and unplanned (spontaneous);
- In terms of implementation period: short term and long term;
- Purpose: to increase efficiency, increase employee qualification, improve organizational culture and climate, improve product and service;
- According to the implementation approach: experimental (test) and direct (without pre-testing);
- By volume: point, system (technological and organizational systems) and strategic.

In order for a transformation to be successful, it is necessary to analyze its causes, objects, pros and cons, clearly stated goals, and only afterwards implemented changes.

Based on the Agency for Innovation and Technology, the Business Incubator Program was launched in 2016-2018 with the aim of supporting small and medium-sized businesses and rapidly growing startups. During this period, more than 200 incubators were interacted with companies willing to participate, and 30 were fully incubated. The observation revealed that 82% of the companies mentioned were in the creative phase of organizational development with a relevant leadership crisis.

As part of the discussion of the issue, a consultative experiment was conducted that clearly demonstrated the strengths and difficulties of implementing the change.

Brief information about the company where the experiment was conducted (data at the start of consulting): Field of activity - Technologies and finances; Company Establishment Period - 5.08.2017; Number of employees - 25; Number of ongoing projects - 5; Number of completed projects - 0; Decision maker - director; Structure - not clearly defined; Consultation period - 01.11.2018 - 01.09.2019; Problems seen from a management perspective - weaknesses in team qualifications and motivation, delayed response to environmental changes, low efficiency; The task set by management - to make organizational and cultural changes;

To address the problems listed above, the company consulted with a consultant to develop a brief audit and action plan. The audit identified a number of problems, highlighting three: insufficient levels of adaptation to daily changes and innovations, insufficient adherence to the team, inadequate organizational and organizational structure. In the consultant's assessment, the company was in a creative phase of development with a pronounced leadership crisis. To further investigate the problem, an individual employee survey was conducted, followed by a company outreach event where employees were able to express their views on the causes and ways of resolving problems, and as the company returned from the event, the organization's transformation began.

With the advice of a consultant, the push theory and the Bridges transit model were considered. Managers and employees agreed that the old model of work was ineffective and changeable, and, although the exact way to deal with the problem was not yet clear, most staff members favored positive change. Then, the company's short-term development goals and one-year strategic plan were defined. These documents were immediately presented to the

staff and they were also given the opportunity to make some changes and corrections. In consultation with the staff and in agreement with the Company Director, a Board of Directors was established (whose task was to support and secure the Strategic Plan) and a formalized structure, job descriptions were written. The final action plan was detailed with all employees individually. Implementation of flexible management and project management methods, in particular the use of Scrum methodology, was planned. Then, the design teams were re-staffed, roles and schemes were agreed upon, Scrum boards were displayed on the company walls and daily Scrum meetings were planned. As a result, team members got to know each other better, explored each other's activities and problems, and increased engagement across the team, informal communication strengthened. The second effect was observed after team merging, this was a summary of weekly results with both team members and management, and keeping in mind the current news in the next sprint, the quality of the product improved dramatically. After the first results, overall motivation increased, actions accelerated and a pilot version of the product was launched in May. By the end of 2019 there were also 2 product launches and 2 new ideas in the development phase.

In a SME company, the human factor and the willingness of each employee to change is critical to achieving the end result. It is important for the company to have a clear vision of what change is all about, and then communicate quickly, with quality, and with employees and maximize their involvement in decision-making. When making changes, it is necessary to identify the crisis characteristic of the development phase of the organization and to select the model of change implementation. Regardless of which model the company applies when implementing the change, it is necessary to plan the preparatory, basic and stabilization stages. Each stage must have success criteria.

Lasha Kelikhashvili

PhD Candidate

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

EFFECTS OF PUBLIC DEBT ON PRIVATE INVESTMENT BASED ON PANEL DATA

Summary: This article discusses the effects of public debt on private investment activity. The research is based on an econometric approach, which analyses theoretical determinants of private investment including level of public debt, as a potential determinant. Potential effects of public debt on private investment is essentially important in modern world, as most governments tend to overhang debt and sometimes it can be obstacle for the private sector.

Key words: Public Debt, Private Investment, Debt Overhang.

Introduction

Most governments in the modern world use borrowed resources to finance their operation related to the infrastructure development or merely current needs. Despite positive sides of financing government operations with borrowed sources, sometimes there can be a tradeoff between governmental and private sector activities. Namely, according to the economic theory, excess borrowing by government from the local market may cause private investments crowding out effect. Situation when the government absorbs most credit resources and crowds out private investments.

Blinder and Solow stated that increasing budget deficit (that is the source of debt accumulation) during economic recession and budget surplus during the expansion, which is named cyclical deficit, can stabilize economic growth around the potential output level. In this case, budget surplus during expansion period compensates accumulated debt during recession (Blinder A. Solow R. 1974).

In opposition, Ricardian equivalence states, that accumulation of debt by expansionary fiscal policy has not any effect on economic activity as the effects of expansionary fiscal policy is compensated with decrease in the private consumption and investment. This kind of behavior by economic agents is due to expectation of increasing taxes in the future to finance accumulated debt. This theory was firstly developed by David Ricardo (Ricardo 1820) and then by Robert Baro, within the theory of rational expectations (Baro, 1974). The theory was further developed by Paul Krugman (Krugman 1989), who showed the debt relief Laffer curve (with the shape of an inverted U). Krugman concludes that external debt obligations act as a tax on investment. Empirical research in this area shows different results but most of them confirms that there is a negative relationship between government debt and private investment activity.

According to Alfredo Schclarek, who analyzed dynamic panel data for 59 developing countries, concluded that government debt affects private investment and as a result economic growth negatively regardless the size of debt (Schclarek A. 2005). ReinHart and Rogoff showed that relationship becomes negative when the government debt to GDP ratio reaches about 60% for developing countries, while the breakpoint of the ratio is higher for developed countries. (Reinhart and Rogoff 2010). The same point of the ratio is around 35-40% according to the research of Catherine pattillo, Helene poirson and Luca Ricci who used dynamic panel of 93 countries (Catherine pattillo, Helene poirson and Luca Ricci; 2011).

This research aims to evaluate the impact of public debt on private investment activity based on the data coming from the nearest past.¹⁹

¹⁹ The difference between government debt and public debt is that public debt includes liabilities of state owned enterprises which is contingent liabilities for general government.

Data and methodology

In our research we use LSDV (Least Square Dummy Variable) model to examine whether there is any kind of relationship (positive or negative) between public debt and private investment in post-crisis period. To construct our model we use gross fixed capital formation financed by private sector to GDP ratio as a dependent variable. Independent variables consists of determinants of investment and includes lending rate, savings to GDP ratio, financial development index produced by IMF²⁰ and public debt to GDP ratio. The model has the following form:

$$Y_{it} = \alpha + \beta_1 X_{1it} + \beta_2 X_{2it} + \beta_3 X_{3it} + \beta_4 X_{4it} + \mu_t + \gamma_i + u_{it}$$

Where Y is the dependent variable, X₁, X₂, X₃ and X₄ are independent variables. μ and γ are time specific and country specific effects, which will be modeled using dummy variables. In the model, we use short panel data, which includes yearly observations over 2009-2017 period for 55 countries.


By adding dummies for each country and for each year, we are estimating the isolated effect of X_{it} by controlling for the unobserved heterogeneity between countries and between time periods. Each dummy is absorbing the effects particular to each country and each year. Employing the LSDV model on the one hand prevents the research from complication and makes it easier to understand. On the other hand, LSDV model works well with “short panels” (with “short T” and “long N”) (see for example Kiviet 1995).

The data for the model comes from IMF, WEO and WDI databases.

Estimation

To estimate our model and make conclusions based on it, we need to conduct several diagnostic tests. Firstly, we need to test, whether the model is fixed effect or random effect. It simply means to test μ and γ parameters variability across time and across countries. As we can see from diagram 1, there are significant differences among countries in terms of GFCF_to_GDP ratio.

Diagram 1. Mean and Absolute value distribution of GFCF_to_GDP by country




Source: WDI, Authors calculations

²⁰ Financial development index ranges between [0-1] interval. To express as percentage scale, it is multiplied by 100

On the other hand, time specific component seems to be insignificant. Namely, as diagram 2 shows, on average, GFCF_to_GDP is not changed over the period significantly. These results support the idea that in our model only country specific effects should be involved while time specific component seems to be not significant.

Diagram 2. Mean and Absolute value distribution of GFCF_to_GDP by year



Source: WDI, Authors calculations

Our conclusion based on the diagrams 1 and 2 is consistent with the results of Housman test for fixed/random effect models and test for time fixed effect significance (see table 1 and 2 in Appendix). Based on the tests, we use LSDV model with above mentioned independent variables and country specific fixed effects only. The model takes the following form:

$$Y_{it} = \alpha_i + \beta_1 X_{1it} + \beta_2 X_{2it} + \beta_3 X_{3it} + \beta_4 X_{4it} + u_{it}$$

The key insight while employing this model is that if the unobserved variable does not change over time, then any changes in the dependent variable must be due to influences other than these fixed characteristics (Stock and Watson, 2003, p.289-290). The other factors are independent variables included in the model.

Finally, estimated model with independent variables and country fixed effects has the following form:

Table 1. Estimation results for LSDV model²¹

²¹ Diagnostic test for the OLS based estimated model shows that it suffers from heteroscedasticity. So, standard errors calculation for coefficients are based on robust approach.

Variable explanation	Coefficients	Variable Value
<i>Intercept</i>		18.6129*
<i>Debt To GDP Ratio</i>	1	-0.0368**
<i>Lending Rate</i>	2	-0.2868**
<i>Gross Savings To GDP Ratio</i>	3	0.1735*
<i>Financial Development Index</i>	4	0.2275*
<i>Number of observations = 424</i>		
<i>R-squared = 0.88</i>		
<i>Country Fixed effects - YES</i>		
<i>Time Fixed Effects – NO</i>		

* $p < 0.01$; ** $p < 0.05$

As the estimated model shows, Debt_to_GDP ratio negatively affects private investment accumulation assuming 0.05 significance level, but the effect is not too large. Other determinants of private investment have much larger impact compared to Debt To GDP Ratio. Namely, according to the model, 1 percentage point increase in the debt to GDP ratio causes decrease in private investment to GDP ratio by 0.04 percentage point.

Conclusion

In this paper, we analyzed relationship between private investment and its determinants, including public debt as the hypothesized variable. According to the research and the model estimated in this research, which covers data over the period 2009-2017 for 55 countries, the relationship between public debt and private investment activity seems to be negatively correlated and increase in debt to GDP ratio causes private investment to GDP ratio to decrease. The results are consistent with the previous researches, which confirms that high level of debt to GDP ratio crowds out private investment, both domestic and foreign.

Appendix

Table 1. Hausman test results for fixed/random effect model

Variables	Coefficients Under Fixed effect Model (a)	Coefficients Under Random effect Model (b)	(b-a)	sqrt(diag(V_b-V_B)) S.E.
Debt_To_GDP	-0.0368	-0.0243	0.0125	0.0052
Lending_rate	-0.2868	-0.2109	0.0759	0.0337
Gross_Savings_To_GDP	0.1735	0.1778	0.0043	0.0106
fd_fd_ix	22.7486	6.2193	-16.5293	6.4026
<i>Test: Ho: difference in coefficients not systematic</i>				
$chi2(4) = (b-B)'[(V_b-V_B)^{-1}](b-B)chi2(4)=21.92$				
$Prob>chi2 = 0.0002$				

Table 2. F Test for time fixed effect significance

H_0 - coefficients for all years are jointly equal to zero
$F(8, 356) = 1.12$

$Prob > F = 0.3494$

AKNOWLEDGEMENT

The research is supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia under the doctoral research project - PHDF-18-860

References

1. Kiviet, J. 1995. On bias, inconsistency, and efficiency of various estimators in dynamic panel data models. *Journal of Econometrics* 68, 53-78
2. Barro R. (1974). “Are government bonds net wealth?” *Journal of Political Economy* 82(6): 1095-1117.
3. Krugman P. 1988. “Financing vs. Forgiving a Debt Overhang,” *Journal of Development Economics*, Vol. 29 (November), pp. 253–268
4. Reinhart M. Rogoff K, (2010) “Growth in a Time of Debt”, *American Economic Review: Papers & Proceedings*, Vol. 100, No. 2, pp. 573–78
5. Schclarek A. (2004), Debt and economic growth in developing and industrial countries, Working Paper no. 34, School of Economics and Management, Lund University.
6. Patillo C. Poirson, H. Ricci L. (2004), “What are the channels through which external debt affects growth?” IMF Working Paper no. 15, Washington, D.C
7. 10. Blinder A. and Solow R. (1974) *Analytical Foundations of Fiscal Policy*, pp. 3-115.
8. Ricardo D. (1820). "Essay on the Funding System", 1820
9. Stock J. H. and Watson M. W., (2003), “Introduction to Econometrics,” New York, Prentice hall; 289-290
10. www.WDI.com
11. www.IMF.com
12. www.WEO.org

ლაშა კელიხაშვილი
ოსუ დოქტორანტი

სახელმწიფო ვალის ბავლენა კერძო ინვესტიციებზე რეზიუმე

მოცემულ სტატიაში განხილულია მთავრობის ვალის ბავლენის ეფექტები კერძო საინვესტიციო აქტივობაზე. მთავრობის ვალის ოპტიმალურ დონესთან დაკავშირებით არსებობს ალტერნატიული თეორიები. იგი თაობათა შორის კეთილდღეობის გადანაწილების სახელმწიფოს ხელში არსებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია დეტალურად იქნეს შესწავლილი მთავრობის ვალის არამხოლოდ პირდაპირი, არამედ ირიბი ეფექტებიც რათა არ მოხდეს მისი ზრდით კერძო სექტორის საქმიანობის არამიზანშეწონილი შეზღუდვა.

სტატიაში წარმოდგენილი კვლევა თეორიულ საფუძველს იღებს რიკარდოს ექვივალენტურობის თეორიიდან, რომელიც შემდგომში ე.წ. „ვალის ლაფერის მრუდის“ სახელით განვითარდა, და რომლის მიხედვითაც არსებობს მთავრობის

ვალის დონე, რომლის ზეეითაც იგი კერძო ინვესტიციების შემზღუდველ ფაქტორად იქცევა.

კვლევაში მიღებული დასკვნები ეფუძნება „ფიქსირებული ეფექტის“ მქონე უმცირეს კვადრატთა მეთოდით შეფასებულ მოდელს (LSDV). მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ მთავრობის ვალსა და კერძო საინვესტიციო აქტივობას შორის არსებობს ნეგატიური კავშირი და მთავრობის ვალის ზრდა გარკვეულწილად კერძო ინვესტიციების შემზღუდველ ფაქტორს წარმოადგენს.

კვლევაში მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს არამხოლოდ მთავრობის ვალის მდგრადობის საკითხს, არამედ მის პოტენციურ გავლენას კერძო სექტორზე, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი პოტენციური უარყოფითი ეფექტები.

ნატალია ძიბიგური

ქუთაისის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ
მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი,
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესის თანამედროვე გამოწვევები

რეზიუმე: საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესის წარმატებით ჩატარება, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ევროპული სტანდარტების შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა დამოკიდებულია მოსახლეობის, თითოეული ჩვენგანის აქტიურობასა და ინიციატივებზე, რათა არ დაეუშვათ მისი პოლიტიზება და სამაგალითო გავხადოთ აფხაზეთისა და ოსეთის რეგიონებისთვის, რათა გაერთიანების შემდეგ გატარებული რეფორმების წარმატება მათი მხრიდან მხარდაჭერისა და გაზიარების საფუძველი გახდეს.

საკვანძო სიტყვები: თვითმმართველობა, დეცენტრალიზაცია, სტრატეგია, სახელმწიფოს ნება, სამართლებრივი რეგულირება, მდგრადი განვითარება.

შესავალი

სრულფასოვანი ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა და განვითარება სახელმწიფოს მმართველობის სისტემის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ადგილობრივი თვითმმართველობა მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი ინსტიტუტია. თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო არჩევითია და ის საკრებულოსთან ერთად პოლიტიკური ორგანოა, რომელიც თავისი საქმიანობის განხორციელებით წყვეტს ადგილობრივი და საერთო ეროვნული მნიშვნელობის საკითხებს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ მოსახლეობის წინაშე.

ევროკავშირის ქვეყნებში ამჟამადაც გრძელდება რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს უკვე დეცენტრალიზებულ ქვეყნებში სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების შემდგომ გადანაწილებას, სადაც კონექსიის პრინციპი მხარდაჭერილია კონსტიტუციით.

ძირითადი ნაწილი

თვითმმართველობას საქართველოში საუკუნოვანი ისტორია გააჩნია. დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921) ჩამოყალიბდა იმ დროისათვის თანამედროვე თვითმმართველობის ორდონიანი სისტემა. ბუნებრივია, საბჭოთა პერიოდმა უკან დახია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება და მხოლოდ 1990-ანი წლებიდან, საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, იწყება ცვლილებები ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციონალიზაციისა და მისი საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირების მიზნით. დაწყებული მრავალპარტიული საკრებულოს არჩევით, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული პრეფექტებით, დამთავრებული თვითმმართველობებისთვის ისეთი უფლებების მინიჭებით, როგორც არ ექნებოდა ბევრ ევროპულ ქვეყანას.

1998 წელს პირველად ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები.

2005 წლიდან საქართველო მიუერთდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპულ ქარტიას. 2014 წელს საქართველოს ორგანულმა კანონმა - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ გააძლიერა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები. ამავ, 2014 წელს დოკუმენტის – „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და

ვერობის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წვერ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ – გაფორმებამ მეტი პასუხისმგებლობა დააკისრა სახელმწიფოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის განსახორციელებლად. ასოცირების შეთანხმებით, საქართველომ გამოხატა მზადყოფნა:

- ✓ პატივი სცეს მდგრადი განვითარების პრინციპებს, დაიცვას გარემო და შეამსუბუქოს კლიმატის ცვლილების პროცესი, მუდმივად გააუმჯობესოს გარემოსდაცვითი მმართველობა და გარემოსდაცვითი საჭიროებების გათვალისწინება;
- ✓ გააუმჯობესოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოების დონე და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, როგორც მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ელემენტი;
- ✓ საქართველოს ყველა მოქალაქეზე კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებული საზოგადოების ჩათვლით, გააგრძელოს ევროკავშირთან საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად მიღებული სარგებელი;
- ✓ ხელი შეუწყოს ცვლილებებს, მათ შორის, საგადასახადო სფეროში, სავაჭრო ინტეგრაციას და გადრმავებულ ეკონომიკურ თანამშრომლობას, ინსტიტუციურ განვითარებას, საჯარო მმართველობას და საჯარო სამსახურის რეფორმას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, სიღარიბის შემცირებას და თავისუფლებას, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობას და ა.შ. [5]

2013 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო დეცენტრალიზაციის დაჩქარების გადაწყვეტილება, რასაც ემსახურებოდა 2013 წლის 1 მარტის №223 განკარგულება „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის“. აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავდა არსებითად ახალი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას, კერძოდ:

- ✓ საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფორმირებას თითოეულ დასახლებაში;
- ✓ მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიულ ოპტიმიზაციასა და გაძლიერებას;
- ✓ სამხარეო ხელისუფლებაში თვითმმართველობის ელემენტების დამკვიდრებას;
- ✓ სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმების შექმნას;
- ✓ რეფორმირების პროცესის სამართლებრივ, ტექნიკურ და რესურსულ უზრუნველყოფას [6].

ღია საზოგადოების ფონდის მიერ „საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიური ანგარიშიდან (2016-2017 წლები)“ მიმდინარე პროცესების ურთიერთშედარებისას, იკვეთება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენციები.

დადებითად აისახა მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა, ფისკალური დეცენტრალიზაცია (გადასახადების ნაწილის ადგილზე გადაცემა), სამოქალაქო საზოგადოების და მოქალაქეების უფრო აქტიური ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში, 7 ახალი თვითმმართველი ერთეულის გაჩენა და სოფლის როლის გაძლიერება ამ თვითმმართველ ერთეულებში, დედაქალაქისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება.

სამწუხაროდ, 2015 წლის ბოლოდან უკუპროცესი აღინიშნა – ცენტრი ცდილობს კვლავ გააძლიეროს კონტროლი ადგილობრივ დონეზე (სახანძრო

უსაფრთხოების უფლებამოსილების ცენტრალიზაცია (2015), „სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ გაუქმება (2016), ცენტრის მიერ ადგილებზე კონტროლის მექანიზმების გაძლიერება კადრების შერჩევისას წინასაარჩევნო პერიოდში (2016), თვითმმართველი ქალაქების გაუქმება (2017), ადგილობრივი მნიშვნელობის პროგრამების განსახორციელებლად საჭირო რესურსების ცენტრალიზება) [18: 6].

საქართველოს მთავრობამ 2014 წელს მიიღო ორი სტრატეგიული დოკუმენტი: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020“ [7] და „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“ [8]; 2017 წელს - „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“ [10]; 2018 წელს კი „2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიზნების მისაღწევად [9]; ამ პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ რეგიონების განვითარებისთვის, 2019 წელს, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტებს გამოეყო 300 მლნ ლარზე მეტი და გადანაწილებულია შემდეგი მიმართულების ინფრასტრუქტურულ პროექტებზე:

- ✓ გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია
- ✓ წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია
- ✓ საბავშვო ბაღების მშენებლობა
- ✓ კეთილმოწყობის სამუშაოები
- ✓ სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია
- ✓ სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები [9].

რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გასაძლიერებლად, 2004 წლის 17 დეკემბერს, ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, დაფუძნდა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALAG), რომლის მიზანია:

- ✓ დაიცვას თვითმმართველობის ორგანოთა ინტერესები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
- ✓ ხელი შეუწყოს საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას;
- ✓ ითანამშრომლოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან დეცენტრალიზაციის სფეროში;
- ✓ მოაწოდოს კვალიფიციური მომსახურება წევრ თვითმმართველობებს;
- ✓ ხელი შეუწყოს თვითმმართველობების მოხელეთა და არჩეულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მათთვის სოციალური გარანტიების შექმნას;
- ✓ მოახდინოს ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემათა იდენტიფიცირება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ურთიერთდაკავშირება და არსებული პრაქტიკული გამოცდილებისა და მიღწევების განზოგადება/დანერგვა.

2010 წლიდან ასოციაცია (NALAG) გახდა ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოს წევრი, იღებს მონაწილეობას საბჭოს მუშაობაში, აფორმებს მემორანდუმებს და საფუძველს უყრის ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობას [3].

2017 წლისთვის კონსტიტუციის ახალმა რედაქციამ უფრო მაღალ დონეზე გადაიყვანა სახელმწიფოსა და თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხი. განსაზღვრა უფლებამოსილებების განხორციელება სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით და საკუთარი უფლებამოსილების არა მხოლოდ ექსკლუზიურობა, არამედ სრულად განხორციელებაც.

საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრის №678 დადგენილებით, დამტკიცდა დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა.

წარმოდგენილი სტრატეგია პასუხობს და უკავშირდება ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტში გაცხადებულ პრიორიტეტებს – „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“. სახელმწიფოს ნებას, დეცენტრალიზაციის პროცესის დაჩქარებას, ძალაუფლების დელეგირებას ცენტრიდან და მის განსახორციელებლად საჭირო რესურსების გადანაწილებას იმ დონეებისთვის, რომლებიც არსებული საკითხების გადაწყვეტას უფრო ეფექტურად შეძლებენ.

დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა რეალურად ასახავს არსებული ვითარების გამოწვევებს, გააჩნია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, ხედვა 2025 წლისთვის, განხორციელების პრინციპები და მართვის მექანიზმები, შესაბამისი შედეგების ინდიკატორებით, ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემით.

მეტად მნიშვნელოვანია გავიზიაროთ OECD-ის ქვეყნების და მის ფარგლებს გარეთ დეცენტრალიზაციის პოლიტიკაში მიმდინარე ტენდენციები და დეცენტრალიზაციის განხორციელების ეფექტური გზები.

2019 წლის OECD-ის მოხსენება Making Decentralisation Work: a Handbook for Policy-Makers „დეცენტრალიზაციის განხორციელება: სახელმძღვანელო პოლიტიკის შემქმნელებისთვის“ ფოკუსირებულია იმაზე, რომ არ შეიძლება დაისვას საკითხი, თავისთავად რამდენად კარგია ან ცუდია დეცენტრალიზაცია, მაგრამ მისი შედეგები - დემოკრატიის, ეფექტურობის, ანგარიშვალდებულების, რეგიონული და ადგილობრივი განვითარების თვალსაზრისით, დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის შემუშავებული და განხორციელებული დეცენტრალიზაცია [21: 3].

სახელმწიფოს მმართველობაში მიმდინარე ცვლილებების კარგი მაგალითია გერმანია, რომელშიც ფედერალურმა შტატმა ბადენ-ვიურტემბერგმა ადგილობრივ თვითმმართველობას გადასცა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი დავალებების უმეტესობა. ამრიგად, საჯარო ადმინისტრაცია, მათ შორის, ორგანიზაციული და საკადრო საკითხების გადაწყვეტის ჩათვლით, მუნიციპალურ დონეზე გადავიდა. მსგავსი ქმედებები შეინიშნება ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთში. შედეგად, ესპანეთსა და იტალიაში ჩამოყალიბდა კვაზიფედერალური მმართველობითი სტრუქტურები.

გერმანიის მუნიციპალიტეტებს გააჩნია ორი კომპეტენცია: საკუთარი უფლებამოსილება და დელეგირებული უფლებამოსილებები.

ადგილობრივი ხელისუფლების საკუთარი კომპეტენცია მოიცავს ინფრასტრუქტურული და სოციალური სერვისების მიწოდებას მოსახლეობისთვის, კერძოდ:

- ✓ წყალმომარაგება და სანიტარიული სამუშაოები
- ✓ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა
- ✓ საზოგადოებრივი ტრანსპორტი
- ✓ ელექტრომომარაგება

გადაცემული კომპეტენცია მოიცავს სახელმწიფოსგან დელეგირებულ უფლებამოსილებას. მაგალითად, მშენებლობის ნებართვის გაცემა, გარემოს დაცვა.

გერმანიაში 2006 წელს, როგორც საკონსტიტუციო რეფორმის ნაწილი, ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნით, ძირითად კანონში განხიდა №104ა მუხლი, რომლის თანახმად, სახელმწიფოს შეუძლია მუნიციპალიტეტებს მიანიჭოს ახალი უფლებამოსილებები (დავალებები, კომპეტენციები) მხოლოდ ერთდროულად შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფით (კონექსიის პრინციპი) [12].

აბსოლუტურად ვეთანხმებით იმას, რომ დეცენტრალიზაციის სტრატეგია უნდა დაეფუძნოს საშუალოვადიან ხედვას, თავისი განვითარების ძირითადი მიმართულებებითა და სამოქმედო გეგმით, რომლის შესრულების ყოველწლიური გეგმა-გრაფიკი იქნება წარმოდგენილი. ასევე, ვეთანხმებით ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გაზრდას სუბსიდიარობის პრინციპის გათვალისწინებით.

მთლიანად ქვეყნის მდგრად განვითარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ერთ-ერთი საუკეთესო შეფასება მიეცა მას 1987 წელს ე.წ ბრუნტლანდის კომისიის მიერ მომზადებულ ანგარიშში „Our Common Future“, რომლის თანახმად, მდგრადი განვითარება „არის განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს აწმომს საჭიროებებს ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას მომავალი თაობების უნარს საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად“ [17].

სოფლის განვითარების ხელშეწყობას მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სოფლის განვითარების და სოფლის მეურნეობის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სოფლის იდენტობას და ტენდენციებს, რაც უნდა განხორციელდეს ინტეგრირებული სტრატეგიების განხორციელებით და მრავალდარგობრივი მიდგომებით. ამ პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის დივერსიფიკაცია და მეწარმეობის განვითარების, ინვესტიციების, ინოვაციებისა და დასაქმების ხელშეწყობა [10].

აღსანიშნავია, ასევე, რომ 2013 წლიდან ევროკავშირი საქართველოს ხელს უწყობს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) მეშვეობით, მხოლოდ 2013-2022 წლებისთვის ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოში **179.5** მილიონი ევროა:


- ✓ I ფაზა – €52 მილიონი, 2014-2017
- ✓ II ფაზა – €50 მილიონი, 2016-2019
- ✓ III ფაზა – €77.5 მილიონი, 2018-2022 [13].

მნიშვნელოვანია, რომ „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმაში“ თვითკრიტიკულად აღწერილია უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების ხელშემშლელი ფაქტორები, ასევე, საუბარია უფლებამოსილებების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების სიმწირეზე, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს არა მხოლოდ მაღალკვალიფიციური, არამედ მაღალი პოლიტიკური თვითშეგნების, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კადრების მომზადება-გადამზადებას, რაზეც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია დეცენტრალიზაციის პროცესის განხორციელება. გენდერული თანასწორობის გათვალისწინება და ქალების აქტიური ჩართულობა დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, იქნება ძალიან სასარგებლო და მნიშვნელოვანი.

მუნიციპალიტეტის დამატებითი უფლებამოსილების მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფის გადახედვის საკითხი ზრდის მისი წარმატების წინაპირობას.


დღეისათვის საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის გადანაწილება რეგიონების მიხედვით ხდება არათანაბრად: 2018 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი უწევს თბილისს – 23,1%, ყველაზე ნაკლები კი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს – 0,2% (ნახაზი ზ1).

მთლიანი შიდა პროდუქტი რეგიონების მიხედვით, 2018 წელი, მილიარდი ლარი



რეგიონები არათანაბრად მონაწილეობენ მშპ-ის ფორმირებაში, რაც მათი განვითარების დონიდან გამომდინარეობს (ნახაზი ზ2).

მთლიანი შიდა პროდუქტის რეგიონული სტრუქტურა %



წყარო. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018.

„დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის“ ძლიერი მხარეა მასში გაცხადებული საკუთარი შემოსავლების ეტაპობრივი ზრდა, რაც გულისხმობს:

- ✓ კანონმდებლობით განსაზღვრული საერთო შემოსულობების გაზრდას მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 7%;

- ✓ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე პრივატიზების შედეგად მიღებული შემოსავლის გარკვეული პროცენტული ოდენობის დატოვებას მუნიციპალიტეტის შემოსავლებში/ბიუჯეტში;
- ✓ გაიზრდება სახელმწიფო ქონების იჯარის გაცემიდან და გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების გარკვეული პროცენტული ოდენობა ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ;
- ✓ გადაიხდება ადგილობრივი მოსაკრებლების სახეები, მუნიციპალიტეტებს მიეცემათ საშუალება მოახდინონ საკუთარი შემოსავლების დივერსიფიკაცია;
- ✓ მომზადდება საკანონმდებლო ცვლილება და სარგებლობის ლიცენზიების ცალკეული სახეების კომპეტენცია გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას, შესაბამისი მოსაკრებლის აკუმულირება მოხდება ადგილობრივ ბიუჯეტში;
- ✓ დაგეგმილია საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებები, რომელთა მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი შემოსავლების გაზრდა მათი უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით. ამ კუთხით, განხილული იქნება საშემოსავლო გადასახადის საზიარო წილის/პროცენტის ცვლილება;
- ✓ იგეგმება საკანონმდებლო ბაზის შემუშავება საშემოსავლო გადასახადის ფიზიკური პირის ადგილის მიხედვით ადმინისტრირების უზრუნველყოფად;
- ✓ იგეგმება ქონების გადასახადით დაბეგვრის წესის და არსებული საგადასახადო შეღავათების გადახედვა;
- ✓ გადაიხდება სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისთვის ქონების გადაცემის ნუსხა, ფორმები და ვადები. გამარტივდება ქონების გადაცემის რეგისტრაციის პროცედურები;
- ✓ იგეგმება შემოსავლების განაწილების პრინციპის გაუმჯობესება;
- ✓ მომზადდება უფლებამოსილების დელეგირების ინსტრუქცია, გაიწერება დელეგირების პირობები და მექანიზმები, განისაზღვრება სერვისის ღირებულების გაანგარიშების წესი [1: 14-17].

ზემოთ აღნიშნული ცვლილებების მთავარი ამოცანაა გაიზარდოს მუნიციპალიტეტების საკუთარი შემოსავლები და მათი როლი ადგილობრივი ეკონომიკის წახალისებაში.

საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის სისტემის სრულყოფისა და საყოველთაოდ დანერგვისთვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილია საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია (2018-2021), რომლის მიზანს წარმოადგენს ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენება. აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია საჯარო ფინანსების მართვის სისტემების გაუმჯობესებით, რაც უზრუნველყოფს: 1. „ფისკალურ დისციპლინას“; 2. „მუშაობის ეფექტურობას“; 3. საქართველოს საჯარო რესურსების „ეფექტურ განაწილებას“. წარმატებები ამ კუთხით უკვე სახეზეა, რაც დასტურდება 2018 წელს გამოქვეყნებულ სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA - Public Expenditure and Financial Accountability) ანგარიშში [19]. საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის სისტემის მაჩვენებლის ინდიკატორები საკმაოდ გაუმჯობესდა 2013 წელთან შედარებით [15] დეცენტრალიზაციის განხორციელება დამოკიდებულია ძლიერ, სანდო, გამჭვირვალე, სისტემურ, ერთიანი სტანდარტის მქონე, მოქალაქეებზე ორიენტირებულ მმართველობაზე. 2011 წლიდან საქართველო შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობის პროგრამას (OGP) და დღემდე ერთეულად განაგრძობს დემოკრატიული საზოგადოებისთვის ფუძემდებელი პრინ-

ციპების მხარდაჭერას: ეს არის - გამჭვირვალობა, მოქალაქეების ჩართულობის განვითარება, კორუფციასთან ბრძოლის მექანიზმების გაძლიერება, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებრივი რესურსების უფრო ეფექტიანი მართვისა და ინკლუზიური განვითარების წინაპირობაა [20: 4].

აქვე, აღსანიშნავია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესის ავტონომიურობა, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებთან, მოქალაქეთა ფართო ჩართულობა, მონაწილეობითი დემოკრატიის გაძლიერება, შეფასებისა და ანაგარიშვადღებულების ქმედითი მექანიზმების დამკვიდრება [16:179].

მეტად მნიშვნელოვანია გაწეული მომსახურების კმაყოფილების დონის ინდიკატორების არსებობა, სწორი, სანდო და ობიექტური უკუკავშირი მოსახლეობასთან მუნიციპალიტეტში განხორციელებული/განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვის დროს, რათა უკეთ მოხდეს მონიტორინგი და შედეგების შეფასება. ასევე, ამ ფუნქციის განხორციელებას გაძლიერებს სტრატეგიაში გაცხადებული მუნიციპალურ დონეზე სტატისტიკის წარმოება, შესაბამისი კადრებით, ინფორმაციული სისტემებითა და ინსტრუმენტებით.

ვფიქრობთ, გარდა კონკრეტული პროცესების მონიტორინგისა და კონტროლისა, საკრებულოს წევრების რესურსის გამოყენებით, მათი უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ზედამხედველობის გაძლიერება ბიუჯეტის შესრულებაზე, ახალი რეგულირების წესების შემოღებაზე, დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევაზე და ა. შ. მაგალითად, შესაძლებელია გაიზიარონ ქალაქ თბილისში არსებული მექანიზმი და მერის მოადგილეები დანიშნონ საკრებულოს თანხმობით, რაც გაზრდის მერის მოადგილის ლეგიტიმაციის ხარისხს.

თვითმმართველობის წევრთა ერთობლივ კონფერენციებზე შეხვედრის დროს, არაერთხელ გამოიკვეთა სტრატეგიაში წინწამოწეული ინტერმუნიციპალური ურთიერთობების აუცილებლობა. ერთმანეთის ინტერესების განთვალისწინება, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების ერთობლივად განხორციელება, მოსახლეობის მაღალი ჩართულობა უფრო ეფექტური, სწრაფი განვითარების მომტანი იქნება მუნიციპალიტეტებისთვის.

საკანონმდებლო კოლიზიები რომ არსებობს, ამაზე ყველა ვთანხმდებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ზოგჯერ მთავარი ხელშემშლელი ფაქტორიც კია, რომელიც არა მხოლოდ აფერხებს, არამედ, რიგ შემთხვევაში, ხელსაც უშლის უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებას.

აბსოლუტურად ვეთანხმებით „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმაში“ გაცხადებულ მუნიციპალიტეტებისათვის ქონების გადაცემასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ეს აფერხებს მის გაძლიერებასა და განვითარებას, ხელს უშლის დივერსიფიკაციის პროცესებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ძალზე მნიშვნელოვანია საკუთარი არაფინანსური აქტივების ზრდა და შენარჩუნება. იმ ფონზე, როდესაც იზრდება მიგრაცია, მიმდინარეობს ქალაქების სწრაფი ურბანული განვითარება, მოსახლეობის მატება, ყველა აქტივს და მიწის ნაკვეთს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

სოლიდარობის პრინციპის გათვალისწინება და მუნიციპალიტეტის განვითარების გათანაბრება რეალურ შედეგებს მოუტანს დეცენტრალიზაციის პროცესს. მით უმეტეს, როდესაც ჩართული ვართ ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის პროგრამაში და არსებობს ევროკავშირის ქვეყნების კოპეჩიის პოლიტიკის მაგალითები.

ევროკავშირის ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან ხორციელდება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) საქართველოსთან აღმოსავლეთის

პარტნიორობის პოლიტიკის (EaP) მეშვეობით და ემყარება მთავარ პოსტულატებს: ძლიერი ეკონომიკა, ძლიერი მმართველობა, ძლიერი კავშირგაბმულობა, ძლიერი საზოგადოება და ორიენტირებულია ევროკავშირის აღმოსავლელი მეზობლების სტაბილურობისა და მდგრადობის ზრდაზე.

ინსტიტუციური დიალოგის აუცილებლობა ნამდვილად არსებობს. ის უფრო მეტად გამოიკვეთება დეცენტრალიზაციის განხორციელების დროს. ვფიქრობთ, რეგიონული პოლიტიკის განხორციელებასა და რეგიონული განვითარების პროცესში ჩართული სამთავრობო უწყებების აქტიურ მონაწილეობასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება.

დასკვნა

2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესრულება საკმაოდ რეალისტურია. ის წარმოადგენს კონკრეტული ამოცანებისა და აქტივობების ერთობლიობას, შესაბამისი შეფასების ინდიკატორებითა და პასუხისმგებელი უწყებებით.

ცხადია, დეცენტრალიზაციის პროცესის განხორციელება რთული, გამოწვევებით სავსე პროცესია ევროპული სტანდარტების შესაბამისი ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის შესაქმნელად და დამოკიდებულია თითოეული ჩვენგანის, ზოგადად – სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე, რათა არ დაეუშვათ მისი პოლიტიზება.

ისიც ცხადია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის განხორციელება მთლიანად დამოკიდებულია ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოსახლეობის აქტიურ თანამშრომლობასა და ინიციატივებზე. ეს თანმიმდევრული პროცესია და ითხოვს კომპლექსურ მიდგომას. დეცენტრალიზაციის პროცესის აღსრულების დროს კი მნიშვნელოვანი იქნება როგორც ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, ისე მკვლევრების, დარგის სპეციალისტების აქტიური ჩართულობა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება. დასახული მიზნების განხორციელება მოითხოვს არსებული სტრატეგიის მიხედვით მოქმედებას, ყველა მექანიზმის გააქტიურებას, შესრულების პროცესის მონიტორინგს, სუსტი რგოლის გამოვლენას, ანალიზის დროს სწრაფი ცვლილებების განხორციელებასა და საბოლოო შეჯამებას.

საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესის წარმატებით ჩატარება, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ფართო მონაწილეობა დემოკრატიული პროცესების გაძლიერებაში სამაგალითო უნდა გახდეს აფხაზეთისა და ოსეთის რეგიონებისთვის, რათა გაერთიანების შემდეგ გატარებული რეფორმების წარმატება მათი მხრიდან მხარდაჭერისა და გაზიარების საფუძველი გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Resolution 678, 2019, “About Approving Decentralization Strategy for 2020-2025 and Action Plan 2020-2021 of Decentralization Strategy” dated 31.12.2019 Resolution 678 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4764626?publication=0>
2. Organic Law of Georgia “ Local Self-Governemnt Code ” <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=46>
3. <http://www.nala.ge/mission>
4. Regional Development Association (RDA) <http://enpard.ge/ge/regionuli-ganvitharebis-a/>

5. Preamble, 2014, Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, Preamble.
<http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA>
6. Decree 223, 2013, The Basic Principles of Decentralization and Self-Government Development Strategy of Government of Georgia for 2013-2014, Decree 223 dated 1 March, 2013, pg. 3.
http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/sakartvelos_mtavrobis_decentralizaciisa_da_tvitmmartvelobis_ganvitarebis_strategiis_ziritadi_principebi_2013-2014_clebistvis_0.pdf
7. Resolution 400, 2014, About Approving Georgia’s Socio-economic Development Strategy “Georgia 2020” and Some Related Cases, Resolution 400 dated 17 June, 2014
http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
8. The 2015-2017 and 2015, 2015-2017 Regional Development Programme of Georgia.
http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/01_2.pdf
9. The 2018 Regional Development Programme of Georgia, The 2018-2021 Regional Development Programme of Georgia.
http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/20182021_clebis_sakartvelos_regionuli_ganvitarebis_programa_0.pdf
10. The 2017 Rural Development Strategy of Georgia, Rural Development Strategy of Georgia 2017-2020.
<http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-2017-2020.pdf>
11. The Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia.
<http://www.mrdi.gov.ge/>
12. , 2014, . « », N49.
<http://www.eg-online.ru/article/266977/>
13. RDA, Regional Development Association (RDA)
<http://enpard.ge/ge/regionuli-ganvitharebis-a/>
14. National Statistics Office of Georgia <https://www.geostat.ge/>
15. The 2018 Public Financial Management Strategy, The Public Financial Management Reform Strategy 2018-2021, Article I.
<https://mof.ge/images/File/strategia/2018/PFMRS-2018-2021-2606-final.pdf>
16. Chikhladze N., Chikhladze L., 2018, Modern challenges in establishing a financial base of local self-governance in Georgia. *Bull tin of Georgian Academy of Sciences*, vol. 2 : 176-183.
<http://science.org.ge/bnas/vol-12-2.html>
17. Our Common Future, 1987, Our Common Future, Chapter 2: Towards Sustainable Development.
<https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/5987our-common-future.pdf>
18. Losaberidze D. 2018 Losaberidze D., Kakhidze I., Katamadze A., Annual Report on Local Democracy Development in Georgia(2016-2017), pg. 6 OSGF Tbilisi.
https://osgf.ge/wp-content/uploads/2019/03/Democracy_2019.pdf
19. <https://pefa.org/node/276>
20. Resolution 537, 2018 *Georgia National Action Plan 2018 -2019 Open Governance*, Resolution 537, dated 12 November 2018, pg. 4.

[http://procurement.gov.ge/getattachment/International-Cooperation/Action-Plans/\(OGP\)/OGP-2018-2019-AP.pdf.aspx](http://procurement.gov.ge/getattachment/International-Cooperation/Action-Plans/(OGP)/OGP-2018-2019-AP.pdf.aspx)

21. OECD, 2019, The 2019 OECD report “Making Decentralisation Work: a Handbook for Policy-Makers” pg. 3.

www.oecd.org/cfe/regional

Natalia Dziriguri

*Doctoral Student at the Faculty of Social Sciences in Kutaisi University,
Member of Batumi Municipality City Council*

THE MODERN CHALLENGES OF DECENTRALIZATION PROCESS IN GEORGIA Expanded Summary

Creation and development of full-fledged local self-government is one of the key goals of state governance system. In the countries of European Union reforms are still on-going, aiming further distribution of state powers in already decentralized countries where the principle of connexion is supported by the constitution.

The self-governance has centuries-old history in Georgia. In the period of democratic republic (1918-1921) the modern two-level self-government system has been created. Obviously, the soviet period has retarded development of local self-government and only since 1990s after announcement of independence in Georgia, the changes did began for institutionalization and legislative regulation of local government.

The implementation of decentralization depends on strong, reliable, transparent, systematic, single standard and citizen-oriented self-government.

Government of Georgia has adopted several strategic documents since 2014, the purpose of which are to support enhancing competitiveness of country and its regions, as well as promoting balanced socio-economic development and improving the living conditions.

For 2017 a new edition of Georgian constitution has moved on a higher level the issue of separation of the state and self-government powers. Besides, it has determined the performance of powers based on the principle of subsidiarity and not only exclusivity of one's power but full execution of them as well.

In particular, we would like to outline Decentralization Strategy for 2020-2025 adopted by Georgian Government and approved under Resolution N 678 dated 31.12.2019 and Action Plan 2020-2021 of Decentralization Strategy.

The given Document responds and is related to the priorities listed under National Policy Document – “Freedom, Rapid Development, Prosperity”, the will of the government to accelerate process of decentralization, to delegate power from the center and to distribute necessary resources for those levels that owe capacity to more efficiently address existing issues.

Decentralization Strategy for 2020-2025 and Action Plan 2020-2021 of Decentralization Strategy actually reflect the existing challenges; they stipulate strategic goals and objectives, visions for 2025, as well as principles of implementation and management tools, with relevant output indications, reporting, monitoring and evaluation system.

The advantages are gradual growth of incomes which implies the following:

- Growth of general incomes set under laws not less than 7% of Gross Domestic Product;
- Maintaining certain percentage of incomes accrued as a result of privatization in the territories of self-governing unit in the incomes / budget of the municipality.
- A certain percentage of incomes accrued from selling and giving under lease the state property will be increased for the benefits of local budget;

- The types of local fees will be reviewed, the municipalities will be given possibility to provide diversification of own incomes;
- The legislative changes will be prepared and the competence of certain types of usage license will be transferred to local self-government, proper fees will be accrued in local budget;
- Changes in Budgetary Code is planned, the aim of which are to increase incomes of local self-government for the purpose of exercising their authorities. At this point a change in the share/percentage of income tax will be considered;
- Processing the legislative base is planned to ensure the administration of income tax by the individual according to place.
- Reviewing property taxation rules and existing tax concessions are planned;
- Reviewing the list, forms and terms of property to be given to the municipalities by the state are planned; the registration procedures of property transfer will be simplified;
- Improving incomes separation principle is planned;
- Powers delegation guidelines will be prepared, conditions and tools for delegation will be identified, the rule of service price determination will be defined.

The main goal of such changes in the mentioned strategies is to enhance own incomes of municipalities and their role in promotion of local economy.

It is significant to foresee gender equality and women’s active participation in decentralization and self-government processes.

In this process, it is highly important to share current tendencies of decentralization policy in OECD countries and beyond it and effective ways of implementation of decentralization; besides active participation of each of us – or generally civic society is far significant for creation of strong local self-government not to permit politicization of it.

OECD’s 2019 Report Making Decentralisation Work: a Handbook for Policy-Makers”: is focused on the fact that we cannot put the question like this, how far the decentralization is good or bad, but the results of it, greatly depend on how decentralization is pexecuted or made in the aspects of democracy, efficacy, accountability, regional and local self-government.

Obviously, implementation of local self-government system is a consecutive process and it requires a complex approach. During implementation of decentralization process it will be important to share experiences of European countries and the active participation of researchers, field specialists and foreseeing their recommendations as well. Performance of set goals requires acting according to the existing strategy, activation of all mechanisms, execution process monitoring, detecting the poor links, rapid changes during analysis and providing the final summary.

The successful implementation of decentralization process in Georgia, promoting sustainable development and large-scale participation of society in strengthening democratic processes should be example for the regions of Abkhazia and Ossetia, as after unification, the success of carried reforms, can become basis for their support and sharing.

ნინო ჩუბინიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემის სრულყოფის მეთოდები რეფორმირების პირობებში

რეზიუმე. სტატიაში განიხილულია უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირება, რომელიც, ჩვენი აზრით, გავლენას ახდენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემის ყველა ელემენტზე და ასეთ პირობებში წარმოიქმნება სისტემისა და მისი სუბიექტების მიერ გამოყენებული მეთოდების სრულყოფის აუცილებლობა; მოცემულია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების მთავარი დომინანტები, განხილულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის მიდგომები, გამოვლენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ძირითადი მეთოდები უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირების პირობებში. ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია მისი გადაწყობა ფუნქციონირების შეცვლილ პირობებზე, რომელებიც მას გახდის უფრო ღიას და მოქნილს და დააკმაყოფილებს ნებისმიერი დონის განათლების მოთხოვნებს სქემით „განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე“.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემა, უმაღლესი განათლების რეფორმირება.

შესავალი

2004 წლიდან დღემდე მიმდინარეობს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის თვისებრივი ტრანსფორმაცია, რაც მოითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის მიდგომების განახლებას. უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის განვითარების მთავარი დომინანტები ფორმულირებულია საქართველოს კონცეპტუალურ, სტრატეგიულ და პროგრამულ დოკუმენტებში. ამგვარად, გარემოს კარდინალური ცვლილებების პირობებში, რაც ძირითადად დაკავშირებულია სამართლებრივი ბაზის შემუშავებასთან, განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების მეთოდებთან, საჭიროა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მართვის სისტემების ფორმირებაში გამოყენებული მიდგომების გადახედვა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემის სრულყოფის მეთოდების დაზუსტება მოითხოვს სტრატეგიული პრიორიტეტების არსებითი მხარის ანალიზს სახელმწიფო დონეზე ჩამოყალიბებული უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების მიზნით.

საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“, გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა ეროვნული განათლების სისტემის განვითარების ხარისხობრივი ცვლილებისა და რეფორმირების პროცესი. მოცემული სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს თეორიულ, მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ დებულებებს, შემუშავებულია ქვეყანაში განათლების სისტემის მობილიზაციისათვის და მისი განვითარების მიზნების მისაღწევად. უმაღლეს

განათლებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ხუთი სტრატეგიული მიმართულება, რომელთა მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხისა და პროფესიული მომზადების ამაღლება ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინებით:

- 1) უმაღლესი განათლების მიწოდების პირობების შეცვლა;
- 2) უმაღლესი განათლების სტრუქტურასა და შინაარსში ცვლილებების შეტანა;
- 3) ცვლილებები საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებასა და საგანმანათლებლო გარემოს შინაარსში;
- 4) უმაღლესი განათლების ხარისხის კონტროლის შიდა და გარე მექანიზმების სრულყოფის მიმართულებების განსაზღვრა;
- 5) მეცნიერების როლის შეცვლა უმაღლეს განათლებაში მისი ინტეგრაციის გზით.

საქართველოში განათლების განვითარების სტრატეგია 2012-2020 წლებისთვის (შემდგომში სტრატეგია) შემუშავებულია ქვეყანაში განათლების სისტემის კონცეპტუალური ამოცანების განვითარების დასადგენად და 2020 წლისთვის განათლების სფეროს შესახებ ხედვის ფორმირებისთვის. უმაღლესი განათლების განვითარების პრიორიტეტულ სფეროებს შორის გამოყოფილია:

- Z ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტურობის ამაღლება უმაღლესი პროფესიული განათლების სისტემაში;
- Z სტრუქტურის სრულყოფა და უმაღლესი პროფესიული განათლების დონის ოპტიმიზაცია;
- Z უმაღლესი სისტემის მიერ მომზადებული სპეციალისტების კვალიფიკაციის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, მათ შორის ქვეყანაში ჩამოყალიბებული რეგიონული განსხვავებების გათვალისწინებით;
- Z კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ორგანიზების სრულყოფა, მათ შორის თითოეული პედაგოგის მუშაობის შესაფასებლად არსებული მექანიზმების გამოყენება;
- Z უმაღლესი განათლების დაფინანსების მექანიზმების სრულყოფა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან;
- Z საუნივერსიტეტო მეცნიერების მხარდაჭერა.

საქართველოში განათლების განვითარების სტრატეგიის განსახორციელებლად შემუშავებულია საჭირო სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სტრატეგიის განხორციელების პირველი ეტაპის გეგმა (შემდგომ გეგმა) და დასახული მიზნების მისაღწევად განსაზღვრულია საგანმანათლებლო სისტემის ძირითადი ელემენტების სპეციფიკური ღონისძიებები.

გეგმის ფარგლებში დასახულია კონკრეტული დავალებები უმაღლესი განათლების მართვის სისტემის სრულყოფის ძირითადი კონცეპტუალური და სტრატეგიული მიმართულებებით:

- Z უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების მეთოდებისა და სტრუქტურის შეცვლა ქვეყნის პრიორიტეტების, შრომის ბაზრის საჭიროებებისა და რეგიონული განსხვავებების გათვალისწინებით;
- Z უმაღლესი პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
- Z უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების სრულყოფის პირობების შექმნა და სხვა.

უმაღლესი განათლების დაწესებულებების (უსდ) მართვის თეორიაში არსებობს სხვადასხვა მიდგომები უსდ მართვის სისტემების ფორმირებასთან დაკავშირებით. მართვაში გამოირჩევა შემდეგი დონეები:

1. კონცეპტუალური გადაწყვეტილების მიღება.
2. სტრატეგიული მართვის ამოცანების ფორმულირება.
3. ტაქტიკური მართვის ამოცანების ფორმულირება.
4. ოპერატიული მართვა.

წარმოდგენილი დონეები კვეთაშია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ცალკეულ ინდივიდუალურ ფუნქციურ სფეროებთან. უსდ მართვის სისტემის ელემენტების სტრუქტურირების მიმართ ამგვარი მიდგომა თავისი არსით ორგანიზაციების მართვისადმი კლასიკურ მიდგომებს გამოხატავს. თუმცა, მისი გამოყენება ყოველთვის არ შეიძლება. მაგალითად, როდესაც საუბარია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რომელთა მართვა მჭიდრო კავშირშია სამთავრობო დაწესებულებების დონეზე გადაწყვეტილებების მიღებასთან ანდა როდესაც საკითხი ეხება დამოუკიდებელ უსდ-ს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ ერთგვარად „გადანაწილებული“ სტრატეგიის ჩამოყალიბება და მათი ფორმულირება მართვის მკაცრი იერარქიული დონეების შესაბამისად. გარდა ამისა, ისინი უნდა იყოს კონტროლირებადი, რისთვისაც უნდა გამოიყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შრომითი რესურსები, როდესაც ამგვარი სახის დაწესებულებებში არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო დაფინანსება ან კონტროლი [Eicher, J.C. 1998].

ზემოჩამოთვლილი მოსაზრებები, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ აბსოლუტურად ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტი ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს სტრატეგიული ამოცანების ფარგლებში. მაგრამ, თავად სახელმწიფო დაფინანსების შინაარსი გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის მეთოდების არჩევაში შეზღუდვების არსებობას.

სხვა მკვლევარები მიუთითებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემაში არსებულ ორ კომპლექსურ სამიზნე ქვესისტემაზე:

1. ქვესისტემა „პოტენციური განვითარების მართვა“ - მის ამოცანას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტექნიკური ბაზის განვითარება, შრომითი კოლექტივის სოციალური განვითარება და ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის სრულყოფა.
2. ქვესისტემა „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების მართვა“, მოიცავს საგანმანათლებლო პროდუქტის, საგანმანათლებლო მომსახურების შექმნისა და გაყიდვის პროცესებს, აგრეთვე რესურსების ეფექტურ გამოყენებას [Sanyal, Bikas C. 2015].

უალტერნატივო არც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის მსგავსი სტრუქტურაა, რადგანაც მასთან მიმართებაშიც ჩნდება კითხვები. მაგალითად: რა ურთიერთკავშირშია ჩვენ მიერ გამოცალკევებული ორი ქვესისტემა? რომელ წერტილში იკვეთება მათი ფუნქციები? შეიძლება თუ არა მოხდეს ქვესისტემებს შორის ფუნქციების დუბლირება?

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა უმაღლესი სასწავლებლების მართვის სისტემის ელემენტების შინაარსის ფორმულირება, ამდენად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეგვყავს შემდეგი ქვესისტემები:

- „სწავლების დაგეგმვა“;
- „მარკეტინგი“;

- „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის დაფინანსება“;
- „სწავლების ორგანიზება“;
- „სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა“;
- „აკადემიკაციის ამაღლება და გადამზადება“;
- „მასწავლებელთა მუშაობის ორგანიზება“;
- „პერსონალის მოზიდვა“;
- „პერსონალის განვითარება“;
- „შრომის ანაზღაურება“;
- „უზრუნველყოფა“.

აქ გაუგებრობა შეიძლება გაჩნდეს იმის გარშემო, თუ რატომ მივიჩნევთ ქვესისტემებს – „პერსონალის მოზიდვა“, „პერსონალის განვითარება“ და „შრომის ანაზღაურება“ – დამოუკიდებელ ქვესისტემებად. არსებითად, აღნიშნული ქვესისტემების ფუნქციონირება ხორციელდება პერსონალის მართვის მეტე-ჯერული ფუნქციის ფარგლებში. ამასთან, ამ ფუნქციაში შეიძლება შევიდეს ჩვენ მიერ გამოცალკევებული სხვა მრავალი ქვესისტემაც [Washington, D.C. 1994].

მიგვაჩნია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვა უნდა ჩაითვალოს სოციალურ-ეკონომიკური მართვის სისტემად, რომელიც გარე კომპონენტების ურთიერთკავშირს ასახავს, რომლებიც გავლენას ახდენს უსდ მართვის მთელ სისტემაზე და მის საბოლოო შედეგებზე. აღნიშნული მიღწევადია იმ პირობით, რომ ეფექტურად იქნება გამოყენებული პრინციპები და მექანიზმები, რომლებიც აყალიბებს ურთიერთკავშირების სისტემას მმართველ სუბიექტსა და მართულ ობიექტებს შორის. ამგვარი მიდგომა უფრო სრულყოფილია და უფრო სრულფასოვნად ასახავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ელემენტების უმეტესობას [4].

ამგვარად, საქართველოში სახელმწიფო დონეზე ჩამოყალიბებული უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები გავლენას ახდენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ყველა ძირითად ასპექტზე:

1. პერსონალის მართვის საკითხები, მათ შორის ადმინისტრაციისა და პროფესორ-მასწავლებლების ჩათვლით;
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აბიტურიენტებთან, სტუდენტებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებსა და მიზნობრივ აუდიტორიასთან მართვისა და ურთიერთობების დამყარების საკითხები;
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსებისა და ეკონომიკური მართვის საკითხები;
4. სამეცნიერო საქმიანობის მართვის საკითხები;
5. საგარეო ურთიერთობების მართვის საკითხები;
6. სტრატეგიული მართვის ინსტრუმენტების არჩევის საკითხები;
7. საგანმანათლებლო პროდუქტების მართვის საკითხები (საგანმანათლებლო მომსახურება);
8. გაწეული საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის მართვის საკითხები და მისი მუდმივი მონიტორინგი;
9. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ტიპის არჩევის საკითხები;
10. ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობის მართვა;

11. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მარკეტინგის მართვის საკითხები.

უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებისათვის ჩამოყალიბებული სტრატეგიული პრიორიტეტების გათვალისწინებით, საქართველოში საჭიროა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ახალი მეთოდების გამოყენება მათი მართვის სისტემის ყველა იდენტიფიცირებული ელემენტის მიხედვით. ცხრილში ასახულია ავტორის შეხედულება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ყველაზე ადეკვატური მეთოდების შინაარსის შესახებ [6].

ცხრილი 1

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემის სრულყოფის მეთოდები მისი მართვის ძირითადი ელემენტების შესაბამისად

უსდ მართვის სისტემის ელემენტი	მართვის მიზანშეწონილი მეთოდები რეფორმის პირობებში
პერსონალის მართვა	<ol style="list-style-type: none"> 1. პერსონალის მოტივაციის მეთოდების შეცვლა, კომპენსაციის მიზმა მეცნიერებაში, განათლებაში, ადმინისტრირებაში მიღებულ შედეგებთან; 2. პერსონალთან დადებული კონტრაქტების შინაარსის შეცვლა; 3. პერსონალისა და პროფესორ-მასწავლებლების შერჩევის წესების შეცვლა უნივერსიტეტის მიერ შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის ინტერესებზე ორიენტირებით.
მართვა, აბიტურიენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობათა დამყარება	<ol style="list-style-type: none"> 1. ურთიერთობათა მარკეტინგის პრინციპების რეალიზაცია, 2. დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობათა მართვის სისტემის დანერგვა, 3. თანამშრომელთა კომუნიკაციების ინდივიდუალიზება დაინტერესებულ პირთა გათვალისწინებით.
უსდ ფინანსებისა და ეკონომიკის მართვა	<ol style="list-style-type: none"> 1. თვითდაფინანსების მექანიზმზე გადასვლა, 2. უსდ ეფექტიანობის გაზრდა დამატებითი სასწავლო პროგრამების გახსნის გზით, 3. არამიზნობრივი ხარჯების შემცირება, 4. უსდ მართვის სტრუქტურის ოპტიმიზაცია.
უსდ სამეცნიერო საქმიანობის მართვა	<ol style="list-style-type: none"> 1. სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზაცია საერთაშორისო სტანდარტებით, 2. სამეცნიერო საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლების (პუბლიკაციების, პატენტების და სხვ. რიცხვი) სისტემის შემუშავება და დანერგვა, 3. სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, 4. სამეცნიერო საქმიანობის საგრანტო და სტიმულირების სხვა სახეების გამოყენება.
საგარეო კავშირების მართვა	<ol style="list-style-type: none"> 1. სტუდენტების წამყვან ევროპულ უსდ-თან გაცვლითი პროგრამები, 2. პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მათი საზღვარგარეთულ

	უსდ-ში მივლინების სისტემის ორგანიზება.
სტრატეგიული მართვის ინსტრუმენტების არჩევა	<ol style="list-style-type: none"> 1. დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემის შემოღება, 2. კონტროლინგის ინსტრუმენტების შემოღება, 3. უსდ ძირითადი პროცესების აღწერა, 4. ხარისხის მენეჯმენტის დანერგვა.
საგანმანათლებლო პროდუქტების მათვა	<ol style="list-style-type: none"> 1. საგანმანათლებლო პროდუქტების ბოლონიის პროცესის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა, 2. კომერციულ ორგანიზაციებთან ურთიერთქმედება საგანმანათლებლო პროგრამებში და პროცესში ბიზნეს ამოცანების გადაჭრისათვის სპეციალური მოდულების ჩაშენების თაობაზე.
განათლების და მისი კონტროლის ხარისხის მუდმივი მართვა	<ol style="list-style-type: none"> 1. განათლების ხარისხის მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება და მისი კონტროლი, 2. განათლების ხარისხის გარე კონტროლი.
უსდ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის არჩევა	<ol style="list-style-type: none"> 1. ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა, რომელიც უსდ მართვის პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომის რეალიზების საშუალებას (მატრიცული ორგანიზაციული სტრუქტურა) იძლევა, 2. საპროექტო ტიპის ორგანიზაციული სტრუქტურის არჩევა, 3. ადაპტიური საორგანიზაციო სტრუქტურის არჩევა.
სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვა	<ol style="list-style-type: none"> 1. უსდ უზრუნველყოფა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი მატერიალური რესურსებით, 2. უსდ მატერიალური რესურსების გამოყენების რაციონალიზაცია.
მარკეტინგის მართვა	<ol style="list-style-type: none"> 1. სარეკლამო და ღ-ტექნოლოგიების გამოყენება, მ. შ. ვირტუალურ ქსელში, 2. მარკეტინგული კვლევების ჩატარება, 3. უსდ კონკურენტუნარიანობის შეფასება, 4. უსდ საქმიანობაზე გარე და შიდა ზეგავლენების შესწავლა.

დასკვნა

საქართველოში განათლების განვითარების სტრატეგიის განსახორციელებლად შემუშავებულია საჭირო სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სტრატეგიის განხორციელების პირველი ეტაპის გეგმა (შემდგომში გეგმა) და დასახული მიზნების მისაღწევად განსაზღვრულია საგანმანათლებლო სისტემის ძირითადი ელემენტების სპეციფიკური ღონისძიებები.

მიგვაჩნია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვა უნდა ჩაითვალოს სოციალურ-ეკონომიკური მართვის სისტემად, რომელიც გარე კომპონენტების ურთიერთკავშირს ასახავს, რომლებიც გავლენას ახდენს უსდ მართვის მთელ სისტემაზე და მის საბოლოო შედეგებზე. აღნიშნული მიღწევადია იმ პირობით, რომ ეფექტურად იქნება გამოყენებული პრინციპები და მექანიზმები, რომლებიც ურთიერთკავშირების სისტემას აყალიბებს მმართველ სუბიექტსა და

მართულ ობიექტებს შორის. ამგვარი მიდგომა უფრო სრულყოფილია და უფრო სრულფასოვნად ასახავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ელემენტების უმეტესობას.

ამგვარად, საქართველოში სახელმწიფო დონეზე ჩამოყალიბებული უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები გაუნაწილეს ახდენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ყველა ძირითად ასპექტზე.

უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებისათვის ჩამოყალიბებული სტრატეგიული პრიორიტეტების გათვალისწინებით, საქართველოში საჭიროა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ახალი მეთოდების გამოყენება მათი მართვის სისტემის ყველა იდენტიფიცირებული ელემენტის მიხედვით.

თითოეული კონკრეტული მეთოდის არჩევა განისაზღვრება უმაღლესი სასწავლებლების განსაკუთრებული მახასიათებლებით: პროფილი, სტუდენტების რაოდენობა, გადაწყვეტილების მიღების დამოუკიდებლობის ხარისხი, ბიუჯეტსა და სხვა შემოსავლებს შორის თანაფარდობა, სტრატეგიული მართვის ჩამოყალიბებული პრაქტიკა და სამთავრობო პროგრამებში მონაწილეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Eicher, J.C. The Costs and Financing of Higher Education in Europe // European Journal of Education. Abingdon. - 1998. - Vol. 33. - 1. - P. 31-39.
2. Higher Education: The Lessons of Experience. Washington, D.C.: The World Bank, 1994.
3. Higher Education in the United Kingdom: A Handbook for Students and Their Advisers: Pub. for the Association of Commonwealth Univ.-Harlow: Longman, 1988. . 1989/1990. 22d rev. ed.
4. Higher Education Crisis // Nature.- L. 1989. - Vol. 338. -N 62215. - P. 445-446.
5. Sanyal, Bikas C. Innovations in University Management. Paris: UNESCO Publ., 2015.
6. The World of Learning 2005. 46th edition. Europa Publications Limited. 2006.

Nino Chubinidze

Ph.D. doctorant at Georgian Technical University

METHODS OF IMPROVING THE MANAGEMENT SYSTEM OF HIGHER EDUCATION INSTITUTIONS UNDER REFORM

Expanded summary

In the article the author discusses the reform of the higher education system, which he thinks affects all elements of the higher education system management system. According to the author, in such conditions, there is a need to improve the system and the methods used by its subjects. The article highlights the main domains of the development of the Georgian higher education system, provides an overview of the higher education system management approaches, outlines the key management practices of higher education institutions in the context of higher education reform. The author concludes that in order to improve the management system of higher education institutions, it is necessary to focus on changing operating conditions, which will make it more open and flexible and meet the requirements of any level of education under the “Lifelong Learning” scheme.

Keywords: higher education institutions, higher education management system, higher education reform.

A qualitative transformation of the Georgian higher education system has been underway since 2004, requiring the updating of management approaches in higher education institu-

tions. The main dominants of higher education system development are formulated in the conceptual, strategic and program documents of Georgia. Thus, in the context of cardinal changes in the environment, mainly related to the development of the legal framework, changes in public policy in education and methods of financing educational institutions, approaches to higher education institutions need to rethink the formulation of management systems.

Specifying methods for improving the management system of higher education institutions require an analysis of the essentials of strategic priorities for the development of a state-level higher education system.

Action plan for implementation of the education development strategy in Georgia, which outlines the first stage of the strategy (hereinafter referred to as the plan) and sets out specific measures for the key elements of the education system to achieve these goals.

We believe that the management of higher education institutions should be considered as a socio-economic management system that reflects the interconnectedness of external components that influence the entire HEI system and its ultimate outcomes. This is achievable provided that the principles and mechanisms that establish a system of interconnection between the governing entity and the governed are effectively applied. Such an approach is more comprehensive and more fully reflects most of the elements of the management system of higher education institutions.

Thus, the strategic priorities for the development of the higher education system established at the state level in Georgia affect all the key aspects of the higher education management system:

1. Personnel management issues, including administration and teaching staff;
2. Governance and relationship management with post-pre student enternts, students, other stakeholders and target audiences of higher education institutions;
3. Financing and economic management of higher education institutions;
4. Management of scientific activities;
5. Foreign relations management issues;
6. Selection of strategic management tools;
7. Educational product management issues (educational services);
8. Quality management issues of educational activity and its continuous monitoring;
9. Selection of organizational structure of higher education institution management;
10. Management of administrative activities;
11. Marketing management issues of higher education institutions.

Given the strategic priorities set for the development of the higher education system, Georgia needs to adopt new methods of management of higher education in accordance with all identified elements of its management system.

The specific characteristics of each institution are determined by the specific characteristics of the higher education institutions: profile, number of students, degree of decision-making independence, budget-to-income ratio, established strategic management practice, and participation in government programs.

შრომის ეკონომიკა - LABOUR ECONOMY

ლელა კინწურაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის მიმართულების მე-2 კურსის მაგისტრანტი

ადამიანური კაპიტალი საქართველოს შრომის ბაზარზე

რეზიუმე. ეკონომიკური დოვლათის ფორმირება ოდითგანვე იყო დაკავშირებული ადამიანის უნართან, ცოდნასა და შესაძლებლობებთან.

დღეს ადამიანური კაპიტალი გადაიქცა ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამდლების ერთ-ერთი უმთავრეს ფაქტორად. როგორც ამას გამოცდილება ადასტურებს, განათლების დონე დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ეკონომიკურ აქტიურობის ზრდაზე, ხელს უწყობს მის პროფესიულ მოტივურობას, ამცირებს უმუშევრობის რისკს, აძლიერებს მომუშავეს შემოსავლების ზრდის ტენდენციას და ა.შ. ცოდნით აღჭურვილი ადამიანისთვის გაცილებით მარტივია ახალი ტექნოლოგიების ათვისება და მიმდინარე სოციალური ცვლილებებისადმი შეგუება. ანუ ადამიანური კაპიტალი აძლიერებს მომუშავეთა პოზიციას შრომის ბაზარზე და ეხმარება შემდგომ წინსვლასა და განვითარებაში.

განვითარებული ქვეყნების მაგალითი ცხადყოფს, რომ მშპ-ს ზრდა დიდწილად განპირობებულია ადამიანური კაპიტალის როლის ზრდით. რესურსების შეზღუდულობის პირობებში წარმოების თანდათანობით განვითარებამ გამოიწვია წარმოების ინტენსიფიკაციის განხორციელების აუცილებლობა და შესაბამისად შრომატევადი დარგები მეცნიერებატევადმა დარგებმა ჩაანაცვლა. თუკი ადრე ერთი დეტალის დამზადებას ადამიანთა დიდი რაოდენობა და მძიმე შრომა სჭირდებოდა, დღეს ეს საქმიანობები დილაკზე თითის დაჭერითაა შესაძლებელი. შესაბამისად შეიცვალა მოთხოვნა ადამიანის შესაძლებლობების მიმართ და ვაიზარდა მისი გონებრივი უნარის როლი და მნიშვნელობა, მაშინ როცა მოთხოვნა უშუალოდ ფიზიკურ შრომაზე შემცირდა.

ასეთ ვითარებაში იზრდება განათლების მნიშვნელობა და როლი ეკონომიკურ საქმიანობაში.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი, შრომის ბაზარი, განათლება.

ადამიანური კაპიტალის თეორიის ჩამოყალიბება

ადამიანურ კაპიტალში იგულისხმება ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ნაწილი, რომელიც იქმნება ინვესტიციების შედეგად ადამიანში დაგროვილი ცოდნის, უნარების, ჯანმრთელობის, შესაძლებლობების და მოტივაციების მარაგით.

ადამიანის შრომის უნარი, მისი განვითარებისა და გამოყენების შესაძლებლობები საზოგადოებრივი მეცნიერების კვლევის არეალში აღმოჩნდა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში. ამავე პერიოდში ადამიანის შრომის უნარი კაპიტალის ცნებასთან იქნა დაკავშირებული და აღიარებული, როგორც წარმოების პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალა, სამუშაო ძალა კი კაპიტალის ერთ-ერთი ნაირსახეობა (უილიამ პეტი, ადამ სმიტი, ჟან ბატისტ სეი, კარლ მარქსი, ლეონ ვალრასი, ალფრედ მარშალი და სხვა).

ადამ სმიტმა ცოდნა და უნარ-ჩვევები მიაკუთვნა კაპიტალს, რომელიც მუშაკის საკუთრებას წარმოადგენს [Смит А., 1956: გვ. 490; . 208, 235].

ჟან ბატისტ სეის მიერ სასარგებლო უნარები და შესაძლებლობები განიხილება, როგორც კაპიტალის არამატერიალური ფორმა, რომელიც ყალიბდება

ყოველწლიური დაბანდების შედეგად და წარმოადგენს „მწარმოებლურ ჯამს“ [კ. ბ. სეი, 1896].

ლ. ვალრასი გამოყოფს პირად კაპიტალს და ადამიანს განიხილავს, როგორც „ბუნებრივსა და მუდმივ კაპიტალს: ბუნებრივს იმიტომ, რომ იგი არ იწარმოება ხელოვნურად, მუდმივს კი იმიტომ, რომ ყოველი თაობა აღზრდის თავის მსგავსებას“ [Вальрас Л., 1898, გვ.43].

თუმცა ტერმინის „ადამიანური კაპიტალის“, ისევე, როგორც კაპიტალის ისეთი ახალი ფორმების, როგორიცაა სოციალური კაპიტალი (შოციალ ჩაპიტალ), ინტელექტუალური კაპიტალი (Intellectual Capital), სიმბოლური კაპიტალი (Symbolic Capital) და სხვ., მეცნიერული შესწავლა დაიწყო მე-20 საუკუნეში [Kepuladze G., Arnanian-Kepuladze T., 2017, გვ.331].

ტერმინი „ადამიანური კაპიტალი“ პირველად 1958 წელს იქნა გამოყენებული ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლის ჯეიკობ მენსერის მიერ, რომელიც ასევე ითვლება თანამედროვე შრომის ეკონომიკის მამად. ამ უკანასკნელმა და გარი ბეკერმა ადამიანური კაპიტალის თეორიის ემპირიული საფუძვლების შემუშავებას შეუწყვეს ხელი. 1960-1961 წლებში ტერმინი „ადამიანური კაპიტალი“ ასევე მოიხსენია თავის ნაშრომებში „განათლების კაპიტალის ფორმირება (1960წ.), და „ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება“ (1961წ.) ნობელის პრემიის ლაურეატმა თეოდორ შულცმა [Schultz, 1971]. აღნიშნულ ნაშრომებში ის წერდა, რომ ყველა ადამიანური შესაძლებლობა და რესურსი ან თანდაყოლილია, ან შექმნილი. ის ფასეული უნარები, რომლებსაც ადამიანი იძენს და აძლიერებს ინვესტიციებით, წარმოადგენს ადამიანურ კაპიტალს.

ადამიანური კაპიტალის თეორიის თანამედროვე ფორმით ჩამოყალიბების წინაპირობა იყო კაპიტალის კონცეფციის ფართო სპექტრის არსებობის აღიარება [Kepuladze G., Arnanian-Kepuladze T., 2017], რასაც ათვლის წერტილად დაედო დე-ბულებმა, რომ საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა ელემენტი, რომელიც გროვდება, გამოიყენება წარმოებაში და გამოიმუშავებს შემოსავალს განიხილება, როგორც კაპიტალი. ადამიანური კაპიტალი არის შემოსავლის დამატებითი წყარო, რაც დამოკიდებულია პიროვნების ცოდნაზე, უნარებზე და შესაძლებლობებზე.

თანამედროვე ადამიანური კაპიტალის თეორიის ფორმირებაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვით ისეთ ეკონომისტებს როგორებიცაა: ვ. ბოუენი, მ. ფიშერი, ჯ. უეზი, ლ. ტროუვი და სხვები.

ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში

თანამედროვე ეტაპზე ადამიანური კაპიტალის განვითარების მნიშვნელოვან როლზე არაერთი დაობს და ფართოდ აღიარებულია ადამიანური კაპიტალის მზარდი მნიშვნელობა ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში. ეს კი განაპირობებს განსაკუთრებულ ყურადღებას მისი ფორმირებისადმი, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ინვესტირებას.

ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება ვარაუდობს ოთხი ურთიერთდაკავშირებული სუბიექტის - ინვესტორის, დამსაქმებლის, დასაქმებულისა და სახელმწიფოს - ინტერესების შეთანხმებას.


ინვესტორის მხრიდან ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება ვარაუდობს სარგებლის მიღების ბუნებრივ სურვილს, *დასაქმებულებისთვის* - ეს არის შემოსავლების მატება, სამუშაო პირობების გაუმჯობესება, სამუშაოთი კმაყოფილების გრძნობა და სხვა. *დამსაქმებლისთვის* ეს არის შრომის ეფექტიანობის, მწარმოებლურობისა და, მაშასადამე, მოგების ზრდა. რაც შეეხება *სახელმწიფოს*, მისთვის ადამიანური კაპიტალის ინვესტირება არის მოქალაქეთა კეთილდღეობის,

სამოქალაქო აქტივობის და მთლიანი შემოსავლების ზრდა, საზოგადოებაში ცხოვრების კმაყოფილების დონის ამაღლება.

ამასთან, ინვესტორის როლში შეიძლება გამოდიოდნენ როგორც კერძო პირები, ასევე ორგანიზაციები და სახელმწიფო.

სახელმწიფოები ცდილობენ გაზარდონ დანახარჯები ადამიანურ კაპიტალზე. ასე, 2019 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადანაწილება 4 ძირითადი მიმართულებით [მოქალაქის გზამკვლევი 2019] დაიწყო (იხ. ნახაზი1):

ნახაზი 1: 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადანაწილების ძირითადი მიმართულებები:



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ „მოქალაქის გზამკვლევი 2019 წელი“-ს მონაცემების საფუძველზე.

როგორც ვხედავთ თანხების გადანაწილება ამ სფეროებს შორის არის არათანაბარი და მისი ძირითადი ნაწილი ადამიანური კაპიტალის დაფინანსებაზე მიმართება.

როგორც ინდივიდის, ისე სახელმწიფოს მხრიდან ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის ხარჯების გაწევის შედეგად ინდივიდები იძენენ გარკვეულ უნარებსა და ჩვევებს, რომლებიც გროვდება მარაგის სახით. ადამიანურ კაპიტალში კაპიტალდაბანდების ეფექტიანობა საკმაოდ მაღალია, თუმცა გაწეულია დროში და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების უკუგება დაახლოებით 12-20 წლის შემდეგ ხდება. ამის მიუხედავად ადამიანურ კაპიტალში დანახარჯები საბოლოო ჯამში ქვეყნის კეთილდღეობის ზრდას უწყობს ხელს. ამ მიზანზე ორივე მხარე, როგორც სახელმწიფო, ასევე ცალკეული პირი თანხმდება, რადგან ორივე მხარისთვის საბოლოო მიზანს საკუთარი შემოსავლების არსებობა და მისი ზრდა წარმოადგენს, რაც შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მთავარი გარანტია.

უმაღლესი განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმები და შედეგები

XXI საუკუნე ახალი ე.წ ინფორმაციული ტიპის ეკონომიკის ჩამოყალიბებასთან ასოცირდება, რომლის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ცოდნა და ინოვაციები. მაღალკვალიფიციური კადრი მაღალი კონკურენტუნარიანობის მთავარი გარანტია. აღნიშნულთან დაკავშირებით განათლების სისტემის განვითარებას დიდი როლი ენიჭება.

ზოგადად განათლება, განსაკუთრებით კი უმაღლესი განათლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის. განსაკუთრებით გამოიკვეთა მისი როლი გლობალური მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს, როცა წამყვანი ქვეყნების მთავრობებმა აღიარეს განათლებაში ინვესტირების ზრდის აუცილებლობა ეკონომიკის გასაძლიერებლად. იუნესკოს გადაწყვეტილებით XXI საუკუნე „განათლების ერაღ“ გამოცხადდა.

ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება განათლების სფეროსთან უკვე დაიწყო და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტექნოლოგიური რევოლუცია განათლების სფეროს მთლიანად შეცვლის და სწავლის პროცესს უფრო ეფექტურს გახდის.

2004 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მიღების შემდეგ შეიცვალა უნივერსიტეტების დაფინანსების სისტემა და შემცირდა სასწავლო კურსების ხანგრძლივობა. 2005 წლის ბოლონის დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ კი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული არიან დაიცვან ბოლონის პროცესის ძირითადი პრინციპები [უკახლოვლებით ევროპას?, 2010].

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში 2005-2006 სასწავლო წლიდან სტუდენტთა მიღება წარმოებს ერთიანი ეროვნული გამოცდებით, რომლის მიზანია უმაღლესი განათლებაზე დაშვების საერთო პრინციპი, რომლის წინაშე ყველა აბიტურენტი თანასწორია [ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, 2014].

დაფინანსებადი პროგრამების შემოღებით უმაღლესი განათლების მიღება საშუალო და დაბალი ფენის მოსახლეობისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა. თუმცა, როგორც ამას სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს საშუალოდ მხოლოდ სტუდენტთა მეოთხედი ასერხებს უნივერსიტეტის დამთავრებას. ფინანსების დანარჩენი ნაწილი კი უშედეგოდ იკარგება.

XXI საუკუნის განათლება წინა პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად რომ არის განვითარებული ეს კითხვის ნიშნის ქვეშ არავისთვის დგას, თუმცა არ ნიშნავს იმას, რომ არსებული ვითარება სრულიად საკმარისია რეალობისათვის ფეხის ასაწობად. ფაქტია, რომ სწავლების მეთოდები მნიშვნელოვნად დაიხვეწა, დაუახლოვდა ევროპულ სტანდარტებს. წარსულში თუ იგი წარმოადგენდა მიმართულებას, მოემზადებინა პროფესიონალი კადრები, დღეს ძალიან რთულია ვივარაუდოთ თუ როგორ განვითარდება შრომის ბაზარი და რა მოთხოვნას დააყენებს იგი საზოგადოების წინაშე. რეფორმებით მიღწეული წინსვლა აშკარაა, თუმცა ქართული განათლების სისტემა მაინც ვერ აღწევს ევროპულ სტანდარტებს, რაც ხელს უშლის თანამედროვე სამყაროსთან ღირსეულ და სრულ ინტეგრაციას.

საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი

შრომის ბაზრის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მიუხედავად ამისა ინტერესი ამ საკითხის მიმართ კვლავინდებურად დიდია, ვინაიდან საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე ჩნდება ან ახალი პრობლემები ან ძველი პრობლემები ახლებურად იჩენენ თავს [Arnania-Kepuladze T., 2011, გვ.85-86].

მეცნიერების წინსვლისა და ტექნოლოგიური ცვლილებების ერაში ძალიან სწრაფად იცვლება მოთხოვნები სამუშაო ძალის მიმართ და იქმნება ისეთი ახალი სამუშაო ადგილები, რომელიც ითხოვს ახალი ტექნოლოგიების ცოდნას.

საქართველოს მთავრობის კვლევის მიხედვით, ადგილობრივ სამუშაო ძალას არ გააჩნია შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნილი უნარები. ამ მოსაზრებას ამყარებს საერთაშორისო კონკურენციის ინდექსის ანგარიშიც, რომლის მიხედვითაც საქართველოში ბიზნესის კეთების ერთ-ერთი წინააღობა არასაკმარისად მომზადებული სამუშაო ძალაა.

უმაღლესი განათლების სისტემის ეფექტურობა კი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ასრულებს იგი შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს მიერ უნდა მოხდეს შრომის ბაზარზე ადამიანური რესურსების მოთხოვნისა და მიწოდების მონაცემების დადგენა და შესაბამისი მიმართულებით რეგულირება.

დღეს, მსოფლიოშიც და საქართველოშიც საუბრობენ იმაზე, რომ არსებობს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი დისბალანსი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და უმაღლესი განათლების მხრიდან კადრების მიწოდებას შორის. კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე პირთა მხოლოდ ერთი მეოთხედი მუშაობს საკუთარი სპეციალობით. ამჟამად, განათლების სამინისტროს ბიუჯეტის ფარგლებში, დამატებით ფინანსდება საჯარო უნივერსიტეტებში ე. წ. პრიორიტეტული მიმართულებები, თუმცა მიწოდებული შრომითი რესურსები ნაკლებადაა შესაბამისი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

მიუხედავად სხვადასხვა ღონისძიებებისა დღეს საქართველოში შრომის ბაზრის მდგომარეობა პრობლემატურია. საქსტატის მონაცემებით საქართველოში უმუშევრობის დონემ 2018 წელს შეადგინა 12.7%, მაშინ როცა უმუშევრობის ბუნებრივ დონედ მიჩნეულია 5.5-6% ანუ დღეს ეს მონაცემი 2.3-ჯერ აღემატება ბუნებრივ მონაცემს.

ეს პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო დიდი იქნება თუ გავითვალისწინებთ იმიგრაციულ პროცესებს, რომელთა ძირითადი ნაწილი დასაქმების მიზნით ხდება და მათი რიცხვი არ შედის უმუშევართა რიცხვში. ხშირია შემთხვევები როცა ქართული თუ უცხოური განათლების მიღების შემდეგ ადამიანები სამშობლოში შესაბამისი სამუშაო მოწყობის არარსებობის გამო საქართველოს ტოვებს და უცხოეთში იწყებს მუშაობას, რაც „ტვინების გადინებას“ იწვევს.

მეორე მხრივ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში უმუშევრობის დონე მაღალია, დამსაქმებლები ხშირად უჩივიან კვალიფიციური კადრების ნაკლებობას, რაც ერთი შეხედვით უცნაურია, რადგან სამუშაო ძალის დიდ ნაწილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება.

შრომის ბაზარი გაჯერებულია მომიჯნავე პროფესიების მქონე კადრებით, მაშინ როცა ზოგიერთ სპეციალობაში კადრების სიმცირე შეინიშნება. საქსტატის მონაცემებით 2018-2019 სასწავლო წლებში უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულთა რაოდენობამ 41600 სტუდენტი შეადგინა, რომელთა უმრავლესობა განაწილებულია შემდეგ პროგრამებზე: მასწავლებელთა განათლების, ჰუმანიტარული მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის და სამართლის სპეციალობებზე. ისეთი სპეციალობები კი, როგორცაა გარემოს დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, ვეტერინარია, ჯანდაცვა კადრების სიმწირეს განიცდის.

ამასთანავე აბიტურიენტთა ნაწილი სპეციალობის არჩევისას არ ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნებს და მათი ინტერესების შესაბამის სფეროს, რაც იწვევს ადამიანური რესურსების არასწორ გადანაწილებას და ეკონომიკის განვითარების შეფერხებას.

ამიტომ სახელმწიფომ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისთვის უნდა იტვირთოს განათლების და შრომის ბაზრის შესაბამისობის რეგულირების ფუნქცია, საზოგადოების ცნობადობის დონის ამაღლებით, განათლების ხარისხის გაზრდით, შესაბამისი შრომის ანაზღაურების სისტემის ჩამოყალიბებით და ნაკლებად მოთხოვნადი სპეციალობების დაფინანსების ხელშეწყობით, რომელთა სიმცირესაც განიცდის შრომის ბაზარი.

დასკვნა

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიზანი, რისთვისაც ხორციელდება ესა თუ ის პროექტი არის მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

ტექნოლოგიური წინსვლის ერაში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ადამიანური კაპიტალის და განსაკუთრებით განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობითაა შესაძლებელი.

ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს, რომ განათლების სისტემა წარმოადგენს ეს სულაც არ არის შემთხვევითობა. ზოგადად განათლება, განსაკუთრებით კი უმაღლესი განათლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. მისი მთავარი ფუნქცია განათლების გავრცელება და ქვეყნისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადებაა.

შესაბამისად საქართველოს განათლების სისტემაც იცვლის სახეს და თანდათან იხვეწება. თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს მიმართავს სწორედ განათლების დაფინანსებაზე, თუმცა კიდევ არაერთი ნაბიჯია გადასადგამი იმისათვის, რომ ხარჯები ეფექტურად დაიხარჯოს, და მიღებულ იქნას ის შედეგი რა მიზანსაც ხმარდება ესა თუ ის პროექტი. აქ კიდევ ერთი უმთავრესი პრობლემა იქნეს თავს: განათლების ბაზრის და შრომის ბაზრის შესაბამისობის საკითხი.

განათლების სისტემა და შრომის ბაზარი რომ ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სფეროა დღესდღეობით ამაზე არავინ დაობს. ამიტომ ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელია ორივე მიმართულების კონტროლი და შესაბამისი ზემოქმედება. ერთ-ერთ მათგანზე ცვლილებას დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს მეორე სფეროში შესაბამისი ცვლილება და პირიქით, რომ დისპროპორციებს ადგილი არ ჰქონდეს და ეკონომიკის განვითარება არ შეფერხდეს.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე მოქალაქეების აღზრდა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და ეკონომიკურ ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სეი ჟ. ბ., პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი, მოსკოვი, 1896.
2. მოქალაქის გზამკვლევი 2019 წელი, www.mof.ge/4786
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge
4. ვუახლოვდებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. 2010, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11-11-ka-50---20-about--00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.2&d=HASH01102d428fe5f220a31b5580.6.fc>
5. ადამიანური კაპიტალის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში http://sab.ge/sites/default/files/adamianuri_kapitalis_rol_i_kveqnis_ekonomikis_ganvitareb_ashi.pdf
6. მაღლაკელიძე შორენა, განათლება და ეკონომიკა, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა, 2004, გვ. 4-13. <http://eprints.iliauni.edu.ge/1747/1/ადამიანისეული%20კაპიტალი%20და%20ინვესტირების%20ეკონომიკური%20ასპექტები.pdf> (2019-11-10)

7. ბრეგვაძე თამარ, უმაღლესი განათლება და დასაქმება https://www.tsu.ge/data/file_db/xarixsis_martvis_dep/ganatilebis-politika-5.pdf (2019-05-12)
8. საქართველოს განათლების, კულტურის, მეცნიერების და სპორტის სამინისტრო. (აღამიანური კაპიტალის განვითარების საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრა) <http://www.mes.gov.ge/content.php?id=7798&lang=geo>(2019-06-12)
9. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ანალიზი. ანგარიში_თბილისი, 2014. https://www.tsu.ge/data/file_db/xarixsis_martvis_dep/evropuli_analizi.pdf (2019-12-12)
10. დუთუაშვილი თათული, შრომის ბაზარზე უნარების შეუსაბამობა, როგორც ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორი <http://forbes.ge/blog/92/Sromis-bazarze-unarebis-Seusabamoba%2C-rogorc-ekonomikuri-zrdis-Semaferxebeli-faqtori> (2019-07-12)
11. Armania-Kepuladze T., Gender Features of Time Allocation, Gender Stereotypes And Labour Supply, Journal „Equilibrium“. Quarterly Journal of Economics and Economic Policy, 2011, Volume 6, Issue N3. Poland. Pp. 85-101. DOI: <https://doi.org/10.12775/EQUIL2011.022>, <http://economic-research.pl/Journals/index.php/eq/article/view/402/368> (2020.02.01)
12. Kepuladze G., T Armania-Kepuladze, 2017, Cooperatives and Social Capital: Innovative approach toward definition of an interconnection, 9th International Research Conference Management Challenges in the 21st Century, Bratislava, April 27th, 2017, P. 331-342. http://www.cutn.sk/Library/proceedings/mch_2017/prispevky/37_Kepuladze_Kepuladze.pdf (2020.02.01)
13. Schultz T.W. Investment in Human Capital: The Role of Education and of Research, — New York: Free Press, 1971.
14./ Etudes d'economie politique appliquee. - 1898.
15. : , 1956: . 490; . 208, 235 (2020.05.01)

Lela Kintsurashvili

Master of Akaki Tsereteli State University

HUMAN CAPITAL IN GEORGIAN LABOUR MARKET

Expanded Summary

Efficient use of human capital and taking care of its quality in the global labour market is becoming more and more priority.

This article is an attempt to transfer basic view about human capital and its use in the labour market.

Human capital is one of the main sources of economic and social progress of the country, and therefore education and science are the most prominent and priority areas for long-term outcomes of the development. The development of the country depends very much on an effective education system. Education this is a business product that can be realized with high returns. Knowledge and education significantly change the world, as education has a major impact on community development and employment. Many studies have been conducted to determine the relationship between education and employment, which has shown that higher education is an important factor driving the growth of income and employment rates in Georgia.

The first section of the article informs us views of human capital, formulate the theory of human capital and its modern approach.

Next section of the article reviews increasing role of human capital in the development of technological era and limited resources for various representatives and at the state level. Long term economic growth depends increasingly on improvements in human capital. Better educated and creative workforce can help increase labour productivity and economic growth.

The third section of the article examines development of higher education system in Georgia, as one of the most important features of human capital. On the reforms, undertaken in recent years in the higher education system, its results and shortcomings. How educational processes are going in our time and how well they correspond to the contemporary standards. What problems and challenges are ahead of the contemporary educational system and how it should be in the era of development of technologies so that our country is able to form highly-qualified workforce and to follow the contemporary standards.

Following chapter overview of the Georgian labour market and its connection to the higher education system. To what extent the higher education system in Georgia is relevance with labour market demands and problems. The analysis of Geostat’s data shows that the unemployment rate is gradually declining, but significantly above the natural level. (as of 2018 data unemployment rate is 2.3 times over than natural level).

The article concludes, with a discussion of the appropriate policies need to strengthen the linkage between the labour market and higher education system and the costs incurred are fully consistent with the outcome for which the costs are incurred.

ჟურნალი “**ეკონომისტი**”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. კიკოდის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.
ჟურნალ “ეკონომისტი” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ
ვებგვერდზე: ekonomisti.tsu.ge

Journal “**Ekonomisti**”

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103
Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
რედაქტორი **ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**